სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 8 აგვისტო 2000 №150 (1172) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 მოკვლევა

საგანგებო კომისიის ინფორმაცია სახელმწიფო მინისტრს თბილისის „დინამოსა“ და ეროვნული სტადიონის პრობლემათა თაობაზე

8 ბავარიული დუბლი

მიუნხენელებმა ერთ კვირაში ორი ჯილდო მოიგეს

15 სამი ერის ორი ყოჩი



ვინ დაიპყრობს აფრიკას?

გიორგი II

ბრწყინვალე და მძლეთამძლე

ქინქლაძის მერე ბრიტანულ პრესას ქართველი ასე არ შეუქია

ფოტო ალექსანდრ ბერიძისა

„ის ხალხი, ვისაც შოტლანდიურ პრემიერლიგაში უცხოელების მოზღვავებას საყვედურობენ, მართლაც ხშირად ცდებიან, მაგრამ როცა კაცი გიორგი ნემსაძის დარ ფეხბურთელს უყურებს, საპრეტენზიო ნამდვილად აღარაფერი რჩება.“

ეს სიტყვები სქოთურ „ექსპრესს“ ეკუთვნის. არც სხვებს დაუკლიათ. ეგ კი არა, ნემსაძის სეხნიის, ქინქლაძის მერე ასეთი ქება ბრიტანეთში ჩვენებურთაგან არავის ღირსებია.

და საერთოდ, გასული უქმეები წარმატებული გამოდგა ქართველი ლეგიონერებისთვის — თემურ ქეცბაიამ „ნიუკასლს“ თავი დააღწია, შოთა არველაძემ კი მორიგი ზუსტი დარტყმით თვით „არსენალის“ კარი აიღო.

ყველაფერ ამაზე დღევანდელ „სარბიელში“.

ის, რასაც კარგა ხანია გადავეჩვიეთ

ქართველებმა ოთხივე მატჩი და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი მოიგეს

ბულგარეთის ქალაქ რაზგრადში დამთავრებულ კადეტ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა გააკეთა ის, რასაც კარგა ხანია გადაეჩვია ჩვენი სპორტი და გულშემატკივარი: ყველა შეხვედრა მოიგო და პირველ ადგილზე გავიდა.

მოგებაც არის და მოგებაც. ქართველმა ყმაწვილკაცებმა ოთხივე მეტოქეს დამაჯერებლად, ოცზე მეტი ქულით მოუგეს და პირველობა საეჭვოდ არ გაიხადეს. მოწინააღმდეგენიც არ იყვნენ ხელწამოსაკრავნი — ამ ქვეყნების წარმომადგენლებს კარგა წონიანი სიტყვა ეთქმით ევროპულ კალათბურთში. ქართველი კადეტების გამარჯვება ერთი-ორად დაფასდება, თუკი მათ მიერ გამართული მატჩების ანგარიშებს გადავხედავთ:

საქართველო — იტალია 95:68, საქართველო — უნგრეთი 68:39, საქართველო — ისრაელი 84:61, საქართველო — ბულგარეთი 96:74.

საქართველოს კადეტთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე გავიდა. მასთან ერთად ჯგუფიდან ისრაელმა და იტალიამ გააღწიეს.

შესარჩევი ტურნირი 2001 წლის აპრილში გაიმართება.

იხილეთ მეათე გვერდი

დინამო: შეთანხმდეს! შეფასდეს! გაიყიდოს?

— ფიფაში გამგზავრებამდე „დინამოსთან“ დაკავშირებული პრობლემების შესასწავლად და მოსაგვარებლად შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეობისგან თავს ვიკავებდი, არ ვიცოდი, ფიფადან როგორ პასუხს ჩამოვიტანდი, სრულიად შესაძლებელი გახლდათ, „დინამო“ ფიფასგან უმკაცრესად დასჯილიყო და ასეთ შემთხვევაში საერთოდ რა აზრი ექნებოდა საკოორდინაციო საბჭოს შექმნას? საბედნიეროდ, ფიფას ჩინოსნებთან შეხვედრა ჩვენთვის კარგად დამთავრდა, მათ გვითხრეს, თუ „დინამო“ და „მრეტები“ ერთმანეთში შეთანხმდებიან და თავად განსაზღვრავენ ფულის გადახდა-მიღების თარიღს, ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვექნება, ეგ საკითხი თავადვე გადაწყვიტონო. შვეიცარიაშივე მე და მერაბ ჟორდანია „მრეტების“ წარმომადგენლებს შევხვდით და არსებული პრობლემა თითქმის მოვაგვარეთ. „მრეტები“ „დინამოსგან“ 300 ათასი დოლარის ნაწილს აგვისტოშივე მიიღებს.

დავბრუნდი შვეიცარიიდან და საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეობასაც დავთანხმდი. მიმაჩნია, რომ ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე მე და საბჭოს სამი წევრი „დინამოში“ შექმნილ ვითარებას გამოვასწორებთ. „მრეტების“ პრობლემა, როგორც ვთქვი, ნაწილობრივ მოგვარებულია. ახლა იმას გეტყვით, რაც უნდა გავაკეთოთ:

19 აგვისტომდე, ჩემპიონატის დაწყებამდე, „დინამოს“ დამფუძნებლებს, შ.პ.ს. „ბერმუხასა“ და „დინამოს“ საბჭოს შევახვედრებთ ერთმანეთს. მათ სამომავლო ურთიერთობებზე უნდა ისაუბრონ და კლუბში თავიანთი წილი გაარკვონ. თუ შეთანხმდებიან, ხომ კარგი, თუ არადა, შესაძლოა, „დინამოს“ დასაპატრონებლად ტენდერი გამოცხადდეს.

ხვალიდან დიდმის ბაზაზე აუდიტორული შემოწმება, ინვერნტარიზაცია იწყება. უნდა ვიცოდეთ, იქაურობა რამდენად არის შეფასებული, თორემ რა გამოდის? ერთი აუდიტი ერთს ამბობს, მეორე — მეორეს, ქონების ღირებულება გაურკვეველია.

19 აგვისტომდე „დინამომ“ იუსტიციის სამინისტროში ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაიაროს.

„დინამო“ დაახლოებით ერთ თვეში მზად უნდა იყოს, სამ უცხოურ ტელეკომპანიას სატელევიზიო უფლებებზე დაელაპარაკოს. ძველ კონტრაქტს ვადა გაუვიდა. ახლა „დინამოსთან“ თანამშრომლობის სურვილი, როგორც ვთქვი, სამ ტელეკომპანიას აქვს და ისინი „დინამოში“ საქმეების დალაგებას ელიან.

ჩემპიონატის დაწყებამდე „დინამოსთვის“ უპროცენტო კრედიტი უნდა გავახერხოთ, რათა ფეხბურთელებს ხელფასები დაურიგდეთ.

დარწმუნებული გახლავართ, შ.პ.ს. „ბერმუხა“ „დინამოს“ საბჭოს კლუბის შენახვის რეალურ გეგმას თუ წარუდგენს ისინი სამომავლო ურთიერთობაზე შეთანხმდებიან.

ტენდერის შემთხვევაში კი არ არის გამორიცხული, ქართულმა ბანკმა, რომელიმე კომპანიამ, ფირმამ გაიმარჯვოს, იქნებ „დინამოს“ ყოფილმა ფეხბურთელებმაც მოინდომონ, კლუბს დაეპატრონონ. მათ ფული აქვთ. რა, სავალდებულოა, კლუბი უცხოელებს ჩაბარდეს?

ფეხბურთის ფედერაცია „დინამოში“ მხოლოდ ერთს „დინამოს“ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რობინზონ თუშურაშვილს სცნობს. ის არის ლეგიტიმური ხელმძღვანელი. სხვა არავინ. მე კიდევ „დინამოს“ პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილ წერილებზე, თუ ასეთები ნაღდად იყო, ხელი არ მომიწერია.

მე ვაღიარებ ჩემს შეცდომას, ფედერაციის გენერალურ მდივნად რომ დავინიშნე, არ მეგონა, თუ „დინამო“ რეგისტრაციაგაუვლელი იყო, თუმც ისიც ფაქტია, რომ იგი ფაქტობრივად არსებობდა და ახლაც ასეა.

ჩვენამდელი ფედერაციის ყველა ცოდვა ზედმიწევნით ვიცით. ხელთ გვაქვს მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტის ხელმოწერილი დოკუმენტები და ახლა საგადასახადო ინსპექციამ რომ შეგვამოწმოს ნოდარ ანდრიაძის ხელმოწერილ საბუთებსაც ვაჩვენებთ. სხვის გაკეთებულზე ჩვენ პასუხს არ ვაგებთ.

ეს თქვა „დინამოზე“ და საკოორდინაციო საბჭოს გასაკეთებელზე ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დაამატა.

ბადრი ჯეიელანის ფოტო

მერაბ ჟორდანია და ვალერი ჩოლარია

თბილისის „დინამოსთან“ დაკავშირებული ბოლოდროინდელი ხმაურიანი ამბები, აბა, ახლა ვისა აკვირვებს. ისეთ დღეშია საქართველოს ათგზის ჩემპიონი, კაცი მტერს არ უსურვებს. ვალები, გაუვლელი რეგისტრაცია, ვერგაყოფილი წილი , ფიფასგან აკრძალული სატრანსფერო საქმიანობა. მოკლედ, პრობლემები თავ ზესაყრელად აქვთ.

სწორედ ამ პრობლემების მოსაგვარებლად შექმნეს ოთხკაციანი საკოორდინაციო საბჭო, რომლის უფროსობაც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ შვეიცარიაში გამართულ ფიფას კონგრესიდან დაბრუნების შემდეგ ითავა და ამ ახალ საქმიანობას უკვე შეუდგა. გუშინაც, როცა გენერალურმა მდივანმა პრეს კონფერენცია გამართა, უმეტესწილად „დინამოს“ თაობაზე ილაპარაკა. მან თქვა:

ეს ფაქტი ალბათ ბევრ მკითხველს ეცოდინებოდა, ალბათ ბევრ ადამიანს ეცოდინებოდა, ალბათ ბევრ ადამიანს ეცოდინებოდა, ალბათ ბევრ ადამიან

დანია — შვედეთი

დანა კაპიდან გოთია კაპამდე

ყოველ ზაფხულს დანიასა და შვედეთში ბავშვთა საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი ეწყობა. ბოლო წლებია, „დანა კაპი“ და „გოთია კაპი“ უქართველებოდ არ ჩატარებულა. აქამდე ამ ტურნირების სტუმარი „ვაკე 91“ იყო, ახლაც თითქმის ივიგე კლუბი, ოღონდ უმნიშვნელო სახელცვლილებით, „ვაკე 91 ვიტ ჯორჯია“ ესტუმრა დანიას და შვედეთს.

ჩვენებურები შეჯიბრებებში ორი ასაკის, 1984 და 1989 წლებში დაბადებული მოზარდებით ეწვივნენ მასპინძლებს, ზაზა დიდებაშვილისა და მერაბ კოჭლაშვილის თაკაცობით.

შეჯიბრება „დანა კაპით“ დაიწყო. ზაზა დიდებაშვილის გუნდმა 70 მეტოქეს შორის მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო მერაბ კოჭლაშვილის შეგირდებმა 72 მოწინააღმდეგეს შორის მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები ირგუნეს.

ამის შემდეგ საფეხბურთო ფესტივალი შვედეთში გაგრძელდა და „გოთია კაპიც“ გახურდა, რომელშიც 130 გუნდი მონაწილეობდა. დიდებაშვილის გუნდმა მერვე ადგილს გამოჰკრა ხელი, ხოლო კოჭლაშვილის ბიჭები 88 მეტოქეს შორის მეოთხენი იყვნენ.

დაბოლოს, ისევ დანია და საფეხბურთო ფესტივალის დასკვნითი ეტაპი „დანა კაპი 2“, 120 გუნდში დიდებაშვილის შეგირდებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს, ხოლო კოჭლაშვილის გუნდმა ამავე რაოდენობის მეტოქეთა შორის — მესამე.

წლევანდელ „დანა კაპზე“ „ვაკე 91 ვიტ ჯორჯია“ მეორე იყო

სამივე ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი 1989 წელს დაბადებული გიორგი მორგოშია გახდა. გიორგიმ 20 თამაშში 17-ჯერ შეძლო მეტოქეთა კარის დალაშქვრა.

სპეციალური თასით დაჯილდოვდა გიორგი ჯამარაული. გიორგის (სხვათა შორის საქართველოს ეროვნული გუნდის ნახევარმცველის გოჩა ჯამარაულის ახლო ნათესავია) ტურნირზე ყველაზე მცირეწლოვანისთვის (1992 წელსაა დაბადებული) დაწესებული პრიზი გადაეცა, თუმც მარტო ასაკის გამო არ გამოურჩევიათ ტურნირის ორგანიზატორებს. პატარა ჯამარაულს ერთ-ერთ მატჩში მეტად ლამაზი გოლიც გაუტანია.

ქართველთა შემადგენლობები სამივე ტურნირზე ასეთი იყო:

1984-იანები: *გიორგი ხახანაშვილი, ლაშა ლორთქიფანიძე, გიორგი ბალათურია, ნიკა კაჭარავა, ლევან თანანაშვილი, ირაკლი კობიაშვილი, ლევან ჭიპაშვილი, გიორგი გვაძაბია, ნოდარ ტორონჯაძე, კოკა მორგოშია, დათო გოგრიჭიანი, ირაკლი აზნარაშვილი, გიორგი შანიძე, სანდრო ყიფიანი, ირაკლი მახარაძე, შალვა ბლიაძე, რეზო თოფურია.*

1989-იანები: *დათო ნიკოლაიშვილი, სანდრო როჩიკაშვილი, ზაზა ბიწკინაშვილი, გიორგი იაშვილი, ნიკა გეგელაშვილი, ირაკლი ჩხეიძე, გიორგი მორგოშია, გიორგი ჯამარაული, ლევან ჩახნაშვილი, გიორგი მუსხელიშვილი.*

მამუკა კვანტალიანი

ბეითარი მოდის

დღეს, შუადღისას, დაახლოებით სამის ნახევარზე ჩარტერული რეისით თბილისს ეწვევა უეფას თასზე ჩვენებური „ვიტ ჯორჯიას“ მეტოქე იერუსალიმის „ბეითარი“.

ელი გუტმანი თავის ბიჭებს ჯერ სასტუმრო „შერატონში“ დააბინავებს, დაანაყრებს, დაასვენებს, მერე კი, საღამოს რვა საათისთვის, იერუსალიმელები ერთი საათით მცქეთის „არმაზს“ ეწვევიან. მანამდე „არმაზზე“ „ვიტ ჯორჯია“ ჩაატარებს წვრთნას.

ხვალ „ბეითარი“ ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებს. ბუნებრივია, ებრაელები ეროვნულის გაზონზე რვა საათზე შეაბიჯებენ, „ვიტ ჯორჯია“ კი — ერთი საათით გვიან.

ამასობაში „ბეითარის“ მეპატრონე გად ზეევმა ისევ ჯიბეზე გაიკრა ხელი და კლუბის სალარო დამატებითი 11 მილიონი შეკელით შეავსო. ასე რომ, ვეტერინარებს ისრაელის უმდიდრეს გუნდთან მძიმე ბრძოლების გადატანა მოუწევთ.

დათო დანელია

ისევ კრივბასელი

კაიდარაშვილი ძირითადისთვის იბრძოლებს

ჩვენთვის ჯერაც უცნობია, რა და რამდენი ვერ გაიყვეს ალექსანდრე კაიდარაშვილის ყოფილმა და ახლანდელმა კლუბებმა, ტერნოპოლის „ნივამ“ და კრივოი როგის „კრივბასმა“, მაგრამ ფაქტი ერთია, კაიდარაშვილის ბელგიურ „ვესტერლოში“ ტრანსფერი ჩაშალა. ალეკო ისევ კრივბასელია.

ქართველი თავდამსხმელი ჯერ ტრავმებმა შეაწუხა, მერე საქართველოში არდადეგებზე ჩამოსულს ბელგიურ ვარიანტზე ჩამოუგდეს სიტყვა და, ბუნებრივია, „კრივბასთან“ ალეკოს შეკრებები არ გაუვლია.

როგორც მოგახსენეთ, ბელგიური ვარიანტი ჩაიშალა და უვარჯიშებელი ფორვარდი ახლა იძულებულია, დანაკლისი სასწრაფოდ აინაზღაუროს. „კრივბასის“ მწვრთნელი ოლეგ ტარანიც ამიტომ იკავებს თავს, მოუმზადებელმა ისევ რამე არ იტკინოსო, უფრთხილდება ჩვენებურს.

ტრანსფერი „კრივბასი“ — კიადარაშვილი — „ვესტერლო“ კი უკრაინელთა მიზეზით არ შემდგარა. კრივოი როგელთა აზრით, კაიდარაშვილი „კრივბასს“ სჭირდება. „ჩვენ გუნდის წამყვანი მოთამაშეების — პალიანიცასა და გეცკოს გაყიდვას ვაპირებთ, ამიტომ ქართველი აუცილებლად დაგვჭირდება“. ეს სიტყვები „კრივბასის“ პრეზიდენტსა და მწვრთნელს უთქვამთ, რომლებიც ჩვენებურებს მოწყალე თვალით უცქერიან.

„კრივბასში“ თითქმის ყველაფერი გამოსწორდაო, გვითხრა გუშინ ალეკომ, როცა კრივოი როგში ტელეფონით შეეხმიანეთ. „კრივბასს“ მოთამაშეთა ნახევრისთვის საკონტრაქტო პირობები შესრულებია, მაორე ნახევარს ერთ კვირაში გაგისტუმრებთო, უთქვამთ. კრივოი როგელები სხვადასხვა კლუბებში გასხვისებული მოთამაშეების სანაცვლოდ თურმე გვარიან თანხას მოელიან.

„თუ გეცკო და პალიანიცა არ გაყიდეთ, მაშინ შენ წახვალ „ვესტერლოში“ — უთქვამს პრეზიდენტს კაიდარაშვილისთვის. ეს ალბათ ნოემბერში მოხდება. მანამდე კი ალეკო ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაბრუნებას ეცდება, რაც იოლი საქმე სულაც არ გახლავთ, თუმც არც მიუღწეველი ოცნებაა.

მამუკა კვანტალიანი

ალექსანდრე კაიდარაშვილი (№8) „კრივბასში“ დარჩა

სარბიელის არქივიდან

კოლინ ლი და თემურ ქეცბაია

ნიუკასლი წარსულია: უკან, პრემიერლიგისკენ!

წინა კვირა წარმატებით გასრულდა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ თემურ ქეცბაიასთვის. ქეცბაიას საფეხბურთო ცხოვრებაში სიახლეა — პარასკევს თემურმა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა „ნიუკასლ იუნაიტედთან“ და ორი წლით საკუთარი ბედი „ვულვერჰემპტონ უონდერერზს“ დაუკავშირა.

„ვულვზმა“ 900 ათასი გირვანქა გადაუხადა ქართველის სანაცვლოდ „ნიუკასლს“, რომლის რიგებშიც ჩვენებური სამ წელიწადს ირიცხებოდა და სახელი თავიდანვე გაითქვა „ნიუკასლის“ ისტორიაში უმნიშვნელოვანესი გოლის ავტორობით. 1997 წელს ქეცბაიას გატანილმა ხორვატული „ქროაციას“ კარში პირველად და ჯერჯერობით ბოლოჯერ ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა ჯორდჯი კლუბი.

ქეცბაიამ სამი მწვრთნელი — დალგლიში, გულიტი და რობსონი გამოიცვალა და მისი ურთიერთობა ცხადია, ყველასთან უპრობლემოდ ვერ აეწყო. განსაკუთრებით კი ბობი რობსონთან გაუჭირდა საერთო ენის გამონახვა — „კჭკჭების“ ახლანდელ თავკაცს 22-კაციან შემადგენლობაში ქართველის ადგილი არ ალმოაჩნდა.

თემურ ქეცბაიას შეძენა არაერთმა კლუბმა მოიწადინა. პრემიერლიგის „ვესტ ჰემმა“, პირველდივიზიონელმა „ფულემმა“, შოტლანდიურმა „სელტიკმა“ და ბერძნულმა პაოკ-მა ამაოდ სცადეს „ნიუკასლთან“ მოლაპარაკება და ქართველის გადაბირება. ცალკე „ნიუკასლი“ მილიონს არ უცვლიდა ფეხს და ცალკე ქეცბაია არ თანხმდებოდა შეთავაზებულ პირობებს.

პარასკევს გადაწყდა. ინგლისის პირველი დივიზიონის მეშვიდეადგილოსანმა „ვულვერჰემპტონმა“ ქეცბაიას ყველა მსურველს აჯობა, თემურსაც გაურიგდა და ყოფილ კლუბსაც დააკლებინა ასი ათასი გირვანქა.

„სამედიცინო შემოწმება დამთავრებულია. თემურ ქეცბაია „ძოლინოს“ სტადიონზე მედიას წარუდგა და ვარაუდი გამოთქვა, „ვულვზი“ პრემიერლიგას მალე დაუბრუნდებაო“ — ვკითხულობთ „მგლების“ საინტერნეტო გვერდში. იქვე გვახსენებენ, რომ ქეცბაიას შეძენა „ვულვზს“ სამი წლის წინათ სურდა, მაშინ, როცა გუნდს მარკ მაკგიი წვრთნიდა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. მიზეზი გასაგებია, ქეცბაიამ ნიუკასლში ამოყო თავი.

„კონტრაქტის გაფორმებისა და სხვა ფორმალობების მოგვარების შემდეგ პარასკევს ნაშუადღევს აღტაცებულმა მენეჯერმა კოლინ ლიმ თემურ ქეცბაია ჟურნალისტებს წარუდგინა:

თემურისთვის მუშაობის უფლების მოპოვება პრობლემას არ წარმოადგენს. წინა თვეში მან განაახლა ბრიტანეთის სამეფოში სამუშაო ვიზა, მაგრამ რაკი ახლა კლუბი გამოიცვალა, ეს პროცედურა ხელახლა უნდა გაიაროს“ — გულდამშვიდებულია მწვრთენელი. კლუბის მდივანი რიჩარდ სკიროუც ასევე ფიქრობს: „თემურს მუშაობის ნებას უახლოეს დღეებში დართავენ“.

„მე აქ ყოფნით ბედნიერი ვარ. „ნიუკასლი“ წარსულია, ახლა კი მხოლოდ მომავალზე ვფიქრობ“ — ამბობს ქეცბაია.

„ვულვზს“ პრემიერლიგაში გადასვლის ამბიცია აქვს და ვიმედოვნებ, ასეც მოხდება — ჩვენ კარგი სეზონი გვექნება. ხოლო თუ კი პრემიერლიგის საგზურს მოვიპოვებთ, ვიცი, ეს ქომაგებსაც გაბედნიერებს“ — დასძინა თემურმა.

ეს ყველაფერი თემურმა უთარჯიმნოდ, გამართული ინგლისურად წარმოთქვა, ბოლოს კი ესეც დაამატა, — „მე ფეხბურთის თამაში მიყვარს და ახლა ჩემი შესაძლებლობების კლუბის სასიკეთოდ გამოყენება მსურს. ვიცი, რას ითხოვს მწვრთნელი ჩემგან და ვეცდები, ბოლომდე დავიხარჯო“.

ვნახოთ, რა გამოუვათ 90-იანი წლების საუკეთესო ქართველ ფეხბურთელს და ბოლო ორ წელიწადს საპრემიერლიგო პლეი ოფის ზღურბლთან მდგომ „ვულვერჰემპტონს“.

ახლა მხოლოდ ერთი ვიცით, თემური ცდას არ დააკლებს. ცდა კი, მოგეხსენებათ, ბედის მონახევრეა.

ვახტანგ გზიკაძე

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
○ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
○ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
○ კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით.
თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი
ტელეფონი: 31-55-35, 38-67-56



ბადრი ძმილაძის ფოტო

ვარლამ და გიორგი კილასონიები

უნდოდა მერანს, დარჩა თურანს

კილასონიები კარიერას აზერბაიჯანში გააგრძელებენ

რუსთავის „გორდას“ საუკეთესო ფეხბურთელები, ძმები ვარლამ და გიორგი კილასონიები აზერბაიჯანულ თაუზის „თურანში“ გადავიდნენ.

კილასონიების ამგვარი ნაბიჯი ერთი შეხედვით მოულოდნელიცაა, რადგან „გორდადან“ წამოსული ძმები მოლაპარაკებას „მერანთან“ აწარმოებდნენ და წესით და რიგით XII ეროვნულ ჩემპიონატს ამ კლუბში უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ თაუზელებმა „მერანზე“ გაცილებით სოლიდური პირობები შესთავაზეს კილასონიებს და მათაც დიდხანს არ უყოყმანიათ. კილასონიებთან ერთად აზერბაიჯანულ კლუბში კიდევ ერთი ექსგორდელი ჯაბა წიკლაური გადავიდა. სამივე ქართველმა „თურანთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

შაბათს აზერბაიჯანის ჩემპიონატიც დაიწყო. „თურანი“ პირველ ტურში ბაქოში „დინამოს“ შეხვდა და 1:4 დამარცხდა. ქართველთაგან გიორგი კილასონიამ და ჯაბა წიკლაურმა ითამაშეს. ვარლამ კილასონიამ ფორმაში შესასვლელად რამდენიმე დღე ითხოვა და ამიტომ პირველი შეხვედრა გამოტოვა. მარცხის მიუხედავად „თურანს“ ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. სტუმრებს წიკლაურის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი რომ გამოეყენებინათ, მატჩი სხვა შედეგით დამთავრდებოდაო, იტყობინება აზერბაიჯანული „ფუტბოლ პლიუსი“. კარგი შეფასება მიიღო გიორგი კილასონიამ. იქაურები გამორჩევით პასებს უქებენ ქართველ ფეხბურთელს.

„თურანს“ მეორე ტურიდან ვარლამ კილასონია შეუერთდება და წარმატების მეტი შანსიც ექნება, მაინც სულ სხვაა, როცა ძმები ერთად არიან მოედანზე.

პაატა ძვანტალიანი

ბათუმსა და ფოთში...

ვის დარჩება შალამბერიძე?

წინასასეზონო სამზადისი გაახურეს ბათუმელებმა და ფოთელებმა. ზღვისპირელები ბათუმში შეიყარნენ და ერთმანეთს ამხანაგურად გაეჯიბრნენ.

საკონტროლო შეხვედრა მეტად დაძაბული და უშედავათო გამოდგა. ბოლოს ჯანი კარნევალის გუნდმა გია ტყებუჩავასას 2:1 სძლია.

„ბათუმმა“ „კოლხეთი“ ყოფილი კოლხის, მიხეილ ქობულაძის გოლით დაამარცხა. მანამდე კი თავი შვეიცარიიდან დაბრუნებულმა ბათუმელმა ამირან მუჯირმა და ფოთელმა ლევან შავგულიძემ გამოიჩინეს.

როგორც „ბათუმის“ პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემ გვითხრა, გუნდში ახალი თითქმის არაფერია, ფეხბურთელები კარნევალის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით ემზადებიანო.

ფოთში კი რამდენიმე ცვლილებაა მოსალოდნელი. კერძოდ, შეიძლება „კოლხეთს“ დაუბრუნდეს შემტევი ნახევარმცველი ელდარ გვასალია, რომელიც კარიერის გაგრძელებას საზღვარგარეთ, ისრაელში აპირებდა.

არ არის გამორიცხული, კოლხებმა გუნდის ლიდერი, აქამდე ქუთაისის „ტორპედოში“ განათხოვრებული ჯონი შალამბერიძე მოისაკლისონ. მას შემდეგ, რაც „ტორპედომ“ იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდასთან“ დუელი წააგო, იგი გუნდს უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ... როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, შალამბერიძე ფოთში დაბრუნებას არ აპირებს

ბის ახალაძის ფოტო

ვლადიმერ გოჩაშვილი და ჯონი შალამბერიძე (მარჯვნივ)

ფოთელების ფოტო

და სურს, თავისი ბედი „ტორპედოს“ დაუკავშიროს. ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ „კოლხეთის“ ხელმძღვანელები, რომლებიც აცხადებენ, რომ შალამბერიძე ჯერჯერობით არც იყიდება და არც ვინმეზე იცვლებაო.

ვნახოთ, როგორ დამთავრდება ზღვისპირელთა და რიონისპირელთა მცირე დავა. ჩვენ კი იმას შეგახსენებთ, რომ შალამბერიძე ავადმყოფობის გამო ვერც ქუთაისის „ტორპედოს“ შეეშველა. ბელგრადულ შეკრებაზე ფეხბურთელს ექიმებმა მენინგიტის ნიშნები დაუდგინეს და მთელი მოსამზადებელი დრო მკურნალობამ შეიწირა.

ჯონი ახლა სრულიად ჯანმრთელია და ახალი სეზონისთვის სრული დატვირთვით ემზადება.

დათო დანელია

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	სომხიშვილი (მილანი), გოგიაშვილი (თავისუფალი აგენტი)	გუჩუა, სიჭინავა (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), ჩხაიძე (ლოკომოტივი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თავბერიძე (ინტერი), გ. გოგოლაძე (სამგურალი)	დილა 4:0, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი) 0:2, 1:1, კალიაკრა (კავარნა, ბულგარეთი) 7:0, ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:4, 2:0
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მამარდაშვილი, მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი)	სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინწკირველი (თსუ), ჭიღლაძე (ს.ა. იბერია)	თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0, ჰოჭენჰამელნი 4:0, კოტბუსი 1:1, უნიონ ბერლინი 1:2, ჰანზა 0:1, ლიუბეკი 1:1, ზარაუ 7:1, ზანკტ პაული 1:3, ჰაილიგენჰაფენი (რვავე გერმანია) 6:0, ცხუმი 7:1
	დინამო *რევაზ არველაძე*	*ხიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, ნიტაიშვილი (მაკაბი, თა, ისრაელი), გუჩუა, სიჭინავა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), გ. შენგელია (ლოკომოტივი), ხუციშვილი, მინაშვილი (?)*	კ. გოგოლაძე (სიონი), ხუციძე (ბათუმი), მაზიაშვილი (თსუ), თ. მაისურაძე (ინტერი), ბერდული, ბათიაშვილი, ტყებუჩავა, ჩივაძე, კანდელაკი, ნორაკიძე, გადელია, ზამთარაძე (თბილისი), ნ. ლობჟანიძე (არ თამაშობდა)	შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1, შუქურა 2:0, ლოკომოტივი 1:0, 2:3
	ბათუმი *ჯანი კარნევალი*	*მ. მხარაძე (კარიერა დაასრულა), ბომერეი (არაუ, შვეიცარია),* ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე, თ. ტულუში (შუქურა), ხუჯაძე (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (?)	კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), კ. მგავანაძე (შუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), ბედიაშვილი, ჩოხელი (გორდა), გაბისონია (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი), ბარქაია (თსუ), კაკაბაძე (მერანი)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:1, 2:1, კოლხეთი 2:1, შუქურა ?:?
	კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), ე. გვასალია (?, ისრაელი)	რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედეევი, დ. კვირკველია, გოჩა ჭანტურია, თოფურია, ზ. ლეჟავა, ბურჭულაძე (კოლხეთი 2)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:2, გურია 3:0, ბათუმი 1:2
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი, კ. მელქაძე (თბილისი), ტარიელაშვილი, დ. ჯანელიძე (მილანი), მესიაჩენკო (ოკეანე), ბაქრაძე (ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 1:0, 3:1
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე (ტორპედო ზილი, რუსეთი), ნაროუშვილი (ლოკომოტივი), ივეჩიანი (გორდა)		სმენა (მოსკოვი, რუსეთი) 3:0, ურალეცი (ნიჟნი ტაგილი, რუსეთი) 1:3, ურალმაში (ეკატერინბურგი) 1:2, მეტალურგი (ვერხნაია სალდა, რუსეთი) 6:0, 7:0, 4:2
	დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დაასრულა); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	ა. ხმალაძე, გ. ტულუში (არსენალი), გრიგალაშვილი, ხოხობაშვილი, ეჯოშვილი (ცხინვალი), მ. ბურნაძე (მილანი), ჯაფარიძე, ბუთხუზი, ბადრიშვილი (გორის საფეხბურთო სკოლა); მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	ტორპედო 0:4, ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1, მერანი 1:4
	მერანი *სერგო გაბელაია*	ჯიშკარიანი (კარიერა დაასრულა), კაკაბაძე (ბათუმი), დავითაშვილი (ლოკომოტივი)	ოდიშარია (ხობი), კაკუბავა (შამქირი, აზერბაიჯანი)	ლოკომოტივი 1:2, 0:0, დილა 4:1
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	*ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი), გ. ჩიბრაძე (ჰ.ბეით შანი, ისრაელი),* კაციაშვილი, გ. გვაზავა (მეტალურგი), ბაქრაძე (სიონი), ჭიჭვეიშვილი (ჰ.ქვარსავა, ისრაელი), ჩხაიძე (ტორპედო), დ. გოდერძიშვილი (მერანი), ჯუღელი (?, კვიპროსი ან ისრაელი), ნიკურაძე (?, ჩინეთი), რ. ონიანი (?)	გონჩაროვი (თბილისი), ნაროუშვილი (იბერია), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი, საუდეთი), გ. შენგელია (დინამო), ს. ბურნაძე (გორდა), დავითაშვილი (მერანი), ღონღაძე (სამგურალი)	გორდა 0:1, 1:1, დილა 3:1, 3:1, 1:2, მერანი 2:1, 0:0, სიონი 1:0, 3:1, დინამო 0:1, 3:2
	თსუ *თენგიზ კაცია*	მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინწკირველი (ვიტ ჯორჯია), ბარქაია (ბათუმი), მაზიაშვილი (დინამო), დ. არჩვაძე (ლოკომოტივი), ხართიშვილი (?)	მამარდაშვილი, მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ე. ალადაშვილი, ხარუბავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი), ზვ. ლაბაძე (თბილისი), ჭედია (ლაზიკა)	ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოოვეტი 3:1, მილანი 0:0, 2:0, ჭაბუკიანი 3:2
	გორდა *იასონ ალადაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (თურანი, თაუზი, აზერბაიჯანი), ს. ბურნაძე (ლოკომოტივი), ბედიაშვილი, ჩოხელი (ბათუმი)	ივეჩიანი (იბერია), კიბირია (საუ), სურმავა, ფოჩხუა (მრეტები)	ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0, ხაზარი (აზერბაიჯანი) 2:0

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის „დინამოსა“ და „ეროვნული“ სტადიონის პრობლემების შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას მუშაობა ჯერაც არდასრულებია, გასაკვირველია საბოლოო დასკვნა, რომელზეც ჯერჯერობით ვერ თანხმდებიან კომისიის წევრები. ერთი რამ კი გადაწყვეტილია, კომისიის უსულელივ ყველა წევრმა მოინონა ამ პრობლემებთან დაკავშირებით ჩატარებული მოკვლევა. ეს დოკუმენტი საკმაოდ ვრცელია. იგი ბევრ კითხვაზე გასცემს პასუხს ფეხბურთის ქომაგს და ამიტომაც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გავრძელებებით მისი დაბეჭდვა.

მოკვლევა

საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ბატონ გია არსენიშვილს

ინფორმაცია თბილისის „დინამოსა“ და ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონის პრობლემების შემსწავლელი სამთავრობო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონო გია!

მოგახსენებთ, რომ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2000 წლის 18 მარტის №27 ბრძანებით შექმნილი სამთავრობო კომისიის მიერ დამტკიცებულ საკითხთა ნუსხის მიხედვით შემოწმებული იქნა საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოსა“ და ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე შექმნილი მდგომარეობა, რომელზეც მოგახსენებთ შემდეგს:

თბილისის ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონის ფუნქციონალურ-საექსპლუატაციო პირობების საერთაშორისო სტანდარტების დონეზე გაუმჯობესებისთვის და მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსის უკეთ მოწყობის (განსაზღვრის) მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის 1997 წლის 21 მარტის №78 განკარგულებით მიზანშეწონილად ჩაითვალა სტადიონის ბაზაზე ჩამოყალიბებულიყო სააქციო საზოგადოება. ამავე განკარგულებით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დაევალა დაეფუძნებინა სააქციო საზოგადოება სტადიონის ქონების წილობრივ მესაკუთრეებთან ერთად. განკარგულების საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 22 ივლისის №15.05.932 დადგენილებით დადგინდა და განისაზღვრა ეროვნული სტადიონის საბალანსო ღირებულება და მისი მშენებლობის დაფინანსებაში მხარეთა წილობრივი მონაწილეობა (სტადიონის ექსპლუატაციაში მიღების დროისთვის - 1976 წლისთვის) სახელმწიფოს მხრივ (საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახით) 63.5%, ხოლო „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მხრივ 36.5%. ხოლო სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი პირობითად განისაზღვრა 10 მილიონი ლარით.

სააქციო საზოგადოების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ნ. კაკიაშვილი. საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შემდგომი დაზუსტება გათვალისწინებული იყო აუდიტორული დასკვნის საფუძველზე. დადგინდა, რომ საზოგადოების აქციათა საკონტროლო პაკეტი უნდა დარჩენილიყო სახელმწიფო (მუნიციპალურ) საკუთრებაში. სამეთვალყურეო საბჭოს რაოდენობა განისაზღვრა 3 წევრით. ქ. თბილისის მერიის 1997 წლის 23 ივლისის №76 განკარგულებით სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრად მერიის მხრიდან დაინიშნა: გ. მაზიაშვილი და ნ. მელია. ხოლო ფიზიკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ მხრივ ზ. გენძეხაძე. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე რეკომენდაცია გაეწია გ. მაზიაშვილს. ამასთან, თავის მხრივ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1997 წლის 24 მარტის №1-3-117 ბრძანების საფუძველზე ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტს დაევალა სააქციო საზოგადოების დაფუძნება.

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტმა სამეთვალყურეო საბჭოში დანიშნულ წარმომადგენლებს ხელშეკრულება არ გაუფორმა. ამით დარღვეული იქნა იმ დროისთვის მოქმედი „სააქციო საზოგადოებების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის, განკარგვისა და აღრიცხვის წესის შესახებ“ დებულების 2.4. პუნქტის მოთხოვნები.

საექსპერტო შეფასების მიხედვით სააქციო საზოგადოების ქონების ღირებულებამ 11 390 ათასი ლარი შეადგინა. დიდუბის რაიონის სასამართლომ 1997 წელს 1 სექტემბერს რეგისტრაციაში გაატარა ს.ს. „ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონის“ წესდება და საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 11 390 ათასი ლარის ღირებულების ქონების სახელობითი აქციით. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენდა 1 ლარს. წესდებით აქციათა 63.5% ანუ 7 232 650 აქცია ეკუთვნოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს, ხოლო 36.5% ანუ 4 157 350 აქცია ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“. წესდების მიხედვით საზოგადოებას, გარდა ძირითადი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისა უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი სამეურნეო და კომერციული საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

1997 წელს ეროვნულ სტადიონზე დამონტაჟდა სფფ-ს მიერ გრანტის სახით მიღებული 2 000 ინდივიდუალური პლასტმასის სკამი, რომლის საერთო ღირებულებამ (დემონტაჟ-მონტაჟის ჩათვლით) შეადგინა 178 904 აშშ დოლარი. შესრულებული სამუშაოებისთვის საჭირო მასალები 1997 წლის 7 ივლისს №1007.97 ინვოისის მიხედვით გამოგზავნილი იქნა იტალიური ფირმა „ფინეირო კონსალტინგის“ მიერ ეროვნული სტადიონის სახელზე. სკამები დამონტაჟებული იქნა იმავე წელს, თუმცა საზოგადოებაში შესრულებული სამუშაოების შესახებ სათანადო დოკუმენტაცია არ არსებობს. სააქციო საზოგადოების ბუღალტერიაში დამონტაჟებული სკამების ღირებულება აისახა ფასის გარეშე და ამდენად საწარმოს ფაქტიური ქონების გაზრდა საბალანსო მონაცემებში თანხობრივად არ ასახულა, რის გამოც ქონების გადასახადი შემცირებულია და ბიუჯეტში ამოღებას დაექვემდებარა 2 950 ლარი, საიდანაც 1 420 ძირითადი გადასახადის თანხაა, ხოლო 1 530 სანქცია-საურავი.

1998 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უეფადან მიღებული საკრედიტო თანხით, ეროვნულ სტადიონზე დაამონტაჟა 18 100 ინდივიდუალური სკამი, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 1 010 200 ლარი. მიღებული ქონების ნაწილით 359 705 ლარით გაზრდილი იქნა სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი, ხოლო დანარჩენი თანხა — 650 495 ლარი აისახა, როგორც სააქციო საზოგადოების დავალიანება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ. საწესდებო კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით სააქციო საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილებით მოხდა სააქციო საზოგადოებაში ახალი პარტნიორის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შესვლა, მისთვის საწესდებო კაპიტალის 5% წილის დათმობის გზით. თუმცა წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულება მხარეებს შორის არ გაფორმებულა, რითაც დარღვეულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 და 51-ე მუხლების მოთხოვნები, და თვით საწარმოს წესდების 3.11. პუნქტის მოთხოვნები. სააქციო საზოგადოების წილის დათმობა ასევე არ არის შეთანხმებული სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან და ამით დარღვეულია „საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს“ დებულების მე-10 პუნქტის მოთხოვნები.

სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდა რეგისტრირებულია სასამართლოში 1998 წლის 16 სექტემბერს, სახელმწიფო რეესტრში შეტანილია დამატება საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით. სხვა ცვლილება პარტნიორთა შესახებ მითითებული არ არის. ამდენად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პარტნიორად მიღება და მისთვის 5%-ის წილის გადაცემის შესახებ სათანადო ხელშეკრულება არ გაფორმებულა და შესაბამისად მხარეებს შორის ვალდებულება არ წარმოშობილა. სფფ ამჟამად არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოების პარტნიორად (საწესდებო კაპიტალის წილის მესაკუთრე მონაწილე არ არის) და გამომდინარე აღნიშნულიდან, ს.ს. საზოგადოებაზე რიცხული სახელმწიფო ქონება არც გასხვისებულა.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალის (ქონების) მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს შენობა-ნაგებობათა ღირებულება — 11 325 040 ლარის ოდენობით. მათი ნაწილი სააქციო საზოგადოების მიერ სხვადასხვა დროს გაცემულია იჯარით, გაცემული საიჯარო ხელშეკრულებები გაფორმებულია იმ დროისთვის მოქმედ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 8 იანვრის №20 დადგენილების „სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის საიჯარო ქირის განსაზღვრისა და გადასახადის წესის შესახებ“ მიხედვით და მათი ღირებულება გაცემული ფართის ნარჩენი საბალანსო ღირებულების 10%-ზე ნაკლები არ არის.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 9 ოქტომბრის №20.17.1174 დადგენილებით სააქციო საზოგადოებას დაუმაგრდა დაკავებული მიწის ნაკვეთი და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ გაიცა მიწის ნაკვეთის გეგმა, მუნიციპალიტეტის ამავე დადგენილებით ს.ს. განთავისუფლდა მიწის ერთჯერადი საიჯარო გადასახადისგან რითაც დარღვეული იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსის VI მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნები, რომელიც კრძალავს ინდივიდუალური საგადასახადო შეღავათების დაწესებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს 1999 წლის 25 ივნისის (№2180-11ს) კანონით, საგადასახადო კოდექსის 154 მუხლის III-პუნქტი, რომელიც ეხებოდა მიწის ერთჯერადი გადასახადის გადახდას, ამოღებულია (გაუქმებულია), ამდენად ერთჯერადი მიწის გაცემისას გადასახადის გადაუხდელობისათვის „მოიჯარის“ მიმართ ფინანსური სანქციების გავრცელებას ამჟამად საფუძველი არ გააჩნია. 1998 წლის 12 ნოემბერს გაფორმდა №2933 ხელშეკრულება ქ. თბილისის მერიასთან როგორც „მეიჯარესთან“ მიწის ნაკვეთის იჯარით აღებაზე, რომლითაც სააქციო საზოგადოებას უფლება მიეცა გამოეყენებინა მიწის ნაკვეთი მშენებლობისათვის და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციისათვის, საიჯარო ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 59 წლით.

მუნიციპალიტეტის 1999 წლის 12 თებერვლის №03.21.47 დადგენილებით სააქციო საზოგადოებას მიეცა დაკავებული მიწის ფართობზე სავაჭრო ცენტრის მოწყობის უფლება. რაზეც სახელმწიფო-არქიტექტურულ სამშენებლო კონტროლის ინსპექციის მიერ 1999 წლის 5 ივლისს და 18 ნოემბერს გაცემულია №284 და №427 მშენებლობის დაწყების ნებართვა.

მიწის ნაკვეთის იჯარით აღების ხელშეკრულების 5.4 პუნქტით მოიჯარეს ეკრძალებოდა გამოყოფილი ტერიტორიის გადაცემა მესამე პირზე (ქვეიჯარით) მუნიციპალიტეტთან შეთანხმების გარეშე.

აღნიშნული პირობებიდან გამომდინარე, სააქციო საზოგადოებამ 1999 წლის 26 ოქტომბერს №29/99 წერილით მიმართა „მეიჯარეს“ და მოითხოვა იჯარით აღებული მიწის ნაკვეთის ფართის ნაწილი ქვეიჯარით გაეცა აღნაგობის უფლებით, სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. ქ. თბილისის პრემიერის 1999 წლის 28 დეკემბრის №4-24-5230 წერილით სააქციო საზოგადოებას ნება მიეცა დაკავებული ტერიტორიის ნაწილი გაეცა ქვეიჯარით მშენებლობის უფლებით. ქვეიჯარის ხელშეკრულებები შეტანილია რეესტრში (დარეგისტრირებულია მიწის მართვის დეპარტამენტში).

2000 წლის 2 აპრილის მდგომარეობით სააქციო საზოგადოების მიერ ქვეიჯარით გაფორმებულია 51 მიწის ნაკვეთზე საიჯარო ხელშეკრულებები მშენებლობის უფლებით, აქედან 18 — წერეთლის გამზირისა და საგურამოს ქუჩის გასწვრით, 3 — „დინამოს“ საბჭოსა და ეროვნული სტადიონის გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე, 30 იარუსების ქვეშ. ქვეიაიჯარო ხელშეკრულებიდან 22 გაფორმებულია ვეტერან ფეხბურთელებთან 50 წლის ვადით, 3 გაფორმების პროცესშია, ხოლო 26 მოიჯარე სუბიექტთანაა გაფორმებული 10 წლის ვადით. ხელშეკრულებების მიხედვით, იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე მოიჯარეებს საკუთარი სახსრებით უნდა აეშენებინათ სხვადასხვა დანიშნულების სავაჭრო ობიექტები, რომლებიც ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს სააქციო საზოგადოებას. „მოიჯარადეებს“ მათ მიერ მშენებლობაზე გაწეული ხარჯები ეთვლებათ საიჯარო ქირაში 10-12 თვის ვადით. ვეტერან ფეხბურთელებე ქვეიჯარით გადაცემულ ფართზე 14 ობიექტი მშენებლობის პროცესშია, 7 ობიექტზე მშენებლობა არ დაწყებულა.

ამასთან აღსანიშნავია ის, რომ რიგი „მოიჯარადეები“ (სპორტული დარბაზები, საცურაო აუზი, აღმოსავლურ ორთაბრძოლათა დარბაზი, ათლეტიზმის დარბაზი, ტირი, „აიკიდო“) მძიმე ფინანსური მდგომარეობის მოტივით არ იხდიან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საიჯარო თანხებს და მათმა დავალიანებამ 2000 წლის 1 ივნისისთვის 20 600 ლარი შეადგინა, ამასთან, სააქციო საზოგადოების მხრივ საიჯარო ქირის ამოღებისთვის გაწეული ღონისძიებები ნაკლებეფექტურია.

იჯარით გაცემულ ქონების ნაწილზე (შენობა-ნაგებობების ფართზე) არ არის საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს ან მისი ტერიტორიული ორგანოს შესაბამისი თანხმობა, ამით დარღვეულია „სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოთა ბალანსზე რიცხული ამორტიზებული, ან გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 27.03.2000 წლის №1-3/198 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 პუნქტის მოთხოვნები და ასევე მანამდე მოქმედი დებულების მოთხოვნებიც, რომელიც სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემისას, გარდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თანხმობისა, ითვალისწინებს ქონების იჯარით გაცემის დროს კონკურსის ან აუქციონის ჩატარებას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სააქციო საზოგადოებამ 1998 წლის 16 მარტის წერილით მიმართა სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტს და ითხოვა საწარმოს ბალანსზე რიცხული ქონებიდან ნაწილის იჯარით გაცემაზე ნებართვა (თანხმობა). ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტმა 1998 წლის 20 მარტის №2-18-336 წერილით ს.საზოგადოებას აცნობა, რომ დეპარტამენტი წინააღმდეგი არ იყო საზოგადოებას გაეცა მის ბალანსზე რიცხული ქონება იჯარით მოქმედი კანონმდებლობის წესების დაცვით. ამდენად ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტმა მართალია თანხმობა განაცხადა სააქციო საზოგადოების ქონების იჯარით გაცემაზე, მაგრამ ეს თანხმობა სათანადო წესით არ გაფორმებულა, გარდა ამისა, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით მართვის, გადაცემის წესის შესახებ“ დებულების I მუხლის მე-6 პუნქტით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება იჯარის უფლებით გაიცემა მხოლოდ კონკურსის ფორმით, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის მხრივ ადგილი არ ჰქონია. ამდენად სააქციო საზოგადოების ბალანსზე რიცხული ქონება იჯარით გაიცა მოქმედი ნორმატიული აქტების დარღვევით, რაც კონკურსის ჩაუტარებლობაში გამოიხატა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ მოიჯარადეებს, როგორც იჯარით აღებული შენობა-ნაგებობების ფართიდან, ისე საიჯარო მიწის ნაკვეთებიდან, თავის მხრივ გაცემული აქვთ ქვეიჯარით სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე, მათ შორის მშენებლობის წარმოების უფლებით.

კერძოდ, სააქციო საზოგადოებას იჯარით 2000 წლის 17 მარტის და 16 აპრილის ხელშეკრულებებით შ.პ.ს. „სასპორტო-სამრეწველო კომერციულ ცენტრ თბილისისთვის“ იჯარით გადაცემული აქვს 2009,5 კვმ მიწის ნაკვეთი 10 წლის ვადით და 2010 კვმ შენობა-ნაგებობები. საიჯარო ქირის ოდენობა განსაზღვრულია ნარჩენი საბალანსო ღირებულების 10%-ს დამატებული დღგ, სულ 27 363 ლარი წელიწადში. თავის მხრივ ეს ფართი შპს „თბილისს“ ქვეიჯარით გაცემული აქვს 25 760 ლარად წელიწადში.

შპს „თბილისს“ სააქციო საზოგადოებისგან იჯარით გადაცემული უძრავი ქონების მიღებასთან დაკავშირებით გადასახადი არ გადაუხდია, რის გამოც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 164; 165 მუხლის მიხედვით ბიუჯეტში აღდგენას ექვემდებარება 547 ლარი.

მოიჯარადეებს და ქვემოიჯარეებს შორის გაფორმებული ცალკეული ხელშეკრულებების მიხედვით საიჯარო ქირის გადახდა უნდა დაიწყოს 2001 წლის 1 აპრილიდან. საიჯარო ქირის გადახდის გადავადება მოტივირებულია იმით, რომ ხელშეკრულებით შ.პ.ს. „თბილისს“ მიწა ქვეიჯარით გადაეცა კომერციული შენობების ასაშენებლად და გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე აშენებული ნაგებობების ღირებულება ეთვლება საიჯარო ქირის გადასახადში პირველი წლის განმავლობაში (ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ აშენებული შენობები რჩება ეროვნულ სტადიონს უსასყიდლოდ). თავის მხრივ შპს „თბილისს“ ფართი გაცემული აქვთ ფიზიკურ პირებზე, რომლებმაც საკუთარი სახსრებით აიშენეს მაღაზიები და გაწეული დანახარჯების სანაცვლოდ განთავისუფლებული არიან საიჯარო გადასახადისაგან. ხოლო თავის მხრივ გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე აშენებული ნაგებობების ღირებულება შპს „თბილისს“ ეთვლება საიჯარო გადასახადში სტადიონის მიმართ. ამდენად ჩათვლილ საიჯარო გადასახადების პარალელურად საგადასახადო ვალდებულებები როგორც შპს „თბილისს“ ასევე სააქციო საზოგადოებას უკვე წარმოშობილი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით საიჯარო ქირა მეიჯარეებმა უნდა მიიღონ 2001 წლის აპრილიდან (წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებზე ფინანსური სანქციების გავრცელება შესაძლებელი იქნება გაწეული მომსახურების სარეალიზაციო ვადის 90 დღის გასვლის შემდეგ, რაც შემოწმების მომენტისთვის დამდგარი არ იყო).

შ.პ.ს. „თბილისის“ მიერ გაწეული სამეურნეო საქმიანობის წლიური შედეგებიდან გამომდინარე სააქციო საზოგადოებას, როგორც ერთ-ერთ დამფუძნებელ პარტნიორს, შემოსავალი არ მიეღია, თუმცა საწარმოს საბალანსო მონაცემების მიხედვით მოგება მიღებული აქვს 7 188 ლარი, საიდანაც ეროვნული სტადიონის წილი შეადგენს 1438 ლარს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შპს „თბილისის“ დამფუძნებლები არიან სააქციო საზოგადოება „ბორის პაიჭაძის“ სახელობის ეროვნული სტადიონი დინამო“ და ფიზიკური პირი დავლაშერიძე ნანა. საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია 2 000 ლარის ოდენობით: 400 ლარი, ანუ საწესდებო კაპიტალის 20%, წარმოადგენს ეროვნული სტადიონის წილს, ხოლო — 1 600 ლარი, ანუ 80%. ეკუთვნის დავლაშერიძე ნანას. (საწარმო რეგისტრირებულია 1997 წლის 1 ოქტომბერს.) ეროვნულ სტადიონს შპს „თბილისის“ საწესდებო კაპიტალში პარტნიორად შესვლა და სახსრების ჩადება არ შეუთანხმებია სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთვის, რითაც დარღვეულია „საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს“ დებულების მე-2 თავის მე-7, მე-9 პუნქტისა და მე-3 თავის მე-3 პუნქტის მოთხოვნები და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1994 წლის 19 აპრილის №40 ბრძანების მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

იხილეთ მომდევნო „სარბიელი“

გამარჯობა არ იცი, გიორგი?

შოტლანდია

II ტური

დანდი 3:0 დანფერმლაინი
1:0 სკინერი (1 ს.კ.), 2:0 სარა (52ბ), 3:0 კაბალიერო (55ბ)
ჭანდი: დუგლასი, სმიტი, დე მარკი, მარონკო, არტერო, ბილიო, ნემსაძე (ააიტსი 72), რობერტსონი, კაბალიერო (ფალკინერი 72), სარა (შილნი 87)

აბერდინი 2:1 სენტ მირენი
1:0 სტავრუმი (4), 1:1 ჯილისი (38), 2:1 პერი (89)

სელტიკი 1:0 მოზერუელი
1:0 პეტროვი (11)

ჰიბერნიანი 3:0 დანდი იუნაიტედი
1:0, 2:0 აგატი (2,19), 3:0 მაკმანუსი (90)

კილმარნოკი 2:4 რეინჯერსი
1:0, 2:0 მაკლარენი (3ბ, 10), 2:1, 2:2 დოდსი (37ბ, 75), 2:3 მილერი (77), 2:4 თუგაი (85)

სენტ ჯონსტონი 2:2 ჰარტსი
1:0 პარკერი (31), 2:0 ჯოუნსი (73), 2:1 ონილი (82), 2:2 ტომაშეკი (89)

... **მისტერ** ანდერჰილმა ჩასტვინა, ბურთი ნემსაძეს დაუგორეს, ამან უკვე მეტოქის საჯარიმოსთან მყოფ არტეროს გაუჭრა, ესპანელმა ჩაწოდა და სტუმართა მცველმა თავის კარში შეაგდო. „დანდის“ პირველი გოლის აღწერას, თუ გამოითვლით, 20 სიტყვა დასჭირდა, გატანას კი — ზუსტად 12 წამი. მასპინძლებს უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ და შედეგად კვლავ სქოთური პრემიერლიგის ლიდერებად დარჩნენ.

თუმცა მოდით, ჯერ „ჩვენებური“ გუნდის მდევრებზე ვთქვათ (ჩემპიონი მაინც ან „სელტიკი“ გახდება, ან „რეინჯერსი“), „დანდისა“ და მისი ქართველი ლეგიონერის ამბავი კი ჩაროზად მოვიტოვით.

„რეინჯერსი“ ისევ ბილი დოდსმა იხსნა. მესამე თამაშია, ეს კაცი ტყუპი გოლის გარეშე არ გადის მინდვრიდან, თან ამას გლაზგოელთათვის მეტად კრიტიკულ მომენტში ახერხებს. ამჯერად დოდსმა პირველი გოლი, პენალტით, მაშინ გაიტანა, მისი გუნდი 0:2-ს რომ აგებდა, მეორე ტაიმის შუაში კი ჰოლანდიელი ვან ბრონკჰორსტის პასით გაათანაბრა. ამას შეცვლაზე შესულმა კევინ მილერმა და თურქმა თუგაი ქერიმოღლუმ ჩინებული სოლო გარღვევით თითოც წაუმატეს და დიკ ადვოკაატმაც ამოისუნთქა — 2:4. ისე, მსაჯს „რაგბი პარკის“ მასპინძლები რომ ოდნავ დაენდო და 34-ე წუთზე მათი მცველი კევინ მაკგოუნი მეორე გაფრთხილების გამო არ გაეძევებინა, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა — „რეინჯერსმა“ ხომ გოლების გატანა სწორედ ამ მომენტიდან სამ წუთში დაიწყო.

არც „სელტიკის“ გამარჯვება გახლდათ მეტად შთამბეჭდავი. ბულგარელი ნახევარმცველის სტილიან პეტკოვის ზუსტი დარტყმა ერთადერთი გამოდგა გლაზგოელთა პირველ შინაურ შეხვედრაში. სამაგიეროდ, წითელი ბარათი ფრიალებდა უხვად — მსაჯმა ჯერ სტუმართა მწვრთნელის ბილ დევისის ძმა, ჯონი დაითხოვა მოედნიდან 37-ე წუთზე, მერე, 67-ეზე, მასპინძელი ჯეკი მაკნამარაც მის გზას გაუყენა, ბოლოს კი თვით კრის სატონიც არ დაინდო და დამთავრებამდე 9 წუთით ადრე მეორე გაფრთხილებით ესაც გასახდელში მიაბრძანა. ცხადია, სწორედ ინგლისელის გაძევებამ გამოიწვია ყველაზე დიდი მითქმა-მოთქმა.

„მეორე კიდევ ჯანდაბას, მაგრამ პირველად სატონი სულ ტყუილად გააფრთხილეს. კი ბატონო, ის ძალისმიერი მოთამაშეა, მაგრამ ფეხბურთი ხომ კაცების თამაშია“ — თქვა „სელტიკის“ ირლანდიელმა მწვრთნელმა მარტინ ონილმა. სამაგიეროდ, მის სტუმარ კოლეგას არ უცდია თავისი გაძევებული ფეხბურთელის დაცვა — მერე რა, რომ ჩემი ძმაა, მაინც დაისჯება, რადგან გიჟივით მოექცა მეტოქესო.

44 წლის პოლ სტაროკი, „დანდი იუნაიტედის“ მწვრთნელი კი ზედიზედ მეორე მარცხის მერე გასახდელში ჩავიდა და ფეხბურთელებს გადადგომის შესახებ ამცნო. მიუხედავად იმისა, რომ წლეულს ამ გუნდს შინ ვერ მოუგია (გასული სეზონის ჩათვლით), ერთ დროს დანდელთა კერპის (15 სეზონი „იუნაიტედში“) გადადგომა მაინც ყველასთვის მოულოდნელი გამოდგა. სტაროკი გუნდთან ერთად დაბრუნდა დანდიში, მაგრამ მოგვიანებით კლუბის თავმჯდომარეს ეახლა და სამსახურიდან გათავისუფლება სთხოვა. სხვა მიზეზებთან ერთად მიმომხილველები იმასაც იხსენებენ, რომ სტაროკმა ვერაფრით იპოვა იმ კაცის შემცვლელი, გასულ დეკემბერს 1,2 მილიონ გირვანქად „რეინჯერსს“ რომ მიჰყიდა. ის კაცი ბილი დოდსი იყო...

ბოლოს კი ჩვენიცა ვთქვათ, ანუ ქალაქ დანდის მეორე ნახევრისა, სადაც იტალიელ მწვრთნელ ივანო ბონეტის ჯერჯერობით არაფერი ემუქრება — მისი გუნდი ლიდერია!

„დანდის“ შთამბეჭდავი სტარტი გრძელდება. შაბათს ხალხი ხეირიანად ვერც მოკალათებულიყო, რომ ნემსაძე — არტეროს მოულოდნელი სვლა შედეგიანი გამოდგა. ქართველი, რომელიც პირველ შეხვედრას ატარებდა საკუთარი მაყურებლის წინაშე, მართლაც შეუდარებელი აღმოჩნდა — ბურთს მიიღებდა და ხალხი ფეხზე დგებოდაო, ვკითხულობთ სქოთურ გაზეთებში, 72-ე წუთზე კი, როცა ბონეტიმ საქმე მოთავებულად მიიჩნია და ნემსაძე შეცვალა, ტაშმა იქაურობა გააყრუა.

გოლი არ გაუტანია, მაგრამ გოლს სჯობდა, რასაც აკეთებდაო — გვამცნობს „დანდის“ ინტერნეტული გვერდი. პირველ ტაიმშივე ორჯერ შეეძლო გიორგის თავის გამოჩენა, მაგრამ ერთხელ სტუმართა მცველმა გამოიტანა ბურთი კარის ხაზიდან, მეორედ კი ჰოლანდიელმა მეკარე რუიტენბეკმა იყოჩაღა. მეორე ტაიმის დასაწყისში „დანფერმლაინმა“ იმძლავრა, რასაც მასპინელთა ფანობამ სიმღერა მოაყოლა — რას უყურებ, „დანდიო“. სიმღერას ცეკვა მოჰყვა, ცეკვა ქართული — გიორგი ნემსაძემ ორ მცველს ჩაუარა („გთხოვთ არ იფიქროთ, რომ ის დარბის. ის ცეკვავს“— კვლავ „დანდის“ ვებგვერდს დავესესხებით), ექსრეინჯერსელმა იან ფერგიუსონმა კი მოცელა. პენალტი არგენტინელმა ხუან სარამ გაიტანა.

სამ წუთში „დანფერმლაინის“ კარში კიდევ ერთი პენალტი დაინიშნა, ამჯერად მეორე არგენტინელის, ფაბიან კაბალიერის წაქცევისთვის. სარამ დაზარალებულ თანამემამულეს დაუთმო და სტუმართა კარი კიდევ ერთხელ შეირხა.

მალე ნემსაძე გამოცვალეს, თუმცა ქართველს 72 წუთიც ეყო, მატჩის საუკეთესო მოთამაშეობა რომ დაემსახურებინა.

შემდეგ შაბათს, მესამე ტურში, „დანდი“ ედინბურგს ჩავა და იქაურ, ასევე გოლგაუშვებელ „ჰიბერნიანს“ ეთამაშება.

					გბგა	კოგბახიძე
დანდი	2	2	0	0	5:0	6
რეინჯერსი	2	2	0	0	6:3	6
სელტიკი	2	2	0	0	3:1	6
ჰიბერნიანი	2	1	1	0	3:0	4
აბერდინი	2	1	1	0	2:1	4
კილმარნოკი	2	1	0	1	3:4	3
ჰარტსი	2	0	2	0	2:2	2
სტ. ჯონსტონი	2	0	1	1	3:4	1
დანფერმლაინი	2	0	1	1	0:3	1
სენტ მირენი	2	0	0	2	1:3	0
მოზერუელი	2	0	0	2	0:3	0
დანდი იუნ.	2	0	0	2	1:5	0

ნემსაძის დღე და პრესა

„დანფერმლაინი“ ტექნიკური ნოკაუტით მოსპეს ბონეტის მნგრეველებმა, რომელთაც წინ მძლეთამძლე ქართველი გიორგი ნემსაძე მიუძღოდა.

...გამოცდილ და მრავლისმნახველ იან ფერგიუსონთან ჭიდილში ნემსაძე მეტად ეფექტური იყო — ბურთი ფეხზე ჰქონდა მიკრული და ნებისმიერი სიტუაციიდან გამოსავალს პოულობდა.

... ნემსაძე ვირტუოზულ წარმოდგენას დირიჟორობდა, მევიოლინეებად კი ბილიო და არტერო ჰყავდა.

... ქართველი ამბობს: ჩვენი მიზანი უკეთ და უკეთ თამაშია. ვფიქრობ, გრძელი გზის ბოლოს მესამე ადგილს და უეფას თასის საგზურს მოვიპოვებთ.

***The Sunday Herald**. გლაზგო. 6 აგვისტო*

ბონეტი გვარწმუნებს, რომ ნემსაძე კიდევ მოუმატებს: „ქართველთა ნაკრების კაპიტანს ბევრი რამ შეუძლია. დარწმუნებული ვარ, მას არა მარტო დანდიში, მთელ შოტლანდიაში დაიმახსოვრებენ.“

***The Scotsman**. ედინბურგი. 7 აგვისტო*

გუშინ ივანო ბონეტის იტალიელებით, ესპანელებით და არგენტინელებით სავსე ეგზოტიკური კოქტეილი ქართველმა ნემსაძემ გათქვიფა. ის ბრწყინვალე იყო.

***News of the World**. ლონდონი. 6 აგვისტო*

როცა მეტოქის გასახდელში ასეთი კაცი გეგულება, უნდა იცოდე, რომ ხიფათი გელის. შეიძლება ითქვას, თამაში ნემსაძემ გახსნა. ძალიან კარგია, როცა უცხოეთიდან შოტლანდიაში ასეთი ხალხი ჩამოდის.

ჯიმი კალდერვუდი, „დანფერმლაინის“ მწვრთნელი

გუშინ ნემსაძის დღე იყო. მან პირველივე საშინაო თამაშში შეაყვარა თავი გულშემატკივრებს. ქართველს ბურთის ფლობისა და ტარების შესაშური უნარი აქვს.

***Scotland on Sunday**. ედინბურგი. 6 აგვისტო*

ნემსაძის ფასი დღითიდღე მატულობს. ბონეტი კი ამბობს, რომ გიორგი ჩვეულ ფორმაში ჯერ არაა, მაგრამ თუ ეს ნახევარფომაა, შემდგომში პრემიერლიგას საფრთხე ემუქრება.

***The Courier**. დანდი. 7 აგვისტო*

ალექსანდრ შირკოსა (№10) და „სპარტაკისთვის“ ვორონეჟში მარცხი ბოლო ხუთ თამაშში მეოთხე გამოდგა

რუსეთი

XX ტური

როტორი 1:1 კრილია
1:0 ზერნოვი (52), 1:1 ედუ მორეირა (67)

ფაკელი 1:0 სპარტაკი
1:0 შუკანოვი (27)

სატურნი 2:2 როსტსელმაში
1:0 სმერტინი (10), 1:1 დაცენკო (31), 2:1 სოლოვიოვი (44), 2:2 ხანკევიჩ (89)

დინამო 4:2 ალანია
1:0 გუსევი (29), 2:0 მედვედევი (32), 3:0 ბისტროვი (43), 3:1, 3:2 თედეევი (60, 69), 4:2 რომაშენკო (89)

ნ. ნოვგოროდი 2:0 ურალანი
1:0, 2:0 დრეგუში (66, 81)

ტორპედო 0:1 ცსკა
0:1 ხომუსა (67)

ჩერნომორეცი — ზენიტი
გაიმართება 10 სექტემბერს

ვორონეჟის „ფაკელმა“, რომელსაც ჯერ კიდევ ერთი თვის წინ უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნას უწინასწარმეტყველებდნენ, „სპარტაკი“ დაამარცხა. „ეს ისტორიული გამარჯვებაა, ფეხბურთი ასეთი მომენტებითაა ლამაზი“ — თქვა მატჩის შემდეგ ვორონეჟელთა მწვრთნელმა ვალერი ნენენკომ.

პირველ ტაიმში მოსკოველებმა ერთადერთხელ დაარტყეს მასპინძელთა კარში — შირკომ ბურთი ხარიხას ოდნავ გადააცილა. ამ მომენტიდან რამდენიმე წუთში კი ვორონეჟელთა თითქოს არცთუ სახიფათო შეტევა „სპარტაკისთვის“ საბედისწერო გამოდგა. სპარტაკელმა ჩუისემ მეტოქის მაღალი ჩაწოდებულის საჯარიმოდან გატანა სცადა, თუმცა მეტად უხეიროდ, შედეგად ბურთი ვორონეჟელ იუმინოვს დარჩა. მან შუკანოვს დაუგორა, მის უძლიერეს დარტყმულს კი ფილიმონოვმა მხოლოდ თვალი გააყოლა.

შესვენების შემდეგ სპარტაკელები უფრო სახიფათოდ და აგრესიულად ათამაშდნენ. მარტო შირკოს იმდენი კარგი მომენტი ჰქონდა, ორი-სამი გოლი მაინც უნდა გაეტანა, მაგრამ ვორონეჟელთა გასაბარად, მუდამ არაზუსტად არტყამდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მასპინძელთა საჯარიმოსთან თითოეული მიახლოვება მოსკოველებს ტიტანურ შრომად უჯდებოდათ — „ფაკელი“ ძალიან კარგად თამაშობდა, რაც მატჩის შემდეგ „სპარტაკის“ მეორე მწვრთნელმა ვიაჩესლავ გროზნიმაც დაადასტურა.

მსაჯის საფინალო სასტვენს კი ვორონეჟელი გულშემატკივრების სიხარულის გამაყრუებელი შეძახილები და ცეცხლწაკიდებული გაზეთების ფოიერვერკი მოჰყვა. თუმცა ამ უწყინარი ქმედების გარდა იმ დღეს ვორონეჟში უფრო სერიოზული ამბებიც დატრიალდა.

მოვლენათა ეპიცენტრად სასტუმრო „ბრნო“ იქცა. სასტუმროს ადმინისტრაცია თავიდან გახარებული იყო, „სპარტაკი“ და მისი ფანობა მათთან დაბინავდა, რაც სასტუმროს სალაროს არცთუ მცირე მოგებას მოუტანდა.

ჯობდა, სულაც ქუჩაში გაეთიათ ღამე მოსკოველმა ფანებმა „ბრნოს“ პირველ სართულზე მდებარე რესტორან „ფლამენგოს“ მიაშურეს, ნაწილიც ქუჩის გადაღმა ღია კაფეში მოკალათდა და დაიწყო, ჯერ სმა, მერე მილიციასთან ჭიდილი.

ეჰ, სად იყო კინოოპერატორი, თორემ კაპიკის დაუხარჯავად მშვენიერ „ბოევიკს“ გადაიღებდა: სირენების წივილით მქროლავი მილიციის „უაზები“, ქომაგთა მიერ მათთვის დამიზნებული ლუდის ბოთლები, ქუჩებში წივილ-კივილით მორბენალი ქალები, ბაზრიდან მიმავალთ, ჩანთებიდან სანოვაგე რომ უცვივოდათ და, რა თქმა უნდა, სროლა...

თუმცა წმინდა საფეხბურთო ამბებს ძალიანაც ნუ გავცდებით და ტურის სხვა შეხვედრებს მივუბრუნდეთ. „ფაკელი“ — „სპარტაკის“ მატჩზე თხრობა კი იმით დავასრულოთ, რომ ცსკასთან გაძევებულმა ოთარ ხიზანეიშვილმა სასჯელი მოიხადა, მაგრამ მწვრთნელმა მისი სათადარიგოთა შორის დატოვება ამჯობინა.

მოსკოვში ვალერი გაზაევმა თავის ყოფილ კლუბ „ალანიას“ უმასპინძლა. პირველი ტაიმი სტუმრებს კარგს არაფერს უქადდა. დინამოელი გუსევის, მედვედევისა და ბისტროვის გოლებით ისინი 0:3 აგებდნენ და „დინამოს“ ფანები სიამოვნებისგან ხელებს იფშვეტდნენ, შესვენების მერე ერთ ამდენს კიდევ გავუტანთო, მაგრამ...

შეხვედრა განახლდა და 70-ე წუთისთვის ტაბლოზე უკვე 3:2 აციმციმდა. ორივე საპასუხო გოლი ოსთა კაპიტანმა ბახვა თედეევმა გაიტანა. სადაც ორი, იქ მესამის გატანაც შეიძლება და სტუმრებმა ცოტა არ იყოს, დაბნეულ მოსკოველებს მეტი გააფთრებით შეუტიეს. შედეგმაც არ დააყოვნა — 83-ე წუთზე „დინამოს“ კარში პენალტი დაინიშნა. დარტყმა კუტარბამ ითავა, სწორედ იმ ფეხბურთელმა, რომელიც ახლახან მოსკოვის „დინამოში“ ისინჯებოდა და დედაქალაქელებმა მისი ყიდვა მხოლოდ ფულის ნაკლებობის გამო ვერ შეძლეს.

დარტყმამდე კი ერთი საინტერესო რამ მოხდა. დინამოელთა მეკარე ტუმილოვიჩი კუტარბასთან მივიდა, რაღაც წასჩურჩულა და თავზე ხელი მოუთათუნა. მერე იყო დარტყმა, რომელიც მეკარემ ბრწყინვალე ნახტომში მოიგერია. ნირწამხდარ ალანიელებს მეტი მომენტი აღარც ჰქონიათ, დინამოელებმა კი ბოლოსწინა წუთზე მეოთხეც შეაგდეს და სამი ქულა მიითვალეს.

სხვა შეხვედრებიდან კი მნიშვნელოვანი ნიჟნინოვგოროდელთა პირველი გამარჯვებაა, თუმც ტურის მთავარი მოვლენა მაინც „სპარტაკის“ მარცხია, ბოლო ხუთ ტურში მეოთხე.

გიორგი დარჯანია

სპარტაკი	22	15	1	6	46:22	46
ლოკომოტივი	20	12	6	2	25:10	42
ტორპედო	21	11	5	5	27:20	38
ანჟი	19	11	3	5	28:14	36
ჩერნომორეცი	19	9	6	4	33:14	33
დინამო	21	9	6	6	31:26	33
ზენიტი	19	9	5	5	26:16	32
სატურნი	21	8	6	7	20:22	30
ალანია	20	6	5	9	20:27	23
როტორი	20	6	5	9	23:36	23
როსტსელმაში	19	4	9	6	16:17	21
ცსკა	20	6	3	11	18:29	21
ფაკელი	20	4	9	7	19:31	21
კრილია	20	6	2	12	21:36	20
ურალანი	20	2	5	13	12:28	11
ნ. ნოვგოროდი	19	1	6	12	9:26	9

ნოდიას ყოფილი იშლება

სანამ სანკტ პეტერბურგის „ზენიტი“ ინტერტოტოს ფინალისთვის ემზადება და უეფას თასზე მოხვედრას ლამობს, რუსეთის ჩრდილოეთის დედაქალაქის მეორე გუნდი — „ლოკომოტივი“ დაშლის პირას მისულა და დღე-დღეზე შესაძლოა იგივე ბედი ეწიოს, რაც რამდენიმე დღის წინ ჩუკოტკის „სპარტაკს“.

ჩვენი ფეხბურთელები თებერვლის მერე უხელფასოდ თამაშობენენ, ჩივის „ლოკომოტივის“ მწვრთნელი ვიქტორ ნიკიტენკო. რამდენი თვეა გასული თებერვლის მერე? ხუთი. ჩვენ ხუთი თვე სასაცილოდაც არ გვეყოფა, რადგან ნახევარი საქართველო წლობით უხელფასოდ მუშაობს, მაგრამ „ლოკომოტივის“ უბედურება ისაა, რომ მშობლიურ ქალაქშიც არავის ებრალება — იქ მხოლოდ „ზენიტი“ აინტერესებთ.

სარბიელიდანაც გამოუგდიათ, კიროვის სახელობის სტადიონზე უთქვამთ, იჯარის ფულს თუ ვერ იხდით, წადით, ეზოს ფეხბურთი ითამაშეთო. მოკლედ, საშველი არ ჩანს.

სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივი“ ქართველთათვის კარგად ნაცნობი გუნდია (სულ მალე ვიტყვით, იყო). სხვადასხვა დროს იქ რვა ქართველი თამაშობდა: ალექსანდრე ბურნაძე, ვარლამ და გიორგი კილასონიები, გრიგოლ ჭანტურია, მამუკა ხუნდაძე, ზვიად და გიზო ჯელაძეები და არჩილ ჩხაბერიძე. მათი თავკაცი კი გივი ნოდია გახლდათ.

გიორგი დარჯანია

საფრანგეთი

II ტური

რენი 1:1 პარი სენ ჟერმენი
1:0 შაპუ (28), 1:1 დალმა (75)
18 000 მაყურებელი

ლანსი 3:2 გინგამი
1:0 მორეირა (21), 1:1 როდრიგესი (55), 2:1 სახო (69), 3:1 დიუფი (74), 3:2 ფიორესე (88)
35 000 მაყურებელი

მეცი 1:2 ოსერი
1:0 პიერი (7), 1:1 კაბო (31), 1:2 ჯ. სისე (88)
22 000 მაყურებელი

ტრუა 1:1 ტულუზი
0:1 ბონილია (8), 1:1 ვ. ჯუკიჩი (36)
17 000 მაყურებელი

სტრასბური 0:4 ლილი
0:1 მურატი (40), 0:2 პიერლადე (64), 0:3, 0:4 კოლო (78, 87)
25 000 მაყურებელი

ბასტია 2:0 ბორდო
1:0, 2:0 ნე (45, 89)

მონაკო 2:5 ნანტი
1:0 ნონდა (5), 1:1 მონტერუბიო (9), 1:2 და როშა (19), 1:3 მონტერუბიო (19), 1:4 ზიანი (31), 2:4 ბონალი (59), 2:5 ოლემბე (85)
15 000 მაყურებელი

სენტ ეტიენი 3:0 მარსელი
1:0 სარი (28), 2:0, 3:0 ალექსი (70, 72)
29 544 მაყურებელი

სედანი 1:1 ლიონი
0:1 მარლე (84), 1:1 ნდიეფი (86)
12 000 მაყურებელი

როცა ქვეყნის ჩემპიონი ახალი სეზონის პირველივე საშინაო მატჩში მარცხდება, ეს მოულოდნელობაა. მაგრამ თუ ჩემპიონი 2:5 აგებს, მომხდარს სენსაციის სუნი უდის.

„მონაკომ" თამაში აგრესიულად დაიწყო. ჟიულის პირველივე დარტყმა სტუმართა ხარიხას ოდნავ გადასცდა. პირველ მომენტს მეორე მოჰყვა, როცა იმავე ჟიულმა შაბანი ნონდა მეკარესთან პირისპირ დატოვა და მანაც ანგარიში გახსნა. ეს უკვე მე-4 წუთზე მოხდა.

შემდგომმა მოვლენებმა კი აჩვენა, რომ იმ დღეს იღბალი ნანტელთა მხარეს იყო. პირველი ტაიმის 22-წუთიან მონაკვეთში მათ ხუთჯერ დაარტყეს მონაკოელთა კარში და ოთხი გოლი გაიტანეს. განსაკუთრებით თამამი კი ფრედერიკ და როშასი გამოდგა — საბოლოო დარტყმამდე მან მეტოქის სამი მცველი ჩამოიტოვა.

შესვენების შემდეგ „მონაკომ" ისღა მოახერხა, რომ ნიკოლა ბონალის გოლით სხვაობა შეამცირა, თუმცა შეხვედრის მიწურულს კონტრიერში გამოეპარა და სალომონ ოლემბემ ჩემპიონებს მეხუთეც შეუგდო.

მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, „მონაკოს" მწვრთნელმა კლოდ პიუელმა განაცხადა, დამნაშავის ძებნა უსარგებლოა, მარცხის მიზეზი ის გახლავთ, რომ კოლექტიური თამაში ვერ ავაწყეთო. თუმც მიზეზებზე უფრო დაწვრილებით კლუბის პრეზიდენტმა ჟან ლუი კამპორამ ისაუბრა: „დროა, მიწაზე დავეშვათ. ზოგს ჰგონია, რომ სასტარტო შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვს. შეცვლაზე შესული მოთამაშეები დიდი მონდომებით თამაშობდნენ, ისინი კი, ვისაც თავიდანვე ვენდეთ, უნიათოდ ირჯებოდნენ. შემცვლელი ყველას მოეძებნება, ამიტომ ზოგიერთებმა, უპირველესად ახალწვეულებმა, სჯობს, მეტი იფიქრონ თავის სამუშაოზე. თორემ რა გამოდის? მთელი ზაფხული ახალწვეულთა ბინების ძებნაში და მათი ნათესავების მიღება-გასტუმრებაში გავატარეთ".

თუკი „მონაკოს" მარცხი სენსაციურად მოინათლა, „მარსელისა" არავის გაკვირვებია. ოდინდელმა სახელოვანმა გუნდმა წაგებებს კარგა ხანია, გაუგო გემო.

წინა სეზონის მსგავსად, მარსელელთა სენტ ეტიენში სტუმრობა კარგით დასრულდა. მაშინ მასპინძლებმა 5:1 მოიგეს, რომელთაგანაც ოთხი ბრაზილიელმა ალექსმა გაიტანა. ამჯერად „სენტ ეტიენმა" უფრო „მოკრძალებული" ანგარიშით — 3:0 მოიგო. ჯალათის ფუნქცია კი ისევ ალექსმა იკისრა.

საინტერესოა, რომ ალექსს პირველ ტურში არ უთამაშია, მან კლუბის ხელმძღვანელობის მისამართით ორიოდე უკმეხი სიტყვა თქვა, რის გამოც მას, დასჯის მიზნით, სათადარიგოთა სკამისკენ მიუთითეს. სათადარიგოთა შორის იყო ალექსი „მარსელთან" მატჩის დაწყებისასაც და მოედანზე მხოლოდ 66-ე წუთზე გაიყვანეს. ექვსი წუთის შემდეგ კი ბრაზილიელი ორი გოლის ავტორი იყო.

აღსანიშნავია, რომ აქამდე „სენტ ეტიენსა" და „მარსელს" ურთიერთშეხვედრებში მოგებათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ. ახლა უპირატესობა პირველთა მხარესაა — 38:37. ალექსი კი, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის გმირი გახდა, ძველი ცოდვისთვის დაჯარიმებას ვერ გადაურჩა. „ფეხბურთელები კლუბისგან სულ უფრო და უფრო დიდ ხელფასებს ითხოვენ — ამბობს „სენტ ეტიენის" მწვრთნელი რობერ ნუზარე — შესაბამისად, ჩვენც გაზრდილ მოთხოვნებს ვუყენებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვირები ვიქნებოდით".

ორი ტურის შემდეგ ჩემპიონატს „ლანსი" და „ბასტია" ლიდერობენ. ლანსელებმა მეორე დივიზიონიდან აღზევებულ „გინგამს" სძლიეს, ხოლო კორსიკელებმა ფრანგთა კიდევ ერთ სახელოვან გუნდს — „ბორდოს". ბასტიელთა ორივე გოლი ფრედერიკ ნეს ანგარიშზეა. ერთი გოლი მას პირველ ტურშიც ჰქონდა გატანილი და ახლა ბომბარდირთა სიასაც სათავეში უდგას.

აღსანიშნავია, რომ „ბორდოს" თავდასხმაში სილვენ ვილტორდი და ლილიან ლასლანდი აკლდა.

რაკი ლიდერები ვახსენეთ, აქვე გეტყვით, რომ მესამეადგილოსანი „ლილი", პირველი დივიზიონის დებიუტანტი, პირველ ტურში „მონაკოს" ტოლსწორად ეთამაშა, ახლა კი სტუმრად „სტრასბურს" 4:0 მოუგო. დებიუტიც ასეთი უნდა.

					გ						
ლანსი	2	2	0	0	5:2	6
ბასტია	2	2	0	0	3:0	6
ლილი	2	1	1	0	5:1	4
სენტ ეტიენი	2	1	1	0	5:2	4
პსჟ	2	1	1	0	4:2	4
სედანი	2	1	1	0	2:1	4
ნანტი	2	1	0	1	5:4	3
ოსერი	2	1	0	1	2:2	3
მარსელი	2	1	0	1	3:4	3
ლიონი	2	0	2	0	3:3	2
რენი	2	0	2	0	3:3	2
გენგამი	2	0	1	1	4:5	1
მეცი	2	0	1	1	2:3	1
ტულუზი	2	0	1	1	1:2	1
ტრუა	2	0	1	1	2:4	1
ბორდო	2	0	1	1	1:3	1
მონაკო	2	0	1	1	3:6	1
სტრასბური	2	0	0	2	1:7	0

ბომბარდირები

ფრედერიკ ნე (ბასტია)	3
ელ-ჰაჯი დიუფი (ლანსი)	2
პატრიკ კოლო (ლილი)	2
ოლივიე მონტერუბიო (ნანტი)	2
ალექსი (სენტ ეტიენი)	2

მეორე დივიზიონი

მე-2 ტური. ლორიანი — ნიმი 1:1; ანჟერი — აიაჩო 1:1; კანი — ნიორი 6:4; გენიონი — ნიცა 1:2; ლე ავრი — ბოვუა 1:0; ლე მანი — მარტიგი 2:2; მონპელიე — კაენი 2:0; სოშო — შატორუ 5:0; ვასკეალი — კრეტეი 1:1

მონპელიე	2	2	0	0	5:1	6
სოშო	2	1	1	0	8:3	4
კანი	2	1	1	0	8:6	4
კრეტეი	2	1	1	0	3:2	4
აიაჩო	2	1	1	0	2:1	4
ნიცა	2	1	1	0	2:1	4
ლე ავრი	2	1	1	0	1:0	4
ლავალი	1	1	0	0	2:0	3
ნანსი	1	1	0	0	1:0	3
ნიორი	2	1	0	1	7:8	3
ნიმი	2	0	2	0	4:4	2
მარტიგი	2	0	2	0	3:3	2
ანჟერი	2	0	1	1	3:4	1
ლორიანი	2	0	1	1	2:3	1
ლე მანი	2	0	1	1	2:3	1
ვასკეალი	2	0	1	1	1:2	1
კაენი	2	0	1	1	2:4	1
შატორუ	2	0	1	1	1:6	1
ბოვუა	2	0	0	2	1:4	0
გენიონი	2	0	0	2	1:4	0

REUTERS რუნიდან

რენი — პარი სენ ჟერმენი 1:1. ნიკოლა ანელკამ (№9) პარიზელთა შემადგენლობაში წლეულს პირველად ითამაშა

შვეიცარია

V ტური

არაუ 2:1 ციურიხი
0:1 ბარტლეტი (1), 1:1 პრევიტალი (3), 2:1 ბაუდრი (10)
არაუ: ბენიტო, ბადერი, სკრეპჩეკი, პავლიჩევიჩი, ფიხტერი, პრევიტალი, ჰეგი (იოდიჩი 67), ბაუდრი, დე ნაპოლი, ივანოვი (ხოშერიკი 74), ვიდერკერი
მწვრთნელი: როლფ ფრინგერი
ციურიხი: პასკოლო, კასტილიო, ფიშერი, კვენტინი, ჯანინი (კუბე 87), ჰელდმანი (ფრიკი 69), ჯამბარაული, ბალასი, დუგლასი (შასო 64), ბარტლეტი, ცაველაშვილი
მწვრთნელი: ფილბერ გრეი
3 900 მაყურებელი

ლუგანო 0:0 �ონი
5 800 მაყურებელი

ივერდონი 1:0 ბაზელი
1:0 კონსტანტინუ (67)
3 800 მაყურებელი

გრასჰოპერი 4:0 ლუცერნი
1:0, 2:0 იაკინი (44, 49), 3:0 კაბანასი (51), 4:0 ეკოკუ (88)
5 800 მაყურებელი

სერვეტი 5:2 ცსამაძსი
1:0 დიოგო (18), 2:0, 3:0, 4:0 რეი (21, 24, 37), 5:0 ვიურენსი (40), 5:1, 5:2 კოხი (81), 84)
3 010 მაყურებელი

სენტ გალენი 3:1 ლოზანა
1:0 განე (44), 1:1 კუცბა (52), 2:1, 3:1 ჯაირო (61, 80)
9 000 მაყურებელი

სენტ გალენი	5	3	1	1	8:3	10
ლუგანო	5	3	1	1	4:1	10
სიონი	5	3	1	1	4:4	10
გრასჰოპერი	5	3	0	2	13:2	9
ბაზელი	5	3	0	2	12:8	9
ლოზანა	5	3	0	2	10:8	9
სერვეტი	5	2	1	2	9:10	7
ივერდონი	5	1	2	2	5:7	5
ქსამაქსი	5	1	2	2	5:12	5
არაუ	5	1	1	3	3:8	4
ციურიხი	5	0	3	2	4:6	3
ლუცერნი	5	0	2	3	5:13	2

ნორვეგია

მე-18 ტური. ბოდო გლიმტი — სტაბეკი 3:3, ბრინი — ჰაუგესუნდი 1:0; ოდ გრენლანდი — მოლდე 3:0; როსენბორგი — ვიკინგი 1:2; ტრომსიო — ბრანი 4:1; ვოლერენგა — მოსი 2:2

რუსენბორგი	18	12	4	2	40:17	40
ტრომსიო	18	9	5	4	36:29	32
ვიკინგი	17	9	3	5	34:24	30
ბრანი	17	9	3	5	38:30	30
ოდ გრენლანდი	18	8	5	5	30:22	29
მოლდე	18	7	5	6	26:33	26
სტაბეკი	16	7	3	6	39:23	24
ლილესტრიომი	16	6	6	4	24:15	24
ბოდიო გლიმტი	18	4	9	5	36:40	21
მოსი	18	5	6	7	25:34	21
ვოლერენგა	18	4	7	7	24:25	19
ბრინი	18	4	4	10	24:39	16
ჰაუგესუნდი	18	3	3	12	24:46	12
სტარტი	16	2	3	11	20:43	9

პოლონეთი

მე-3 ტური. ზაგლებე — რადომსკი 3:1, ზლოცკი — ოდრა 2:2; ვისლა — ვიძევი 2:2; ამიცა — სტომილი 2:0; ლეგია — გროცლინი 3:1; რუხი — პოგონი 0:1, კატოვიცე — პოლონია 0:0; ზლოცკი — გურნიკი 1:0

ლეგია	3	3	0	0	5:1	9
ვისლა	3	2	1	0	9:2	7
პოგონი	3	2	[illegible]	0	3:0	7
ზაგლებე	3	2	0	1	6:4	6
ამიცა	3	2	0	1	5:3	6
პლოცკი	3	2	0	1	4:3	6
პოლონია	3	1	1	1	4:2	4
ვიძევი	3	1	1	1	6:6	4
ზლიონსკი	3	1	1	1	3:4	4
გურნიკი	3	1	0	2	4:3	3
კატოვიცე	3	0	3	0	0:0	3
სტომილი	3	1	0	2	4:7	3
რუხი	3	1	0	2	3:6	3
ოდრა	3	0	2	1	3:5	2
გროცლინი	3	0	0	3	1:7	0
რადომსკოვი	3	0	0	3	1:8	0

შპრანგი

მე-6 ტური. დინამო — ვორსკლა 2:1, ზაპოროჟიე — კარპატი 1:0; კრივბასი — ნივა 0:1; დნიპრო — მეტალურგი 0:1; მეტალისტი — სტალი 2:0; მარიუპოლი — ცსკა 1:1; ტავრია — შახტარი გადადო

კრივბასი	5	3	1	1	10:6	10
დინამო	5	3	1	1	8:5	10
დნიპრო	5	3	1	1	5:3	10
შახტარი	4	3	0	1	10:4	9
ტავრია	4	3	0	1	8:5	9
ცსკა	5	2	3	0	5:3	9
მეტალურგი	5	3	0	2	6:7	9
მეტალისტი	5	2	2	1	7:4	8
მარიუპოლი	5	2	[illegible]	2	5:6	7
კარპატი	5	2	0	3	7:7	6
ნივა	5	1	2	2	3:6	5
ზაპოროჟიე	5	1	0	4	4:9	3
სტალი	5	0	1	4	5:12	1
ვორსკლა	5	0	0	5	2:8	0

ავსტრია

გადადებული მატჩები

გრაცერი — ზალცბურგი 1:1; აუსტრია — რიდი 2:1

რაპიდი	6	4	2	0	15:5	14
აუსტრია	5	3	2	0	9:2	11
შტურმი	5	3	1	1	12:8	10
რიდი	6	3	1	2	13:10	10
ზალცბურგი	5	3	1	1	8:5	10
ტიროლი	6	2	3	1	12:7	9
გრაცერი	6	1	3	2	6:11	6
ლინცერი	6	1	0	5	5:15	3
ბრეგენცი	5	0	2	3	5:11	2
ადმირა	6	0	1	5	6:17	1

ჩეხეთი

მე-2 ტური. ბრნო — სპარტა 1:2; სლავია — პლზენი 2:1; ბლშანი — სიგმა 0:0; პრეგრამი — ტეპლიცე 0:0; ფიკოვი — ბანიკი 1:2; იაბლონეცი — ლიბერეცი 1:3; ბუდეიოვიცე — ბოჰემიანსი 0:1; დრნოვიცე — სინოტი 0:2

ლიბერეცი	2	2	0	0	7:3	6
სპარტა	2	2	0	0	5:1	6
ბანიკი	2	2	0	0	4:2	6
ბლშანი	2	1	1	0	3:1	4
სინოტი	2	1	1	0	3:1	4
სლავია	2	1	1	0	3:2	4
ბოჰემიანსი	2	1	1	0	2:1	4
ტეპლიცე	2	0	2	0	0:0	2
სიგმა	2	0	2	0	0:0	2
პლზენი	2	0	1	1	3:4	1
ბუდეიოვიცე	2	0	1	1	2:3	1
იაბლონეცი	2	0	1	1	2:4	1
პრეგრამი	2	0	1	1	0:3	1
ბრნო	2	0	0	2	2:4	0
ფიკოვი	2	0	0	2	3:6	0
დრნოვიცე	2	0	0	2	1:5	0

დანია

მე-3 ტური. ჰერფიოლგე — ვიბორგი 1:5; მიდტიულანდი — ბრონდბიუ 2:2; აკადემისკი — ჰადერსლევი 4:0; ოდენსე — ორჰუსი 4:0; კოპენჰაგენი — ლიუნგბიუ 1:2; ოლბორგი — სილკებორგი 1:2

ვიბორგი	3	2	1	0	7:2	7
სილკებორგი	3	2	1	0	5:3	7
ოლბორგი	3	2	0	1	6:5	6
ლიუნგბიუ	3	2	0	1	5:6	6
ორჰუსი	3	2	0	1	3:5	6
აკადემისკი	3	1	2	0	6:2	5
მიდტიულანდი	3	1	1	1	7:4	4
ოდენსე	3	1	1	1	4:1	4
კოპენჰაგენი	3	1	0	2	6:4	3
ბრონდბიუ	3	0	2	1	3:4	2
ჰერფიოლგე	3	0	0	3	4:11	0
ჰადერსლევი	3	0	0	3	2:11	0

უნგრეთი

III ტური

A ჯგუფი

შობრონი — დუნაუერი 1:2; ფერენცვაროში — დიორ ეტო 1:3; ჰონვედი — ნიირშეგი 2:0; ტატაბანია — ჰალადაში 2:1

ტატაბანია	2	2	0	0	4:1	6
დიორ ეტო	3	2	0	1	5:4	6
ჰონვედი	3	1	1	1	4:3	4
დუნაფერი	2	1	1	0	3:2	4
ფერენცვაროში	2	1	0	1	5:3	3
ჰალადაში	3	1	0	2	4:6	3
ნიირშეგი	3	1	0	2	2:4	3
შოპრონი	2	0	0	2	1:5	0

B ჯგუფი

ვიდეოტონი — უიპეშტი 1:4; მტკ — ნადიკანიჟა 6:0; ზალაეგერსეგი — ვაშაში 3:2; დებრეცენი — ჰეჩი 2:0

მტკ	3	3	0	0	11:1	9
უიპეშტი	3	2	1	0	12:4	7
ზალაეგერსეგი	3	1	2	0	4:3	5
ვიდეოტონი	3	1	1	1	5:6	4
დებრეცენი	3	1	0	2	6:10	3
ვაშაში	3	0	2	1	4:5	2
ჰეჩი	3	0	1	2	1:6	1
ნადიკანიჟა	3	0	1	2	0:8	1

უელდეთი

მე-14 ტური. ჰელსინგბორგი — ჰალმსტადი 1:0; ნორჩიოპინგი — ელფსბორგი 0:1; იორებრო — იორგრიტე 1:3; სუნდსვალი — ტრელებორგი 4:2; გაის — ჰაკენი 1:1; ჰამარბი — ფრიოლუნდა 3:0

ჰალმსტადი	14	9	1	4	23:11	28
გიოტებორგი	14	6	5	3	22:16	23
აიკ	13	7	2	4	17:16	23
ელფსბორგი	14	7	1	6	22:19	22
ჰამარბი	13	6	3	4	16:13	21
ნორჩიოპინგი	14	5	5	4	20:15	20
ჰელსინგბორგი	14	6	2	6	18:17	20
სუნდსვალი	14	5	3	6	20:21	18
ტრელებორგი	14	5	3	6	13:15	18
იორგრიტე	13	6	0	7	14:17	18
იორებრო	13	4	4	5	21:20	16
ჰაკენი	14	3	6	5	22:26	15
გაის	13	2	6	5	13:18	12
ფრიოლუნდა	13	2	3	8	7:24	9

ბელგია

სუპერთასი

ანდერლეხტი 3:1 გენკი
1:0 პირარი (35), 2:0 სტოიკა (40), 2:1 ტაისი (44), 3:1 ანასტასიუ (60)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუნხენის „ბაიერნის“ 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ოთხთა ტურნირი

ბაიერნი

ორი ჯოლდო ერთ კვირაში

REUTERS მიუნხენიდან

„ოპელ მასტერსის“ პრიზი ოლივერ კანმა ჩაიბარა

ნახევარფინალი

მანჩესტერი 1:0 რეალი

1:0 სოლსკიაერი (90)
28 000 მაყურებელი

ბაიერნი 3:1 გალათასარაი

1:0 სანტა კრუზი (9), 2:0 კუფური (55), 3:0 ციკლერი (85), 3:1 ჰაჯი (89)
32 000 მაყურებელი

მატჩი მესამე ადგილისთვის

რეალი 3:2 გალათასარაი

0:1 ფარუკი (6), 1:1 ვედათი (11ჯ.), 1:2 მარსიო დუშ სანტუში (13), 2:2 სავიო (50), 3:2 რაული (77)
30 000 მაყურებელი

ფინალი

ბაიერნი 3:1 მანჩესტერი

1:0 შოლი (44ჯ), 2:0, 3:0 ციკლერი (62, 70), 3:1 ფორჩუნი (85)
ბექმმა ვერ გაიტანა პენალტი (51, მეკარე)
ბაიერნი: კანი, სანიოლი (ბ. ანდერსონი 46), სფორცა, ლინკე, ტარნატი, ვისინგერი (ჰარგრივსი 63), ფინეი (ჰტრუნეი 46, ვოიცეხოვსკი 74), იერმისი, შოლი, სანტა კლუზი (სალიპამიჯიჩი 62), ციკლერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ბერგი, სილვესტრი (უოლვორკი 74), ფ. ნევილი, ბექმმი (გიგზი 74), ბათი, კინი (სქოულზი 74), ფორჩუნი, იორკე, კოული (შერინგემი 76)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მსაჯი: ჰ. ფანდელი (გერმანია)
52 000 მაყურებელი

მიუნხენის ოთხთა ტურნირი „ბაიერნის“ საუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა და ორგანიზატორებმა მას „მასტერს 2000“ უწოდეს.

მართალია, შეჯიბრი ამხანაგური ხასიათისა იყო, მაგრამ მასპინძლებმა, მისთვის მეტი ინტერესის მისაცემად, ის გუნდები მიიწვიეს, ვისთანაც ძველი ანგარიშები ჰქონდათ გასასწორებელი. თუ ნახევარფინალში „ბაიერნი“ „გალათასარაის“ სძლევდა, რაშიც გერმანელებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, ფინალში ან „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაუხვდებოდათ, ან „რეალი“. ჩემპიონთა ლიგის წინა ორ სეზონში მიუნხენელთა ამ გუნდებთან დრამატული პაექრობის ამბები კი გეხსომებათ. თავის მხრივ, მანჩესტერელებსაც მადრიდელებზე ჯავრი უნდა ეყარათ. მოკლედ, ტურნირი კარგი სანახავი უნდა ყოფილიყო.

მატჩების მიმოხილვა მადრიდელთა შეცდომით დავიწყოთ. ნახევარფინალში „მანჩესტერის“ წინააღმდეგ მათ ძალიან კარგად ითამაშეს (არაოფიციალური მატჩის კვალობაზე), მაგრამ ერთი რამ ვერ გათვალეს — როცა ალექს ფერგიუსონის გუნდს ხვდები, სერ ალექსს კი მინდორზე ოლე გუნარ სოლსკიაერი ჰყავს, ბოლო წუთებზე განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებს. ნორვეგიელს რომ სწორედ საფინალო სასტვენის წინ უყვარს გოლების გატანა, აქამდეც ვიცოდით და ახლა ერთხელაც დადასტურდა. ასე რომ, ხელმძღვანელობის (ხელმძღვანელების) შეცვლის შემდეგ „რეალმა“ პირველი თამაში წააგო, ხოლო „მანჩესტერმა“ — პირველი მოიგო. აღსანიშნავია, რომ ესპანელებს სხვა რამეშიც გაუცრუვდათ იმედი — ვისენტე დელ ბოსკეს იქამდე, მილანური მატჩის მსგავსად, ლუიშ ფიგუ სათადარიგოთა სკამზე ეჯდა.

მეორე ნახევარფინალში „ბაიერნი“ უეფას თასის მფლობელს იოლად გაუსწორდა. მასპინძლებმა შესვენებამდე ერთი გოლი იკმარეს, რომელიც პარაგვაელმა როკი სანტა კრუზმა მე-9 წუთზე ახლო მანძილიდან დარტყმით შეაგდო. მეორე ტაიმში კი „ბაიერნის“ მეორე ლეგიონერმა, განელმა სამუელ კუფურმა ისახელა თავი და კუთხურის ჩაწოდების მერე სხვაობა გაზარდა. თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა ალექსანდრ ციკლერმა მეპჰეთ შოლის პასით მესამეც გაიტანა. სტამბოლელთაგან ერთი, აღარაფრის მომცემი საპასუხო ევრო 2000-ის ერთ-ერთმა ანტიგმირმა, გეორგე ჰაჯიმ შეაგდო.

მესამე ადგილისთვის მატჩში გალათასარაელებმა საწყის 13 წუთში სამი გოლი გაიტანეს, თამაში კი მაინც წააგეს. თუმცა აღსანიშნავია, რომ იმ სამიდან ერთი ვედათმა საკუთარ კარში ჩაჭრა. ამის გამო თურქები შესვენებაზე ორის ნაცვლად ერთბურთიანი უპირატესობით გავიდნენ.

„რეალი“ მეორე ტაიმში ათამაშდა. ჯერ სავიომ აღადგინა წონასწორობა, მერე კი რაულმა გამარჯვების გოლიც შეაგდო.

ამ შეხვედრაში გატანილი ხუთი ბურთიდან აღნიშვნის ღირსი უპირველესად სავიოსია. საგოლე პასი მას ლუიშ ფიგუმ ჩააწოდა, რითაც პორტუგალიელმა თავის ახალ კლუბს პირველი სარგებელი მოუტანა. ფიგუ ამბობს: „რეალთან“ ერთად სულ ხუთჯერ ვივარჯიშე, რის გამოც არ მეგონა, თუ თანაგუნდელებს ასე კარგად შევეწყობოდი და თამაში წამივიდოდა“.

საინტერესოა ესპანური პრესის გამოხმაურებაც. როგორ ითამაშა პორტუგალიელმა? რას წერენ იქაური გაზეთები? ამ კითხვაზე პასუხი იმაზეა დამოკიდებული, მადრიდულ გაზეთს კითხულობთ თუ ბარსელონულს. დედაქალაქელებს ფიგუს დებიუტის და საგოლე პასის ამბავი პირველ გვერდზე გამოუტანიათ და მკითხველს ამცნობენ: „ფიგუმ გაიბრწყინა!“

აი, კატალონიური „სპორტი“ კი მე-15 გვერდზე წერს, ფიგუმ „რეალში“ ითამაშა და გოლი ვერ გაიტანაო. რას იზამ, კაცია და გუნება. ისე, ტყუილი დაწერესო, ვერც მადრიდელებზე იტყვი და ვერც ბარსელონელებზე.

„რეალი“—„გალათასარაის“ მატჩის შემდეგ მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ ტურნირის ფინალისტები გავიდნენ. გერმანელებს ჩემპიონთა ლიგის ბოლოსწინა ფინალის სიმწარეც კარგად ახსოვდათ და წინა დღით სოლსკიაერის გოლიც 90-ე წუთზე, ამიტომ თავიდანვე ბევრი გოლის გატანა განიზრახეს.

პირველი ტაიმის მიწურულს მანჩესტერელებმა თავის საჯარიმოში როკი სანტა კრუზი წააქციეს, რისთვისაც პენალტი დაინიშნა და მეპჰეთ შოლმა ანგარიში გახსნა. სტუმრებს შესვენების დასრულებისთანავე შეეძლოთ გათანაბრება, მაგრამ ოლივერ კანმა იმარჯვა — დევიდ ბექემს პენალტი აუღო. ამან მიუნხენელები გაალაღა და რვაწუთიან ინტერვალში ალექსანდრ ციკლერმა კიდევ ორი გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ „ბაიერნის“ ბოლო სამ თამაშში ციკლერს ექვსი ბურთი აქვს გატანილი.

მატჩის მიწურულს კვენტინ ფორჩუნის ერთ საპასუხო გოლს „ბაიერნი“ დიდად არ დაუღონებია, ბოლო ერთი კვირის მანძილზე ოტმარ ჰიცფელდის გუნდმა მეორე ჯილდო მოიგო (იქამდე ბუნდესლიგის თასი) და ახლა სეზონის ორი უმთავრესი ტურნირის მოგებას ესწრაფვის — ბუნდესლიგის და ჩემპიონთა ლიგის.

გიორგი დარჯანია

REUTERS მიუნხენიდან

„რეალის“ შემადგენლობაში პირველად გამოსული ლუიშ ფიგუ და „გალათასარაის“ მარსიო დუშ სანტუში

REUTERS ამსტერდამიდან

აიაქსი — არსენალი 2:0. მასპინძელთა რუმინელმა მცველმა კრისტიან კივუმ ლონდონელთა ფრანგი თავდამსხმელი ტიერი ანრი (№14) ხელითაც ვერ შეაჩერა

გასპარის ბარსელონა: ეს ერთი და...

ამსტერდამის ოთხთა ტურნირი

ბარსელონა 3:3 ლაციო

0:1 მიხაილოვიჩი (22), 0:2 სალასი (35), 1:2 დანი (36), 1:3 სალასი (40), 2:3 ხერარდი (65), 3:3 რივალდო (80)
ბარსელონა: დუტრუელი, რაიციგერი, პეტი (გვარდიოლა 46), სერხი, კოკუ (რივალდო 46), ხავი (აბელარდო 46), რ. დე ბური (სიმონ 46), ხერარდი, ზენდენი (ოვერმარსი 46), კლუივერტი, დანი
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
ლაციო: პერუჯი, დ. სტანკოვიჩი, კოლონეზე, ლიმბარდო, ბარონიო, სალასი, დე ლა პენია (ბერეტონი 79), მიხაილოვიჩი (ლუჩიანი 79), პანკარო (სანტარელი 86), გოტარდი, რავანელი
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
50 000 მაყურებელი

აიაქსი 2:0 არსენალი

1:0 ბრველაძე (38), 2:0 ჰოსე (88)
აიაქსი: გრიმი, ვიერკლაუ, ბერგდალმი, კივუ, ვინტერი (ნუიკენბურგი 57), ვან დერ მეიდე (ბობსონი 75), ვიჩგე, ბრველაძე (ჰოსე 67), გრონკიაერი, ობრაიენი, ვან დერ განი (ჯოპერი 67)
მწვრთნელი: კო ადრიანსე
არსენალი: მანინგერი, დიქსონი, ლუნი, ვიეირა (ტომასი 76), ადამსი (კიოუნი 70), პირესი, გრიმანდი, ლუნგბერგი, ბერგკამპი (კანუ 62), ლორენი (სილვინიო 62), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
50 000 მაყურებელი

ახალმა „ბარსელონამ“, ხუან გასპარის (პრეზიდენტი) და ლორენს სერა ფერერის (მთავარი მწვრთნელი) გუნდმა, პირველი ტიტული მოიპოვა. „ბარსელონა“ ამსტერდამის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონია. მერე რაო, შეიძლება იკითხოს მავანმა, ოთხთა ტურნირის მოგება რა ბედნაა, თუმცა თავად ფაქტი, რომ კატალონიელებმა რომ 1. „ლაციოსთან“, ლონდონის „არსენალთან“ და ტურნირის მასპინძელ ამსტერდამის „აიაქსთან“ ჭიდილში გაიმარჯვეს, დამეთანხმებით, საამაყოა.

წესით, „აიაქსი“ — „ბარსელონა“ და „ლაციო“ — „არსენალი“ მესამე ტურში უნდა გამართულიყო, მაგრამ... აზრი არ ჰქონდა, გამარჯვებული ისედაც ცნობილია.

საბოლოო ცხრილს კარგად დააკვირდით. დიახ, ნუ გაიოცებთ. „ბარსელონას“ და „აიაქსს“ წესით 4-4 ქულა უნდა ჰქონდეთ, ცხრილის მიხედვით კი შესაბამისად 9 და 6 უწერიათ, აი, ლონდონელ „მეთოფეებს“ ნულის მაგივრად — ერთი. რატომ? თავად რეგლამენტი ყოფილა ასეთი, ორგანიზატორებს უფიქრიათ, გუნდებს თითოეულ გატანილ ბურთზე ერთი ქულა დაერიცხოთ, ეგებ შემტევი და სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშონო. სწორედ ამიტომაც დააგროვეს ასეთი ქულები გუნდებმა.

ერთი შეხედვით ამ წესმა გაამართლა. მართლაც რომ საოცრება გახლდათ „ბარსელონა“ — „ლაციოს“ შეხვედრა, ერთიმეორეზე ლამაზი გოლების ფიიერვერკი, ჩილელი მარსელო სალასის ჩინებული თამაში, „ვალენსიადან“ კატალონიურ გრანდში გადაბარგებული ხერარდ ლოპესის სასწაულებრივად გასროლილი... ერთი სიტყვით, შედეგი 3:3 თავად მიგვანიშნებს, რა თამაშიც იყო.

65-ე წუთამდე ლუიშ ფიგუს გარეშე დარჩენილი „ბარსა“ იტალიის ჩემპიონ „ლაციოსთან“ 1:3 აგებდა, მეორე ტაიმში ლორენს სერა ფერერმა ხოსეპ გვარდიოლა, რივალდო, მარკ ოვერმარსი, აბელარდო და სიმონ შეუშვა მინდორზე, ლაი ბურთაობაც გაჩაღდა...

...ამსტერდამის „აიაქსმა“ კი არსენ ვენგერის „არსენალი“ იმსხვერპლა. პირველი ბურთი ალბიონელებს ქართველმა შოთა არველაძემ გაუტანა, მას შემდეგ რაც „არსენალის“ დაცვაში ნაპრალი იპოვა და უძლიერესი დარტყმითაც ავსტრიელ მეკარე ალექს მანინგერს შანსი არ დაუტოვა, ხელი კი „არსენალს“ არველაძის ნაცვლად მინდორზე შესულმა შავკანიანმა ჰოსემ მოუთავა. მან ლამაზი სამსვლიანი კომბინაცია 88-ე წუთზე გოლით დაასრულა.

ერთი სიტყვით, „ბარსელონამ“ ხუან გასპარის პრეზიდენტობისას პირველი ტიტული მოიგო, ამსტერდამის ტრადიციული ოთხთა ტურნირი. პრეზიდენტიც ალბათ იტყვის, ეს ერთი და სხვა მრავალიო.

გიორგი ვაშაძე

საბოლოო ცხრილი

ბარსელონა	2	1	1	0	5:4	9
აიაქსი	2	1	1	0	2:0	6
ლაციო	2	0	2	0	3:3	5
არსენალი	2	0	0	2	1:4	1

რობერტო, დაფიქრდი!

სად ჯობია: „ბარსელონაში“, „დეპორტივოში“ თუ „უდინეზეში“?

რობერტო ბაჯო

„რობერტოს თვალი ესპანეთისკენ უჭირავს, ესპანური გრანდები კი მის გადაბირებას ცდილობენ“ — განაცხადა რობერტო ბაჯოს აგენტმა ვიტორიო პისტონემ და განმარტა, რომ ეს ესპანური გრანდები „ბარსელონა“ და „დეპორტივო“ არიან, მათგან კი უფრო კატალონიური კლუბი აქტიურობს. ეს ინფორმაცია ფეხბურთელის აგენტმა გაავრცელა და ძნელია დანამდვილებით იმის თქმა, რამდენად მოწადინებულია „ბარსელონა“ ბაჯოს შეძენით. მით უმეტეს, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ოფიციალურად ჯერჯერობით არაფერს იუწყება. მაგრამ თუ კატალონიელებმა მართლაც მოისურვეს 33 წლის ვეტერანის ხელში ჩაგდება, არ არის გამორიცხული, მიზანს იოლად მიაღწიონ, რადგან ბაჯო „ინტერში“ არც ისე ბედნიერია. მარჩელო ლიპი წინა სეზონში ფეხბურთელს არ ენდობოდა და ძირითად შემადგენლობაში იშვიათად აყენებდა.

„რობერტო მოხარულია, რომ ესპანეთში იწვევენ, რადგან იქაური ფეხბურთი ახლა ძალიან მაღალ დონეზეა. მარტო ის რად ღირს, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ოთხი გუნდიდან სამი ესპანური იყო“ — დასძენს აგენტი.

ისიც გავიხსენოთ, რომ 33 წლის ბაჯო კარიერის დასრულებაზე ჯერ არც კი ფიქრობს. ფეხბურთელმა ამას წინათ თქვა, უნდა მოვინდომო, იტალიის ნაკრების ახალი მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის ყურადღება მივიქციო, რათა მან კვლავ „სკუადრა აძურაში“ მიმიწვიოს და 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშოო.

აგენტი ვიტორიო პისტონე კოზირებს კიდევ უფრო ხსნის და აცხადებს, რობერტოს ხელში ჩაგდება არა მარტო ესპანელებს, თავად იტალიურ კლუბებსაც სურთ, სულ ახლახან ფეხბურთელის გადაბირების სურვილი „უდინეზემ“ გამოთქვაო.

„ბაჯოს „ბარსელონასა“ და „დეპორტივოს“ გარდა უდინეშიც იწვევენ. „უდინეზე“ ახლა მშვენიერი გუნდია, თანაც მდიდარი ტრადიციები აქვს — იქ ხომ ზიკოს უთამაშია“.

— მოკლედ, ვნახოთ, შემოთავაზებები გვაქვს, დაფიქრება შეიძლება და მერე, ალბათ, ყველაფერი გადაწყდება — ესეც პისტონეს სიტყვებია.

შოტლანდიელები ევრო 2008-ის მასპინძლობას გეგმავენ

თუმცა ჯერ საკუთარ შესაძლებლობას შეაფასებენ

შოტლანდიელებს ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა სურთ, თუმცა ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია აცხადებს, რომ ოფიციალური განაცხადის შეტანამდე მოიცდიან, თავიანთ შესაძლებლობას შეაფასებენ, ყველაფერს შეისწავლიან და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტენ, უმასპინძლონ თუ არა კონტინენტის პირველობას.

„საგანგებო ჯგუფი შეიქმნა, რომელიც საკითხს დაწვრილებით შეისწავლის და განსჯის, რამდენად რეალურია იმის შანსი, რომ ჩემპიონატის მასპინძლები გავხდეთ“ — განაცხადა ასოციაციის პრესატაშემ.

აღმასრულებელ ხელმძღვანელ დევიდ ტეილორს კი სჯერა, რომ შოტლანდიაში სავსებით შესაძლებელია პრესტიჟული ევროპული პირველობის ჩატარება. „ყველაფერი შესამოწმებელია, ფაქტები, დეტალები განხილვას საჭიროებს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი რიგზე იქნება, თუმც მაინც უნდა გადავამოწმოთ“ — აცხადებს ტეილორი.

ტურნირის მასპინძლობის სურვილი დღემდე კიდევ ოთხმა ქვეყანამ — რუსეთმა, ავსტრიამ, უნგრეთმა და ხორვატიამ გამოთქვა.

როცა საფეხბურთო ტურნირის მასპინძლობაზე ჩამოვარდება სიტყვა, სხვა ინფრასტრუქტურულ ნაგებობებთან ერთად, პირველ ყოვლისა, სტადიონების მზადყოფნაზე ამახვილებენ ყურადღებას. შოტლანდიაში სამი არენაა, რომელთაგან თითოეული 30 ათასზე მეტ გულშემატკივარს იტევს: „ჰემპდენ პარკი“, სადაც შოტლანდიის ნაკრები თამაშობს, „რეინჯერსის“ სტადიონი „აიბროქსი“ და „სელტიკის“ „სელტიკ პარკი“, თუმცა შეკეთების შემდეგ სტანდარტები შესაძლოა „აბერდინის“ „პიტოდრიმ“ და „დანდი იუნაიტედის“ „ტენადაის პარკმაც“ დააკმაყოფილონ. არ გამორიცხავენ, საფეხბურთო მატჩები შოტლანდიური რაგბის მთავარ სარბიელზე, „მიურეფილდზეც“ ჩაატარონ.

რაგბის არენა „მიურეფილდმა“ ეგებ საფეხბურთო მატჩებსაც უმასპინძლოს

ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

პირველი მატჩი. 8 აგვისტო

ინტერი (სლოვაკეთი) 1:2 ლიონი (საფრანგეთი)

0:1 სონი ანდერსონი (50), 1:1 ნემეტი (75), 1:2 დელმოტი (89)

ფეხბურთის რუკასთან

იტალიური „ფიორენტინას“ ახალწვეულმა ნახევარმცველმა ამარალმა მუხლის ტრავმა მიიღო და ჯერჯერობით ვერ ითამაშებს, სერია A კი 1 ოქტომბერს იწყება. ბრაზილიელი ფლორენციულ კლუბში „ვასკუ და გამადან“ ჩაირიცხა. ექიმები ფეხბურთელს რამდენიმე დღეში საგანგებო გამოკვლევას ჩაუტარებენ. ამარალი შაბათს გერმანულ „კოტბუსთან“ ამხანაგური შეხვედრის დროს დაშავდა.

ბრაზილიელი ედუ, რომელიც „არსენალში“ უნდა ჩარიცხულიყო, მაგრამ საპასპორტო პრობლემების გამო ინგლისში არ შეუშვეს, ალბათ, კვლავ „კორინთიანსში“ გააგრძელებს თამაშს. „სამწუხაროა, მაგრამ ვერაფერს გავხდები, ლონდონურ კლუბთან გაფორმებული კონტრაქტი ჩაიშალა — განაცხადა ნახევარმცველმა — ახლა „კორინთიანსში“ უნდა დავბრუნდე, შემდეგ კი ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს“.

გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველმა თომას შტრუნცმა ტრავმა მიიღო და ბუნდესლიგის პირველი ტურის მატჩს ბერლინის „ჰერტას“ წინააღმდეგ, ალბათ, გამოტოვებს. ფეხბურთელი მიუნხენის ტურნირის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრაში დაშავდა. ექიმების ცნობით, შტრუნცი დაახლოებით ორ კვირას ვერ ითამაშებს. „ჰერტასთან“ „ბაიერნს“ შესაძლოა სამი წამყვანი მოთამაშეც ვერ დაეხმაროს — შტეფან ეფენბერგს, პაულო სერჟიოსა და ჯოვანი ელბერს ტრავმები აწუხებთ.

ინგლისელმა ნახევარმცველმა სტივ მაკმანამანმა განაცხადა, რომ პრემიერლიგაში დაბრუნებას არ აპირებს. მას შემდეგ, რაც „რეალმა“ ლუიშ ფიგუ შეიძინა, ხმები დაირხა, რომ სამეფო კლუბი მაკმანამანს გაყიდდა, მაგრამ ფეხბურთელმა თქვა, გუნდი არ მიშვებს, ხოლო თუ ასე მოხდა, ინგლისში მაინც არ ჩავალ და კარიერას სხვა ქვეყანაში გავაგრძელებო. „ინგლისში დაბრუნება და პრემიერლიგაში თამაში არ მსურს, „რეალში“ ბედნიერი ვარ. მწვრთნელსა და პრეზიდენტს ვესაუბრე, მათ მითხრეს, რომ თავისთან დამიტოვებენ“ — განაცხადა მაკმანამანმა. შეგახსენებთ, რომ ინგლისელი „რეალში“ შარშან „ლივერპულიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა.

გერმანელმა ვეტერანმა ლოთარ მათეუსმა განაცხადა, რომ შესაძლოა ამერიკაში კიდევ ერთ წელიწადს დარჩეს. „არ გამოვრიცხავ, MLS-ში ერთი სეზონიც ვითამაშო“ — უთხრა 39 წლის ლიბერომ ერთ-ერთ გაზეთს. აქვე გავიხსენოთ, რომ ფეხბურთელს ცოტა ხნის წინ „მეტროსტარზის“ მთავარ მწვრთნელ ოტავიო სამბრანოსთან უთანხმოება მოუვიდა და ერთი ხანობა კლუბის დატოვებას აპირებდა.

ნიგერიელ ფორვარდ ჯონათან აკობორის „ვოლფსბურგი“ სიდნეის ოლიმპიადაზე თამაშის ნებას არ დართავს. ეს ინფორმაცია თავად კლუბის თავკაცმა ვოლფგანგ ვოლფმა დაადასტურა. 31 წლის ფეხბურთელმა ერთი კვირით კლუბის ვარჯიში გამოტოვა, იგი სანაკრებო შეკრებაზე გახლდათ. ამის გამო ვოლფმა გადაწყვიტა, რომ ნიგერიელი სექტემბერში აღარ გაუშვას. „აკობორი ნაკრებიდან ცუდი გახწყობით დაბრუნდა. ვგონებ, აჯობებს, თუ იგი სანაკრებო კარიერას დაასრულებს“ — განაცხადა ვოლფმა.

ხორვატი მცველის, იგორ ტუდორის შეძენა მიუნხენის „ბაიერნს“ სურს. ოტმარ ჰიცფელდი მარკუს ბაბელის შემცვლელს ეძებს, რომელმაც „ლივერპულს“ მიაშურა. მწვრთნელმა სწორედ ხორვატ მცველს დაადგა თვალი. გერმანიის ჩემპიონმა ტურინის „იუვენტუსს“ ტუდორის სანაცვლოდ 4,75 მილიონი გირვანქა შესთავაზა, თუმც იტალიელები ჯერჯერობით კონკრეტულად არაფერს აცხადებენ. ტუდორი სპლიტის „ჰაიდუკის“ აღზრდილია. ფეხბურთელი სწორედ ხორვატული კლუბიდან მოხვდა ტურინში.

შოტლანდიის ჩემპიონ „გლაზგო რეინჯერსის“ თავკაც დიკ ადვოკატს „ბარსელონას“ ნახევარმცველ რონალდ დე ბურისთვის დაუდგამს თვალი და მოწადინებულია, ჰოლანდიელი „აიბროქს ბარკზე“ გადაიბიროს, თუმც კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელის გაყიდვაზე არაფერს იუწყება. „ბარსელონაში“ შესაძლოა რიო ფერდინანდი გადავიდეს. კატალონიურმა კლუბმა „ვესტ ჰემს“ უინსტონ ბოგარდისა და ფერდინანდის გაცვლა და დამატებითი თანხა შესთავაზა. თუმცა ჯერჯერობით უცნობია, შეელევა თუ არა მცველს ლონდონური კლუბი. ხურც იმას დავივიწყებთ, რომ რიოს შეძენის სურვილი „ბარსელონას“ მოქიმპემ, მადრიდის „რეალმაც“ გამოთქვა.

იტალიური სააგენტოს ცნობით, იაპონელი ნახევარმცველი ჰიდეტოში ნაკატა, შესაძლოა „რომადან“ „ლანსში“ გადავიდეს. ფრანგული კლუბი ფეხბურთელში 9,2 მილიონ გირვანქას იხდის. აღსანიშნავია, რომ რომაულმა კლუბმა იაპონელის სანაცვლოდ გაცილებით მეტი გადაიხადა, როცა იგი „პერუჯადან“ გადაიბირა, მაგრამ ნაკატა გუნდს ვერ მოერგო და ფაბიო კაპელო მის გაშვებას აპირებს. გავიხსენოთ, რომ იაპონელის სანაცვლოდ „რომამ“ პერუჯაში რუსი დმიტრი ალენიჩევი გაუშვა და ფულიც დაუმატა.

იტალიურ „ლაციოს“ ავსტრალიელი ფორვარდის, ჰარი კიუელის შეძენა სურს და „ლიდს იუნაიტედს“ მის სანაცვლოდ 40 მილიონ დოლარს სთავაზობს. ინგლისურმა კლუბმა ადრე განაცხადა, რომ ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებს. „წინა სეზონში კიუელის თამაშით მოვინიბლე. ის პრემიერლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ასეთ ფეხბურთელებს ძალიან ვაფასებ და მსურს, ავსტრალიელი „ლაციოში“ ვიხილო“ — განაცხადა რომაული კლუბის პრეზიდენტმა სერჯიო კრანიოტიმ. შეგახსენებთ, რომ კიუელი ამჟამად ტრავმირებულია. მან შესაძლოა სეზონის დასაწყისი გამოტოვოს და სიდნეის ოლიმპიადაზე ვერ ითამაშოს. იგი ექიმების საბოლოო პასუხს ელოდება.

იტალიის ნაკრების ნახევარმცველ ლუიჯი დი ბიაჯოს შეძენა „ფიორენტინამ“ განიზრახა. როგორც იტალიური სააგენტოები იუწყებიან, არ არის გამორიცხული, ფეხბურთელმა ახალი სეზონი „არტემიო ფრანკიზე“ დაიწყოს. შეგახსენებთ, რომ დი ბიაჯო მილანის „ინტერში“ შარშან „რომადან“ გადავიდა. მან გუნდის შემადგენლობაში 36 შეხვედრა ჩაატარა და ორი გოლი გაიტანა.

იტალიური „ინტერი“ და „რომა“ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. არ არის გამორიცხული, მათ მცველები — ანტონიო კარლოს ძაგო და კრისტიან პანუჩი გაცვალონ. შარშან „რეალიდან“ „ინტერში“ გადასული პანუჩი მწვრთნელ მარჩელო ლიპისთან კონფლიქტის გამო კლუბის გამოცვლას აპირებს და შესაძლოა, სწორედ „რომის“ მიაშუროს. იმასაც ამბობენ, პანუჩი ეგებ თავის ძველ კლუბში, „მილანში“ დაბრუნდესო. სააგენტოები კი იუწყებიან, რომ შესაძლოა, „რომა“ და „ინტერი“ მომავალ კვირაში შეთანხმდნენ.

ქართველ კადეტთა ჯეკპოტი

ევროპის კადეტთა ჩემპიონატი. საკვალიფიკაციო ეტაპი

საქართველო 68:39 უნგრეთი

4 აგვისტო. რაზგრადი (ბულგარეთი). | ტაიმი 34:19

საქართველო	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	ფოლ.	ქ.
ათუაშვილი	13	1/3	0/0	0/0	1	1	0	1	2
ჩავლეიშვილი	11	0/2	0/1	1/2	1	0	0	0	1
გამყრელიძე	18	0/0	1/2	0/0	2	2	1	2	3
მარხვაშვილი	15	0/1	1/1	5/6	2	1	1	0	8
მარკოიშვილი	12	3/4	1/2	2/4	2	1	0	0	11
მდივანი	20	3/3	0/0	3/8	3	2	1	0	9
ორდენიძე	28	3/4	0/2	1/2	2	3	0	3	7
სანიკიძე	20	5/10	0/0	1/2	7	1	1	0	11
საყვარელიძე	18	2/3	0/0	4/4	3	0	0	2	8
ვაშაკიძე	17	2/2	0/3	0/2	1	0	1	2	4
ზანგურაშვილი	28	2/3	0/1	0/1	6	1	0	1	4
სულ	200	21/35	3/12	17/31	30	10	5	11	68

უნგრეთი	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	ფოლ.	ქ.
დეტრე	12	0/0	0/0	0/0	0	0	0	4	0
გომბოში	23	0/4	0/1	2/4	5	0	0	4	2
კელემენი	31	1/6	4/5	0/0	4	1	2	3	14
კულჩარი	20	1/7	0/0	0/0	3	0	0	1	2
ლაცკა	33	2/5	1/4	3/4	2	1	0	2	10
ლირანტი	27	1/1	0/1	0/0	4	0	2	4	2
შოიში	13	1/2	1/1	0/0	2	0	0	1	5
შპინიჰარტი	10	0/0	0/0	0/0	0	0	0	2	0
სეგედი	31	0/6	1/5	1/2	2	0	1	2	4
სულ	200	6/31	7/17	6/10	22	2	5	23	39

საქართველო 84:61 ისრაელი

5 აგვისტო. რაზგრადი (ბულგარეთი). | ტაიმი 48:23

საქართველო 96:74 ბულგარეთი

6 აგვისტო. რაზგრადი (ბულგარეთი)

ბულგარეთის ქალაქ რაზგრადში გამართული კადეტ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი ქართველების ტრიუმფით დასრულდა. იტალისა და უნგრეთის ძლევის შემდეგ ჩვენმა ყმაწვილებმა ტემპი არ შეანელეს და დარჩენილი შეხვედრებიც დიდი ანგარიშით მოიგეს: შაბათს 84:61 დაამარცხეს ისრაელი, კვირას კი მასპინძელ ბულგარეთს 96:74 აჯობეს.

ქართველი კადეტები განსაკუთრებით კარგად ებრაელ თანატოლებს ეთამაშნენ. ჩვენებურებმა პირწმინდად დაჩაგრეს ტურნირის ფავორიტად შერაცხული ისრაელი ფარზე (36 მოხსნა 12-ის წინააღმდეგ!) და უკვე პირველი ტაიმის მერე 25 ქულით იგებდნენ — 48:23.

ტურნირის დასკვნით დღეს ბულგარელებთან მატჩს ქართველთათვის პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა: ისინი მაინც გასულები იყვნენ მომდევნო, შესარჩევ ეტაპზე. მიუხედავად ამისა, ჩვენებურებმა ტრადიციას არ უღალატეს და მეტოქე ოცზე მეტი ქულით დაამარცხეს.

სატურნირო ცხრილში დაუმარცხებელ საქართველოს ისრაელი და იტალია მიჰყვა. ეს სამი გუნდი გააგრძელებს ბრძოლას ევროპის კადეტთა 2001 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, რომელიც გაისად აპრილში გაიმართება.

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

ჰიდაიეთ თურქოღლუ

მესამე ევროპელი. მეორე თურქი

„საკრამენტო კინგზმა“ კონტრაქტი გაუფორმა თურქეთის ნაკრების ფორვარდ ჰიდაიეთ თურქოღლუს. კალიფორნიულმა კლუბმა ეს მოთამაშე 2000 წლის დრატის მე-16 ნომრად აირჩია, ხოლო ამ უქმეებზე მასთან ურთიერთობას ოფიციალური სახე მისცა.

21 წლის თურქოღლუს კონტრაქტი სამწლიანია. ამ ხნის განმავლობაში კალათბურთელი 3 მილიონ დოლარს მიიღებს.თუკი თურქი მეოთხე სეზონშიც მოისურვებს „კინგზში“ დარჩენას, კლუბი დამატებით 1,3 მილიონ დოლარს გადაუხდის. აღსანიშნავია, რომ თურქოღლუს ხელფასი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მიერ ახალბედათათვის დადგენილ მინიმუმს არ სცილდება.

206-სანტიმეტრიან და 100-კილოგრამიან თურქოღლუს აქამდე ერთადერთ კლუბში, სტამბოლის „ეფესში“ უთამაშია. მისი პროფესიული კარიერა ოთხი წლის წინ დაიწყო. წინა სეზონში „ეფესი“ ევროლიგის „ოთხთა ფინალში“ გავიდა, თურქოღლუ კი გუნდის საუკეთესო მოთამაშე იყო. ბოლო წელს მისი საშუალო მაჩვენებლები 13,6 ქულა, 4,6 მოხსნა და 2,7 პასი იყო. ჰიდაიეთმა სროლათა 63 პროცენტი ჩააგდო.

„საკრამენტო კინგზის“ ვიცე-პრეზიდენტი ჯეფ პეტრი თურქოღლუს ქებას არ ერიდება: „ჰიდაიეთი ახალგაზრდა და მრავალშრივი კალათბურთელია. მას დიდი პოტენციალი აქვს და მისი სწორად გამოყენება შეუძლია. იგი საკმაოდ განსწავლულია, კარგად ფლობს ბურთს და პასის მიცემაც ეხერხება. სხვადასხვა მანძილებიდანაც ნორმალურად ესვრის. კმაყოფილი ვარ, რომ თურქოღლუ ჩვენთანაა“.

თურქოღლუ „საკრამენტო კინგზის“ მესამე ევროპელი გახდა. სხვებთან ერთად მისი თანაგუნდელები იუგოსლავიელები, ცენტრი ვლადე დივაცი და ფორვარდი პრედრაგ სტოიაკოვიჩი იქნებიან. თურქოღლუ აგრეთვე გახდა მეორე თურქი, რომელმაც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბთან კონტრაქტი გააფორმა. ორი წლის წინ იგივე მოახერხა ფორვარდმა მირსად თურქჯანმა, რომელიც ამჟამად „მილუოკი ბაქსის“ წევრია. აღსანიშნავია, რომ თურქოღლუ და თურქჯანი ერთად თამაშობდნენ „ეფესში“.

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი



REUTERS ოჭრიდიდან

სლოვენია — ისრაელი. სლოვენიელი მატიც ვიდიჩი (მარჯვნივ) ტალ ბურშტეინის წინააღმდეგ

სლოვენიის ტრიუმფში ჩვენი ნაცნობების ხელი შრომია

მაკედონიის ქალაქ ოჰრიდში დასრულდა ევროპის ახალგაზრდული (20-წლამდელთა) ჩემპიონატი. ყველასათვის მოულოდნელად იმარჯვა სლოვენიის ნაკრებმა და პირველობა მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის ტიტული. 1998 წელს სლოვენიელმა ახალგაზრდებმა ანალოგიურ ტურნირში მეორე ადგილი დაიკავეს.

წლევანდელი ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის მიხედვით, სლოვენია ნაღდად არ იყო საჩემპიონო გუნდი. იგი ჯერ ესპანეთთან დამარცხდა (68:71), მერე — ხორვატიასთან (71:75), ხოლო ჩეხეთს დიდი გაჭირვებით, დამატებით დროში აჯობა (84:80). აღსანიშნავია, რომ სლოვენიელები მთელი მატჩის განმავლობაში ჩამორჩებოდნენ და მხოლოდ უკანახაზელი სანი ბეჩიროვიჩის (23 ქულა) შესანიშნავი თამაშის წყალობით გადარჩნენ.

ასე იყო თუ ისე, სლოვენიამ მეოთხედფინალში გაალწია და საკმაოდ ძლიერ საბერძნეთს შეხვდა. მომავალმა ჩემპიონებმა მოახერხეს მეტოქის ლიდერის, „პანათინაიკოსის“ ფორვარდ ანტონის ფოცისის (13 ქულა) ამოკეტვა და 84:71 მოიგეს. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ბოშტიან ნახბარი (25 ქულა).

ნახევარფინალში სლოვენიას კვლავ ხორვატია დაუპირისპირდა. ყოფილმა იუგოსლავიელებმა ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს ერთმანეთს და გამარჯვებული მხოლოდ ბოლო წამზე გაირკვა. სანი ბეჩიროვიჩმა ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო და სლოვენია ფინალში გაიყვანა. ბეჩიროვიჩმა ამ მატჩში თოთხმეტიდან თორმეტი საჯარიმო ჩააგდო.

ფინალში სლოვენიის მეტოქე ისრაელი იყო, რომელმაც ნახევარფინალში ესპანეთს მოუგო. მიჰა კობეს და ბეჩიროვიჩს აყოლილი სლოვენია თავიდან 10:5 დაწინაურდა, მაგრამ მერე უპირატესობა გაფლანგა და ტაიმი 26:34 დათმო. მეორე ტაიმში თამაში გათანაბრდა, 26-ე წუთზე ჟელკო ზაგორაცმა ბალკანელები ერთი ქულით დააწინაურა. აქედან მოყოლებული მატჩი ქულა-ქულაზე გაგრძელდა. დამთავრებამდე 2,4 წამით ადრე, ისრაელი ერთი ქულით წინ იყო (65:64), მაგრამ სლოვენიელებმა მეტოქის ფარზე მოხსნეს ბურთი და გადამწყვეტი სროლა სმილიან პავიჩმა იკისრა... ისრაელს ცოტა დრო ჰქონდა მატჩის გადასაჩენად და აფიკ ნისიმმა ცენტრიდან ესროლა... არაფერი შეცვლილა, სლოვენიამ 66:65 მოიგო და ევროპის ჩემპიონი გახდა.

სანი ბეჩიროვიჩი ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ფინალის გმირი სმილიან პავიჩი გახდა. ეს კალათბურთელი ლიუბლიანას „სლოვანის“ წევრი და ჩვენებურების, ნიკა ცქიტიშვილის და დავით უგრეხელიძის თანაგუნდელია. პავიჩი თავდამსხმელია, წინა სეზონში „სლოვანის“ სასტარტო ხუთეულში იგი და კიდევ ერთი ქართველი ვლადიმერ ბოისა მხარდამხარ თამაშობდნენ.

სლოვენიის ახალგაზრდულ ნაკრებს ზორან მარტიჩი წვრთნის. ეს კაციც ნაცნობია ქართველებისათვის. სწორედ მან აღმოაჩინა და მერე სლოვენიაში წაიყვანა ვლადიმერ სტეფანია. ერთხანს მარტიჩი ლიუბლიანის „ოლიმპიას“ ახალგაზრდულ გუნდში სტეფანიას მწვრთნელიც იყო.

ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ადგილები ასე განაწილდა: *1. სლოვენია, 2. ისრაელი, 3. ხორვატია, 4. ესპანეთი, 5. იუგოსლავია, 6. თურქეთი, 7. საბერძნეთი, 8. საფრანგეთი, 9. ლიტვა, 10. რუსეთი, 11. მაკედონია, 12. ჩეხეთი.*

დასახელდა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის სიმბოლური ხუთეული: *ვლადო ილიევსკი (მაკედონია), სანი ბეჩიროვიჩი (სლოვენია), ვლადიმირ რადმანოვიჩი (იუგოსლავია), პაუ გასოლი (ესპანეთი)* და *დალიბორ ბაგარიჩი (ხორვატია).*

არქიტექტორ კრაუზეს პროექტი ჩაუვარდა

ჩიკაგო მერსერის და ყმაწვილკაცების იმედად რჩება

„ჩიკაგო ბულზის“ გენერალურმა მენეჯერმა, 90-იანი წლების „დიდი ჩიკაგოს არქიტექტორმა“ ჯერი კრაუზემ ფიასკო განიცადა. თავისივე შექმნილი ლეგენდარული გუნდის დაშლის შემდეგ კრაუზე ორ წელიწადს იცდიდა და მთელ იმედებს წლეულს 1 აგვისტოს გახსნილ თავისუფალ აგენტთა ბაზარზე ამყარებდა — ვინძლო, რამდენიმე ძლიერი კალათბურთელი ავიყვანოო. ამისთვის კრაუზემ წინასწარ დაიჭირა თადარიგი: გუნდში გადაადგილებები მოახდინა, მოთამაშეები აქეთ-იქით გაუშვ-გამოუშვა, რამდენიმე რიგიანი ახალბედა დაისაკუთრა და ჯამური ხელფასის ფონდში 20 მილიონი დოლარიც გამოათავისუფლა.

ამ თანხით რამდენიმე თუ არა, ერთიორი ძლიერი თავისუფალი აგენტის აყვანა შეიძლებოდა. არჩევანიც დიდი იყო: ტიმ დანკანი, გრანტ ჰილი, ტრეისი მაკგრეიდი, ედი ჯონსი... რეალურად კი რა გამოვიდა — თავისუფალ აგენტთა ბაზარი ერთი კვირის გახსნილია და „ჩიკაგოს“ მხოლოდ რონ მერსერი შერჩა. სხვებმა ბედის „ბულზთან“ დაკავშირება არ ისურვეს: ზოგი ძველ გუნდში დარჩა, ზოგიც სხვაგან წავიდა. თავისუფალ აგენტთა ბაზარი კვლავაც ღიაა, მაგრამ იქ ხეირიან, უფრო ზუსტად, უმაღლესი ხარისხის საქონელს ვეღარ იშოვი. ამდენად, „ჩიკაგო“ აქედანვე უნდა შეეშვას მომავალ სეზონში სერიოზულ წარმატებაზე ფიქრს.

კლუბის უნიათო სატრანსფერო პოლიტიკის გამო „ჩიკაგოს“ გულშემატკივრებმა აღშფოთება გამოთქვეს: ორი წლის განმავლობაში ისინი მორჩილად ელოდნენ აღორძინებას, კვლავინდებურად პირთამდე ავსებდნენ „იუნაიტედ სენთრს“, მაგრამ მომავალ სეზონში მათ ერთგულებას, ალბათ, ყავლი გაუვა.

აღმოჩნდა, რომ მხოლოდ გულშემატკივრებს არ გასტყდომიათ გული. „ბულზის“ მწვრთნელმა ტიმ ფლოიდმა აღნიშნა: „გაოცებული ვარ. ვერ გამიგია, რას აკეთებს კლუბის ხელმძღვანელობა. ყველა წინასწარი გარიგება ჩაიშალა, აღარც ვიცი, მომავალში ვის დავეყრდნო“. შემდეგ ფლოიდმა კრაუზეს და „ჩიკაგოს“ მფლობელს ჯერი რეინსდორფს გაჰკრა კბილი: კალათბურთელების გადმობირება მათი საქმეა. მე ფაქტს ვხედავ — „ჩიკაგოში“ ხეირიანი ჯერ არავინ მოსულა, ამდენად, წარმატებაზე ფიქრი უადგილოდ მეჩვენებაო.



„ჩიკაგო ბულზის“ მწვრთნელი ტიმ ფლოიდი კლუბის სატრანსფერო პოლიტიკით უკმაყოფილოა

მართლაც, „ჩიკაგოს“ ხელმძღვანელობამ ვერაფრით მოახერხა სასურველი კალათბურთელების დაინტერესება, მაშინ, როცა, სხვა გუნდები თითქოსდა ხავსს მოეჭიდნენ და მიზანსაც მიაღწიეს. „ორლანდომ“ შეიტყო, რომ ტრეისი მაკგრეიდი ამ ქალაქში სახლს იშენებდა და იქამდე ეჩიჩინა, სანამ თავისთან არ წაიყვანა. ედი ჯონსი სამხრეთ ფლორიდაშია დაბადებული და გაზრდილი. „მაიამის“ ყველაფერი გააკეთა, რათა იგი მშობლიურ ადგილებში დაებრუნებინა. „მილუოკიმ“ კი ტიმ ტომასის შესანარჩუნებლად მწვრთნელი ჯორჯ კარლი გამოიყენა — კალათბურთელი ლამის ბრძად ენდობა კარლს და მას „მეორე მამად“ მოიხსენიებს.

„ყველა მოთამაშეს განსხვავებული სურვილი და მოთხოვნილება აქვს. ძლიერი მაშინ ხარ, როცა მათ შენს სასარგებლოდ გამოიყენებ“ — ამბობს ფლოიდი და ამით კიდევ ერთხელ კბენს „ჩიკაგოს“ ხელმძღვანელებს.

ერთი სიტყვით, წლეულს „ჩიკაგოს“ ვაჭრობა ჩაუვარდა. ნაკლებსავარაუდოა, კლუბმა ისეთი მოთამაშეები აიყვანოს, რომლებიც „ბულზს“ მნიშვნელოვნად გააძლიერებენ. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ექვსგზის ჩემპიონები ბოლო ორი დრაფტის წარჩინებულებს — ელტონ ბრენდს, რონ არტესტს, მარკუს ფიზერს და ჯამალ კროუფორდს დაეყრდნობიან. აგერ რონ მერსერიც, მერე ალბათ ერთი-ორი თავისუფალი აგენტიც...

წლევანდელმა პასიურობამ „ჩიკაგოს“ ერთი კარგი საქმე გაუკეთა: კლუბს ფული დაეზოგა. თავისუფალ აგენტთა ბაზარი მომავალი სეზონის მერეც გაიხსნება და „ბულზს“ კვლავ ექნება ძლიერ კალათბურთელთა დასაკუთრების შანსი. თუმცა, გაისად თავისუფალ აგენტთა ბაზარზე იმდენი ვარსკვლავი არ „გამოიფინება“, როგორც წლეულს იყო.

ტიმ ფლოიდი გულს არ იტეხს და გულშემატკივრებს ამშვიდებს: „ყველაფრის მიუხედავად ოპტიმისტად ვრჩები. სხვები თუ ვერ გვშველიან, ჩვენ თავს თავად მივხედავთ. შარშანდელთან შედარებით წლეულს უფრო კარგი გუნდი გვეყოლება. გაისად კი იქნებ სხვებმაც შეგვიწყონ ხელი“.

ფლოიდს არ უთქვამს, მაგრამ ყველა მიხვდება — „სხვები“ ჯერი კრაუზე და ჯერი რეინსდორფი არიან.

თავისუფალ აგენტთა ბაზარი

2-6 აგვისტო

მაიამი ჰიტი: შეინარჩუნა ფორვარდი ბრიუს ბოუენი; შეიძინა უკანასკნელი ედი ჯონსი (შარლოტიდან).

ორლანდო მეჯიკი: შეინარჩუნა ფორვარდი მონტი ვილიამსი; შეინარჩუნა ფორვარდი ბო აუთლოუ; შეიძინა ფორვარდი გრანტ ჰილი (დეტროიტიდან), შეიძინა ფორვარდი ტრეისი მაკგრეიდი (ტორონტოდან); აიყვანა უკანასკნელი დი ბრაუნი (ტორონტოდან).

საკრამენტო კინგზი: აიყვანა ახალბედა ფორვარდი ჰიდაიეთ თურქოღლუ.

სან ანტონიო სპურზი: შეინარჩუნა ფორვარდი ტიმ დანკანი; შეინარჩუნა უკანასკნელი აივერი ჯონსონი; შეინარჩუნა ფორვარდი ანტონიო დანიელსი; აიყვანა უკანასკნელი დერიკ ანდერსონი (კლიპერსიდან).

ბოსტონ სელტიქსი: აიყვანა უკანასკნელი რენდი ბრაუნი (ჩიკაგოდან).

ნიუ ჯერსი ნეტსი: შეინარჩუნა ფორვარდი ჯონი ნიუმანი.

ფინიქს სანზი: შეინარჩუნა ფორვარდი კორი ბლაუნტი.

სიეტლ სუპერსონიქსი: შეინარჩუნა ფორვარდი რაშარდ ლუისი; აიყვანა ახალბედა ფორვარდი დესმონდ მეისონი.

ვანკუვერ გრიზლიზი: აიყვანა ფორვარდი ტონი მასენბურგი (ჰიუსტონიდან).

დეტროიტ პისტონზი: შეიძინა უკანასკნელი ჩაკი ატკინსი (ორლანდოდან), შეიძინა ფორვარდი ბენ ვოლესი (ორლანდოდან).

იუტა ჯაზი: აიყვანა უკანასკნელი ჯონ სტარქსი (ჩიკაგოდან).

ინდიანა პეისერზი: შეინარჩუნა ფორვარდი ოსტინ კროშერი; შეინარჩუნა უკანასკნელი ჯალენ როუზი.

ჰიუსტონ როკეტსი: შეინარჩუნა უკანასკნელი კუტინო მობლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

	შვედეთი. მე-15 ტური			
	10 აგვისტო			
001	ჰეკენი-იორებრო	2,3	3,1	2,8
	ნორვეგია. გადადებული მატჩი			
	9 აგვისტო			
002	ვიკინგი-სტაბეკი	1,9	3,1	3,6
	ჩემპიონთა ლიგა. III ეტაპი. I მატჩები			
	7 აგვისტო			
500	ინტერი (სლოვაკეთი)-ლიონი (საფრანგეთი)			
	8 აგვისტო			
501	ზიმბრუ (მოლდოვა)-სპარტა (ჩეხეთი)	4,0	2,9	1,9
502	ბრიონდბიუ (დანია)-ჰამბურგი (გერმანია)	2,5	3,0	2,5
503	შტურმი (ავსტრია)-ფეიენოორდი (ჰოლანდია)	2,3	2,9	3,0
504	ბეშიქთაში (თურქეთი)-ლოკომოტივი (რუსეთი)	2,0	2,9	3,6
	9 აგვისტო			
505	დინამო (უკრაინა)-ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)	1,6	3,3	5,3
506	შახტარი (უკრაინა)-სლავია (ჩეხეთი)	2,1	3,0	3,3
507	ანდერლეხტი (ბელგია)-პორტუ (პორტუგალია)	2,1	3,0	3,3
508	პოლონია (პოლონეთი)-პანათინაიკოსი (საბერძნეთი)	2,2	2,9	3,2
509	ჰერფიოლგე (დანია)-რეინჯერსი (შოტლანდია)	3,6	3,1	1,9
510	სენტ გალენი (შვეიცარია)-გალათასარაი (თურქეთი) (ნეიტრ.)	3,0	3,1	2,2
511	ტიროლი (ავსტრია)-ვალენსია (ესპანეთი)	3,2	2,9	2,2
512	ლიდსი (ინგლისი)-მიუნხენ 1860 (გერმანია)	1,65	3,2	5,0
513	ჰელსინგბორგი (შვედეთი)-ინტერი (იტალია)	4,0	3,1	1,8
514	მილანი (იტალია)-დინამო (ხორვატია)	1,2	5,6	10,0
515	დუნაფერი (უნგრეთი)-რუსენბორგი (ნორვეგია) (ნეიტრ.)	2,8	3,1	2,3
	უეფას თასი. I ეტაპი. I მატჩები			
	8 აგვისტო			
516	ქიაფაზი (აზერბაიჯანი)-ანთალია (თურქეთი)	4,2	3,0	1,8
517	აკრანესი (ისლანდია)-გენტი (ბელგია)	3,8	3,0	1,9
	10 აგვისტო			
518	ნეფთჩი (აზერბაიჯანი)-გორიცა (სლოვენია)	3,3	3,0	2,1
519	არარატი (სომხეთი)-კოშიცე (სლოვაკეთი)	2,5	3,0	2,5
520	შერიფი (მოლდოვა)-ოლიმპია (სლოვენია)	2,5	3,0	2,5
521	კონსტრუქტორული (მოლდოვა)-ცსკა (ბულგარეთი)	3,4	2,9	2,1
522	ვიტ ჯორჯია (საქართველო)-ბეითარი (ისრაელი)	ანგარიში - 5,0		
523	ჰიკ (ფინეთი)-გრევენმახერი (ლუქსემბურგი)	1,05	9,0	18,0
524	სლავია (ბელარუსი)-მაკაბი (ჰაიფა/ისრაელი)	2,4	3,0	2,7
525	სლოვანი (სლოვაკეთი)-ლოკომოტივი (საქართველო)	ანგარიში - 5,0		
526	უნივერსიტატია (რუმინეთი)-პობედა (მაკედონია)	1,5	3,6	5,6
527	ეკრანასი (ლიტვა)-ლიერსი (ბელგია)	4,0	3,1	1,8
528	ნაპრედაკი (იუგოსლავია)-ტულეეიკი (ესტონეთი)	1,25	5,0	9,0
529	ტომორი (ალბანეთი)-აპოელი (კვიპროსი)	2,3	3,1	2,8
530	ჟალგირისი (ლიტვა)-რუხი (პოლონეთი)	2,5	3,0	2,5
531	ვენტსპილსი (ლატვია)-ვაშაში (უნგრეთი)	2,9	3,0	2,3
532	მეტალურგსი (ლატვია)-ბრანი (ნორვეგია)	4,2	3,0	1,8
533	დრნოვიცე (ჩეხეთი)-ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)	1,6	3,3	5,3
534	რაპიდი (ავსტრია)-ტეუტა (ალბანეთი)	1,1	7,0	15,0
535	სლიმა (მალტა)-პარტიზანი (იუგოსლავია)	9,0	5,0	1,25
536	ვორსკლა (უკრაინა)-რაბოტნიჩკი (მაკედონია)	1,5	3,8	5,3
537	აიკ (შვედეთი)-გომელი (ბელარუსი)	1,25	5,0	9,0
538	ომონია (კვიპროსი)-ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი)	2,3	3,0	2,9
539	რაპიდი (რუმინეთი)-აშტარაკი (სომხეთი)	1,15	6,0	12,0
540	ლოზანა (შვეიცარია)-კორკი (ირლანდია)	1,2	5,6	10,0
541	აკადემისკი (დანია)-ტორსჰაგენი (ფარერები)	1,05	9,0	18,0
542	ამიცა (პოლონეთი)-ვადუცი (ლიხტენშტაინი)	1,05	9,0	18,0
543	ბრიუგე (ბელგია)-ფლორა (ესტონეთი)	1,1	7,0	15,0
544	გოტუ (ფარერები)-ნორჩიოპინგი (შვედეთი)	7,5	4,0	1,35
545	მტკ (უნგრეთი)-იოკერიტი (ფინეთი)	1,5	3,5	6,0
546	ფოლგორი (სან მარინო)-ბაზელი (შვეიცარია)	15,0	7,0	1,05
547	ჟელეზნიჩარი (ბოსნია)-ვისლა (პოლონეთი)	2,4	3,0	2,7
548	ბანგორი (უელსი)-ჰალმსტადი (შვედეთი)	5,3	3,3	1,6
549	კოლრეინი (ჩრდ.ირლანდია)-იორგრიტე (შვედეთი)	4,0	3,1	1,8
550	კონსტელაჩიო (ანდორა)-რაიო ვალეკანო (ესპანეთი)	15,0	7,0	1,05
551	გლენტორანი (ჩ.ირლანდია)-ლილესტრ. (ნორვეგია)	4,0	3,1	1,9
552	ჟენესი (ლუქსემბურგი)-სელტიკი (შოტლანდია)	12,0	6,0	1,15
553	რიეკა (ხორვატია)-ვალეტა (მალტა)	1,05	9,0	18,0
554	აბერდინი (შოტლანდია)-ბოჰემიანსი (ირლანდია)	1,2	5,6	10,0
555	ვესტმანაეიარი (ისლანდია)-ჰართსი (შოტლანდია)	3,5	3,0	2,0
556	ბოავიშტა (პორტუგალია)-ბერი (უელსი)	1,05	9,0	18,0
	ინტერტოტო. ფინალი. I მატჩები			
	8 აგვისტო			
557	ოსერი (საფრანგეთი)-შტუტგარტი (გერმანია)	2,0	2,9	3,6
558	სიგმა (ჩეხეთი)-უდინეზე (იტალია)	4,0	2,9	1,9
559	სელტა (ესპანეთი)-ზენიტი (რუსეთი)	1,35	4,0	7,5

ეტაპზე გასვლა

(მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი, რომელიც გავა შემდეგ ეტაპზე)

	8 აგვისტო			
701	ზიმბრუ (მოლდოვა)	-7,5	სპარტა (ჩეხეთი)	-1,05
702	ბრიონდბიუ (დანია)	-5,0	ჰამბურგი (გერმანია)	-1,1
703	შტურმი (ავსტრია)	-2,5	ფეიენოორდი (ჰოლ.)	-1,35
704	ბეშიქთაში (თურქეთი)	-1,8	ლოკომოტივი (რუს.)	-1,6
	9 აგვისტო			
705	დინამო (უკრაინა)	-1,3	ცრვენა ზვეზდა (იუგ.)	-2,8
706	შახტარი (უკრაინა)	-3,1	სლავია (ჩეხეთი)	-1,25
707	ანდერლეხტი (ბელგია)	-2,1	პორტუ (პორტუგალია)	-1,45
708	პოლონია (პოლონეთი)	-2,5	პანათინაიკოსი (საბ..)	-1,35
709	ჰერფიოლგე (დანია)	-5,0	რეინჯერსი (შოტლ.)	-1,05
710	სენტ გალენი (შვეიც.)	-3,5	გალათასარაი (თურქ.)	-1,2
711	ტიროლი (ავსტრია)	-7,5	ვალენსია (ესპანეთი)	-1,05
712	ლიდსი (ინგლისი)	-1,35	მიუნხენ 1860 (გერმან.)	-2,5
713	ჰელსინგბორგი (შვედ.)	-12,0	ინტერი (იტალია)	-1,01
714	მილანი (იტალია)	-1,01	დინამო (ხორვატია)	-12,0
715	დუნაფერი (უნგრეთი)	-4,0	რუსენბორგი (ნორვეგ.)	-1,15
	8 აგვისტო			
716	ქიაფაზი (აზერბაიჯ.)	-9,0	ანთალია (თურქეთი)	-1,01
717	აკრანესი (ისლანდია)	-7,5	გენტი (ბელგია)	-1,02
	10 აგვისტო			
718	ნეფთჩი (აზერბაიჯანი)	-4,0	გორიცა (სლოვენია)	-1,05
719	არარატი (სომხეთი)	-4,0	კოშიცე (სლოვაკეთი)	-1,05
720	შერიფი (მოლდოვა)	-4,0	ოლიმპია (სლოვენია)	-1,05
721	კონსტრუქ.(მოლდოვა)	-4,0	ცსკა (ბულგარეთი)	-1,05
723	ჰიკ (ფინეთი)	——	გრევენმახერი (ლუქს.)	-12,0
724	სლავია (ბელარუსი)	-3,1	მაკაბი (ჰაიფა/ისრ.)	-1,2
726	უნივერსიტატია (რუმ.)	-1,25	პობედა (მაკედონია)	-2,8
727	ეკრანასი (ლიტვა)	-7,5	ლიერსი (ბელგია)	-1,02
728	ნაპრედაკი (იუგოსლ.)	-1,03	ტულეეიკი (ესტონეთი)	-6,0
729	ტომორი (ალბანეთი)	-3,1	აპოელი (კვიპროსი)	-1,2
730	ჟალგირისი (ლიტვა)	-4,0	რუხი (პოლონეთი)	-1,05
731	ვენტსპილსი (ლატვია)	-4,0	ვაშაში (უნგრეთი)	-1.05
732	მეტალურგსი (ლატვ.)	-5,0	ბრანი (ნორვეგია)	-1,02
733	დრნოვიცე (ჩეხეთი)	-1,4	ბუდუჩნოსტი (იუგოს.)	-2,1
734	რაპიდი (ავსტრია)	-1,01	ტეუტა (ალბანეთი)	-7,5
735	სლიმა (მალტა)	-15,0	პარტიზანი (იუგოსლ.)	——
736	ვორსკლა (უკრაინა)	-1,3	რაბოტნიჩკი (მაკედ.)	-2,5
737	აიკ (შვედეთი)	-1,05	გომელი (ბელარუსი)	-4,0
738	ომონია (კვიპროსი)	-2,1	ნეფტოხიმიკი (ბულგ.)	-1,4
739	რაპიდი (რუმინეთი)	-1,01	აშტარაკი (სომხეთი)	-7,5
740	ლოზანა (შვეიცარია)	-1,02	კორკი (ირლანდია)	-6,0
741	აკადემისკი (დანია)	——	ტორსჰაგენი (ფარერ.)	-12,0
742	ამიცა (პოლონეთი)	——	ვადუცი (ლიხტენშტ.)	-15,0
743	ბრიუგე (ბელგია)	-1,01	ფლორა (ესტონეთი)	-9,0
744	გოტუ (ფარერები)	-9,0	ნორჩიოპინგი (შვედ.)	-1,01
745	მტკ (უნგრეთი)	-1,25	იოკერიტი (ფინეთი)	-2,5
746	ფოლგორი (სან მარ.)	-15,0	ბაზელი (შვეიცარია)	——
747	ჟელეზნიჩარი (ბოსნია)	-3,5	ვისლა (პოლონეთი)	-1,15
748	ბანგორი (უელსი)	-7,5	ჰალმსტადი (შვედეთი)	-1,02
749	კოლრეინი (ჩრდ.ირლ.)	-6,0	იორგრიტე (შვედეთი)	-1,03
750	კონსტელაჩიო (ანდ.)	-15,0	რაიო ვალეკანო (ესპ.)	——
751	გლენტორანი (ჩ.ირლ.)	-6,0	ლილესტრ. (ნორვეგია)	-1,03
752	ჟენესი (ლუქსემბურგი)	-12,0	სელტიკი (შოტლანდ.)	——
753	რიეკა (ხორვატია)	——	ვალეტა (მალტა)	-12,0
754	აბერდინი (შოტლანდ.)	-1,05	ბოჰემიანსი (ირლანდ.)	-4,0
755	ვესტმანაეიარი (ისლ.)	-4,0	ჰართსი (შოტლანდია)	-1,05
756	ბოავიშტა (პორტუგ.)	——	ბერი (უელსი)	-12,0
	8 აგვისტო			
757	ოსერი (საფრანგეთი)	-1,8	შტუტგარტი (გერმან.)	-1,6
758	სიგმა (ჩეხეთი)	-7,5	უდინეზე (იტალია)	-1,05
759	სელტა (ესპანეთი)	-1,1	ზენიტი (რუსეთი)	-5,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახი ასათიანი

გააფთრებულნი და უკან მიდევნებული ლამპარი

სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის ბაზალეთში შეკრებაზე არიან ჩვენი ძიუდოისტები. მომავალ თამაშებზე თუ ვინმესი გვეიმედება, უპირველესად სწორედ ძიუდოისტებისა. ამიტომაც დავინტერესდით მათი სამზადისით და იქ ჩავაკითხეთ. მათ მოსანახულებლად იყო საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი. ჩვენც ვისარგებლებთ შემთხვევით და მას სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა მზადყოფნისა და მათი მოსალოდნელი შედეგების თაობაზე ვესაუბრეთ.

შოთა ხაბარელი

— ატლანტის ოლიმპიური თამაშების დამთავრებისთანავე გაჩნდა მოწოდება — „უკეთ, ვიდრე ატლანტაში"! მაგრამ სიდნეიში უკეთესი შედეგების მოსაპოვებლად პირობებიც უკეთესი უნდა ყოფილიყო. როგორ ფიქრობთ, ატლანტამდე უკეთესი პირობები ჰქონდათ ჩვენს სპორტსმენებს თუ ახლა?

— წამყვანი სპორტსმენების პირობებს თუ შევადარებთ, დაახლოებით ერთნაირი იყო, თუმცა ახლა რამდენიმე მოსამზადებელი ეტაპი ჩაგვივარდა და ატლანტამდე მაინც ცოტა უკეთესი პირობები იყო.

— თქვენი ვარაუდით, სიდნეიში რამდენ მედალს უნდა ველოდოთ?

— ატლანტის ოლიმპიური თამაშების მწარე გამოცდილების მერე პროგნოზებს აღარ ვაკეთებ, მაგრამ, ჩემი აზრით, სხვადასხვა სახეობის დაახლოებით 12 წარმომადგენელს მედლის მოპოვების შანსი აქვს.

— ჩვენმა სპორტსმენებმა თოთხმეტ სახეობაში მოიპოვეს ოლიმპიური ლიცენზია. ხომ არ ჯობდა, ნაკლებ სახეობაზე აგვეღო ორიენტირი, რაც მათ მზადების პირობებს გააუმჯობესებდა და შესაბამისად, მედლების მოპოვების შანსიც გაიზრდებოდა?

— ასეც მოვიქეცით. ფაქტობრივად ყურადღება გადატანილი გვქონდა ჭიდაობის სახეობებზე, მშვილდოსნობაზე, სროლაზე, ძალოსნობაზე. ამ სახეობათა წარმომადგენლებს ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი მოვახმარეთ.

— მოპოვებული ლიცენზიების რაოდენობით კმაყოფილი ხართ?

— კმაყოფილი ვარ რომელია! დღევანდელი ქვეყნის პირობებში, რომელშიც ვცხოვრობთ, ეს მაქსიმალური მიღწევაა. ამგვარი მაჩვენებელი ატლანტისას გაუტოლდა.

— ზოგი სპორტსმენი შიშობს, სიდნეიში მედალი რომ მოვიპოვოთ, დათქმულ პრემიალურ თანხას არავინ მოგვცემსო.

— საქართველოს პრეზიდენტის სიტყვა სიტყვაა! იმ პრემიალურ თანხას სიდნეიში წამოვიღებთ და სპორტსმენებს, რომლებიც მედლებს მოიპოვებენ, იქვე, დაუყოვნებლივ გადავცემთ.

— მაგრამ ბოლო დრომდე უსახსრობის გამო ხომ სპორტსმენებს მზადების ეტაპები ჩაეშალათ.

— დიახ, ასე იყო, თუმცა ბოლოს ფინანსური პრობლემა გადაიჭრა. ფინანსთა სამინისტრომ ამ დღეისთვის საჭირო თანხა გამოყო. სპორტსმენთა დავალიანებებიც გავისტუმრეთ და ისინი ახლა დღევანდელი გრაფიკის მიხედვით ემზადებიან.

— ეს უკან მიდევნებულ ლამპარს ხომ არ ჰგავს?

— ვნახოთ, ეს სიდნეიში გამოჩნდება.

* * *

ამის მერე ვესაუბრეთ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ შოთა ხაბარელს.

— კმაყოფილი ხართ აქაური ცხოვრების, კვების, ვარჯიშისა და დასვენების პირობებით?

— დღევანდელი გაჭირვებული საქართველოს კვალობაზე უკეთესი პირობები არ არსებობს. მართალია, კვების მხრივ თავიდან ცოტა უკმაყოფილონი ვიყავით, მაგრამ მერე მდგომარეობა გამოსწორდა, ახლა არც ამაზე გვეთქმის სამდურავი და ყველაფერი მაქსიმალურად კეთდება.

— ვიცით, რომ ბიჭები აქამდეც მონდომებით ვარჯიშობდნენ, მაგრამ მაინც უხასიათოდ იყვნენ, რადგან ისინი სხვადასხვა შეჯიბრებებზე მოპოვებული წარმატებებისთვის დაწესებულ პრემიებს უსახსრობის გამო ვერ იღებდნენ.

იმ დღეს თბილისიდან ასულმა სპორტის მესვეურებმა ჩვენი ძიუდოისტები ფრიად გაახარეს

ალექსი დავითაშვილს (მარცხნივ) ახალგაზრდა ზვიად ხანჯალიშვილი ღირსეულ სპარინგ-პარტნიორობას უწევს

ნესტორ ხერგიანი (მარცხნივ) ტატამზე ციბრუტივით ტრიალებდა და „მეტოქეებს" ბდღვირს ადენდა

— დღეს ისინი ამ მხრივაც დაწყნარდნენ, რადგან საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანმა, სპორტის მთავარი სამმართველოს უფროსმა მერაბ მეტრეველმა და სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა ჩვენი ნაკრები აქ, ბაზალეთზე მოინახულეს, გაამხნევეს და ყველა ვალი უკანასკნელ თეთრამდე გაისტუმრეს. ახლა ბიჭებს დარდი აღარ ექნებათ დამშეულ ოჯახებზე და იქ დასტოვებელ ფულზე. ამის მერე ბიჭებს დღევანდელ ვარჯიშზე ხალისი და მეტი მონდომება ეტყობოდათ.

— ამ შეკრების მერე რას აპირებთ?

— 13 აგვისტომდე მზადებას აქ გავაგრძელებთ. მერე ერთი კვირით დავისვენებთ და ბოლოს ქობულეთში ორკვირიანი შეკრება გვექნება. ამასობაში სიდნეიში გაფრენის დღეც მოვა.

— ჟურნალისტებმა თავი კი მოგაბეზრეთ პროგნოზებით, მაგრამ ახლა, როცა ოლიმპიურ თამაშებამდე რაღაც ოთხიოდე კვირაღა დარჩა, ბიჭების მზადყოფნაზე და მათ შანსებზე ალბათ უკეთ ჩამოყალიბებული აზრიც გექნებათ.

— რაიმეს გადაჭრით თქმა შეჯიბრების დაწყების დღესაც არ შემძლება. მაგრამ, მგონი, ურიგოდ არ უნდა გამოვიდეთ.

— მაინც, ურიგოდ არ გამოსვლაში რას გულისხმობთ?

— ორი მედლის მოპოვებას.

— იმ ორ მედალს ვიღას უწინასწარმეტყველებთ?

— ჩვენმა ბიჭებმა ოლიმპიური ლიცენზიები სხვადასხვა შეჯიბრებებზე პირველი-მეორე ადგილების დაკავებით მოიპოვეს და ამ რეიტინგით სამეულში არიან. ყოველივე ამის გათვალისწინებით სიდნეიში მედლის მოპოვების შანსი ყველას აქვს.

— საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრები შვიდიდან მხოლოდ ერთ წონით კატეგორიაში დარჩნენ ულიცენზიოდ. ამგვარი მაჩვენებლით ალბათ, უკმაყოფილო არ უნდა იყოთ.

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. ჩვენი ძიუდოისტებიდან ოლიმპიური ლიცენზია რვამ მოიპოვა, მაგრამ სიდნეიში ექვსნი წავლენ, რადგან ორ წონით კატეგორიაში ლიცენზია ორორმა ჩვენმა სპორტსმენმა დაიმსახურა, მაგრამ, მოგეხსენებათ, თითო წონაში თითო ქვეყნიდან მხოლოდ ერთი ძიუდოისტის გამოყვანა შეიძლება. ოლიმპიური ლიცენზია მხოლოდ ერთ, 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერ მივიპოვეთ. სიდნეიში სრული გუნდით სულ რამდენიმე ქვეყანა გამოვა. ევროპიდან ასეთი მხოლოდ საფრანგეთი იქნება.

— დარჩენილი ორი ლიცენზირებული ძიუდოისტის ოლიმპიურ ნაკრებში ყოფნა-არყოფნის ბილი როგორ გადაწყვიტეთ?

— ეს პრობლემა ევროპის ჩემპიონატზე მათი გამოსვლის შედეგებმა გადაწყვიტა. მაგალითად, მძიმე წონაში იქ ალექსი დავითაშვილიც ვაჭიდავეთ და რამაზ ჩორიშვილიც. დავითაშვილმა ბრინჯაო მოიპოვა, ჩორიშვილი გამოვარდა. 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიორგი გუგავამ V-VI ადგილი დაიკავა და თავის კონკურენტ ზვიადაურზე რეიტინგითაც ოდნავ წინ აღმოჩნდა, გამოცდილებითაც ცოტა წინ იყო და გუნდშიც ის დავტოვეთ.

ზვიადაურმა გული არ უნდა გაიტეხოს. ახალგაზრდაა და ყველაფერი წინ აქვს, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონატიც.

* * *

შოთა ხაბარელს სამდურავი არაფერზე დაცდენია, მაგრამ როცა ვიწრო დარბაზში მოვარჯიშე ძიუდოისტებს ვუყურეთ, ტატამზე აქეთ-იქით როგორ ახეთქებდნენ ერთმანეთს, მათ ნაცვლად გული ჩვენ შეგვიქანდა, ემანდ არ დაშავდნენ, სიდნეიც უკან არ დარჩეთ და ჯანმრთელობაცო.

ისე, მართლაც გააფთრებით ეძგერნენ ერთმანეთს...

ავთანდილ ბუკვიშელი

ავტორის ფოტოები

ლევის დღეობაზე საფინმა მოიღინა

ტორონტო „მასტერსი“. ჰარდი.
საპრიზო 3 მილიონი $

მარატ საფინმა თავის კარიერაში რევოლუციური ნაბიჯი რომ გადადგა, ეს ამბავი ჩვენი მიმოხილვის მთავარი თემაა, მაგრამ დრამატული მეოთხედფინალების ამბავიც ფრიად საყურადღებოა: ტორონტოს ტურნირის ამ ეტაპმა პიტ სამპრასთან ერთად ევგენი კაფელნიკოვი და პატრიკ რაფტერიც შეეწირა. ეს უკანასკნელი ჩეხ ირჟი ნოვაკთან შეხვედრისას რიგიანად ვერ გამოიყურებოდა, თუმცა თამაში მაგრად დაიწყო — პირველი სეტი 6:3 მოიგო, შემდეგ კი, მეორე სეტის შუაწელში ვაგლახად შუბლშეჭმუხნულმა გააგრძელა, მხრის ძველ ტრავმას თავი წამოეყო და ავსტრალიელს ელვისებურ მოწოდებებს ერთიორად აცლიდა ძალასა და სიჩქარეს. ამით, როგორც მერე გამოჩნდა, რაფტერმა წინასწარ მოაწერა ხელი კაპიტულაციას. ნოვაკმა მეორე სეტი ტაი-ბრეიკში მოიგო და დასკვნითში დაუნანებლად გადაუარა ტრავმირებულ მეტოქეს ანუ ის პრინციპული შეხვედრაც ჩაიფუშა, რომელიც სამპრასს და რაფტერს შორის ვითომ ფინალში უნდა შემდგარიყო (ისინი წლევანდელი უიმბლდონის ფინალისტებიც არიან).

თუმც რაფტერის მოგებაც ვერ უზრუნველყოფდა ნახსენებ პრინციპულ თამაშს, სამპრასი მეოთხედფინალში ერთობ მოულოდნელად ახალგაზრდა რუსისგან გაილახა. საფინ-სამპრასის თამაში ნერვების წყვეტა იყო და თამამად ითქმის, რომ ამგვარი დაძაბული შეხვედრა ტორონტოში არც იქამდე და არც მერე არ შემდგარა. პირველი სეტი საფინისა იყო, მეორე — სამპრასმა მოიგო, ხოლო მესამეში მანვე ტაი-ბრეიკამდე სამი (!) მატჩ-პოინტი ქარს გაატანა და დასკვნითი გეიმის დროსაც მეოთხე, როცა 7-6 დაწინაურდა. „არ გაიტან, გაგიტანენ“ — ეს საფეხბურთო პრინციპი ჩვენი შემთხვევისთვის უპრიანია და მასზე დაყრდნობით საფინმა ტაი-ბრეიკი 10:8 მოიგო. იგი ნახევარფინალში გავიდა.

იქით კაფელნიკოვი ცოდვილობდა. კორტის მეორე მხარეს მისი ვარჯიშის ამხანაგი, სამხრეთაფრიკელი უეინ ფერერა იდგა და თითქმის მთელი თამაში თავისი ნების კარნახით მიჰყავდა. მხოლოდ ერთხელ დაფეთდა აფრიკელი, მეორე სეტში, როცა 5:5-ზე ორი ბრეიკპოინტის გადარჩენა მოუხდა, მაგრამ ტაი-ბრეიკამდე როგორღაც მივიდა და იქ კი 7-1 დასეტყვა მეტოქე. თუმცა მეტოქე მხოლოდ კორტზე! მის გარეთ კი... მაგალითად საპრესკონფერენციო დარბაზში, ფერერაც და კაფელნიკოვიც ერთხმად ამტკიცებდნენ — ჩინებული ურთიერთობა გვაქვს, ძმაკაცობამდე არაფერი გვიკლია და ზუსტად ახლა გოლფის სათამაშოდ ვაპირებთ წასვლასო, მაგრამ მანამდე ფერერამ იმ სამი ეისის ამბავი გაიხსენა, რომლებმაც ზემოთ აღწერილ კრიტიკულ მომენტში იხსნეს. რაღაცნაირად ახლებურად დავიწყე მოწოდება, აფრიკელი თავადაც გაკვირვებული ჩანდა და მერე ბურთის აგდების მიმართულების, ფეხის წადგმისა და ჩოგნის გაქნევის მიმდევრობანი ისე დახლართულად აღწერა, მისი გადმოცემა გაგვიჭირდება. სამპრასის პრესკონფერენციის ოქმი ვერ მოვიხელთეთ, მაგრამ ის არ გვიფიქრია, წაგებით გულმოსულმა კომენტარების კეთებას სოლიდური ჯარიმის გადახდა არჩიაო. ამ მსუყე მასალას ნებისმიერი ჟურნალისტი გამოიყენებდა და საიდანმე გავიგებდით კიდეც ეტყობა, პრესკონფერენციის მასალებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. არაფერი უჭირს, მე თქვენ გეტყვით, რამე განსაკუთრებულს იტყოდა. ჩოგბურთელების (და არამარტო მათი) კომენტარები ხომ გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს.

ტორონტოში კი ნახევარფინალს მხოლოდ „წვრილფეხობა“ შემორჩენოდა. ადრე რაიმე დიადითა და გრანდიოზულით გამოურჩევლები („დიდი სლემის“ თუნდაც ერთი ტურნირის მოგებაზეა ლაპარაკი), რომელთაც მოახერხეს ფავორიტთათვის 3 მილიონი დოლარიდან უფრო მსხვილი ნაჭრების წართმევა და იმით კი კაპიკები შეატოვეს უმსხვილესი ლუკმიდან (ტურნირის მოგებს 400 ათასი დოლარი ერგებოდა) ნახევარფინალში საფინი ფერერას დაეტაკა და ისევე როგორც ებრაელმა ჰარელ ლევინ ნოვაკს, სამ სეტში მოუგო. ებრაელი ფინალში ბასკეთის დღეს 22 წლისა შესრულდა და „კირას“ კორტზე იმ მყარი გაბაწყვეტილებით გავიდა, რომ საკუთარი თავისთვის ამგვარი დიდებული ტურნირის მოგება ეძღვნა, მაგრამ საფინი არც დაინტერესებულა მეტოქის სურვილებით, 54 წუთში საქმე მოამთავრა.

REUTERS ტორონტოდან

მარატ საფინი

მატჩის დაწყებამდე წამოწვიმა და შეხვედრა ციტა ხნით გადაიდო. მერე კი გათამაშდა თუ არა ბურთი, საფინმა თავისი პირველივე გეიმი წააგო, სამი გეიმის მერე კი წვიმამ მოუხშირა და მოთამაშენი გადახურულში შეძვრნენ. თამაშის განახლებისთანავე რუსმა აიწყვიტა, გიჟურად აწოდებდა და ებრაელის უხერხულ მოგერიებულებს ისე ღონივრად ამატებდა, რაღა იყო სალაპარაკო: ის დღეს ლევისა არ გახლდათ. მხოლოდ დასკვნით გეიმში მოახერხა ებრაელმა 40-0 დაწინაურება, მაგრამ რუსმა ესეც ამოქაჩა და თამაში 6:2, 6:3 მოიგო. გამარჯვება საფინმა მეტოქის ნერვიულობით ახსნა, ოღონდ ის გამოკვეთა, რომ ფინალამდე მისი გზა უფრო რთული იყო, ებრაელს არც ერთი განთესილი არ შეხვედრიაო. ლევი რაღას დაუმატებდა, მხოლოდ ისღა თქვა. თამაშის მსვლელობისას ტაქტიკის გამოცვლა ერთი-ორჯერ ვცადე, მაგრამ ამაოდო.

ბარსელონასა და მალიორკას ტურნირების მოგების შემდეგ ტორონტოში გამარჯვება საფინის პირველი „მასტერს“-ტრიუმფია. მსოფლიო ჩოგბურთში ახალი კაცი გამოჩნდა.

მეოთხედფინალი. მარატ საფინი (რუსეთი) — პიტ სამპრასი (აშშ) — 6:4, 3:6, 7:6 (10:8); უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — 6:3, 7:6 (7:1); ირჟი ნოვიკი (ჩეხეთი) — პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — 3:6, 7:6 (7:1), 6:2; ჰარელ ლევი (ისრაელი) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) — 6:4, 6:4.

ნახევარფინალი. საფინი — ფერერა 6:2, 5:7, 6:4; ლევი — ნოვაკი 6:3, 1:6, 6:4.

ფინალი. საფინი — ლევი 6:2, 6:3.

ვინუს მონიკა შემოაკვდა

კარლსბადი, კალიფორნია.
„აკურა კლასიკ“.
საპრიზო 535 ათასი $

ტორონტოს ტურნირისგან კალიფორნიის სანაპიროზე დასრულებული ქალთა ტურნირი სამი რამით გამოირჩეოდა: ცხელი ამინდით, ბევრად დაბალი საპრიზო ფონდითა და ფავორიტის გამარჯვებით. ვინუს უილიამსმა, იგივე შავმა ვენერამ, წლეულს თავისი წარმატებული საჩოგბურთო სვლა განაგრძო და 87 ათასი მწვანეც შესძინა თავის მდიდარ ბიუჯეტს. უილიამსის ძირითადი სურვილი ფინალში ანა კურნიკოვასთან შეყრა იყო, მაგრამ რუსმა ვერ გაამართლა, ლინდსი დევენპორტს ნატალი ტოზია კი მიაყოლა, მაგრამ ნახევარფინალში მონიკა სელეშისგან ძლეული დაემშვიდობა ტურნირს.

ტოზიასთან კურნიკოვას თამაშზე ცალკე შეიძლება საუბარი. ფრანგის ცოტა ხნის წინ გამოსულ წიგნში, რომელიც ჩოგბურთელების ცხოვრებას ეხება, ტოზიას მშვენიერი რუსისთვისაც გამოუძებნია ადგილი და სწორედ თავისი მშვენიერების გამო აკრიტიკებს, გარეგნულ ეფექტურობას გადაყოლილმა ჭეშმარიტი ჩოგბურთი დაივიწყაო. სიმართლეს წააგავს, კურნიკოვას 83 ტურნირში უთამაშია და ჯერჯერობით მისი ერთი წარმატების ამბავიც არ წერია ისტორიაში, მაგრამ მწარე სიმართლე ვის გახარებია, მშვენიერ ანას გახარებოდა, ამიტომ ჯავრის ამოყრის საჭიროებაც უმალ დადგა. გამკილავი პასუხებით მიღებული ეფექტი უმნიშვნელო იყო. კურნიკოვას კორტზე უნდა დაემტკიცებინა, რომ მინიმუმ ტოზიას მაინც არ ჩამოუვარდებოდა, აქ კი სახეირო ხელთ არაფერი ჰქონდა — მათი წინა სამი შეხვედრიდან ყველა ტოზიამ მოიგო.



REUTERS კარლსბადიდან

ვინუს უილიამსი

გარდატეხა კარლსბადის მეოთხედფინალში დადგა. კურნიკოვა უღონო ჩანდა პირველ სეტში, რომელიც 2:6 წააგო. ტოზია პირველი შემთხვევისთანავე ბადისკენ გარბოდა და თუ ამან თავში გაუმართლა, მერე რუსმა მის თამაშს ალღო აუღო და მძლავრი შემოვლითი დარტყმებით მეტოქის ტაქტიკას ბოღვირი ადინა. მესამე სეტში კურნიკოვას 6:5-სა და ტოზიას მოწოდებაზე პიოველი მატჩ-პოინტი დაფიქსირდა, 15-40 იყო ანგარიში. ტოზიას შეეძლო გაბრძოლება, მაგრამ ბექჰენდი უხეიროდ დაარტყა და ბურთი უგზოუკვლოდ გაგზავნა, ამიტომ 2:6, 6:4, 7:5 და კურნიკოვა ნახევარფინალში გავიდა, სადაც მონიკა სელეში ელოდა. ჟურნალისტები საინტერესო კომენტარების მოლოდინში ცქვიტად გაქანდნენ საპრესკონფერენციო დარბაზისკენ და ოდნავ გაუმართლათ — კურნიკოვამ, თავს დიდებულად ვგრძნობ ამ გამარჯვების შემდეგ, მით უფრო, როცა მახსენდება, რომ ტოზიამ ჩემზე რაღაცეები ილაპარაკა, ეგეც მაგასო. შემდეგ ტურფა ანამ აზრი განავითარა და მთლიანად წიგნზეც თქვა ერთი-ორი სიტყვა. „მეც ბევრი რამ ვიცი, იქნებ ტოზიაზე არანაკლებიც, მაგრამ ეს ყველაფერი პირადულია. ტოზია პროფესიონალია და ამის შეგნება უნდა შეეძლოს, რომ ზოგჯერ თქმითაც დაშავდების... დღევანდელ დროში მაინც, როცა ირგვლივ ამდენი ჟურნალისტი ფუსფუსებს და ყველა იმაზეა გამეცადინებული, რაიმე სენსაცია მოიპოვოს.“ მოკლედ, კურნიკოვას მცირე ტირადის არსი ასეთია: კბილი ენაზე დასაჭერადაა საჭირო... ახლა კი ტოზიას აზრიც: „მე კურნიკოვაზე გასაკვირი და უცნაური არ, კერი მითქვამს და საერთოდ, იმ წიგნში სიცრუის მარცვალი არ ურევია, ყველაფერი ჭეშმარიტებაა და ვინმეს მოსწონს თუ არ, მისი საქმეა. ჟურნალისტებს კი ვემდური — განაგრძო ტოზიამ — მე მესმის მათი პროფესიის დანიშნულება, მაგრამ ისიც ხომ უნდა გავიგოთ, რომ მოთამაშეთა ერთმანეთზე გადაკიდებაც ულირსი საქმეა, არ შეიძლება პატარა ამბის ასე გაბერვა და ყველაფერზე წერა“. მოკლედ, ტოზიამაც ერთგვარად მავანთ ენაზე კბილის დაჭერისკენ მოუწოდა, კურნიკოვა კი ნახევარფინალში მონიკა სელეშთან დამარცხდა. მეორე ნახევარფინალში ვინუს უილიამსი მძვინვარებდა. ამერიკელმა ემი ფრეზერმა (მარტინა ჰინგისი რომ გააგდო) ჩოგბურთის ალქაჯის კუნთებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და 66 წუთში დაყარა ფარხმალი. ამ მატჩში უილიამსმა 10 ორმაგი შეცდომა დაუშვა და მართალია, ფრეზერთან გაუვიდა, ამას იქნებ სელეშთან ფინალში ეჩინა თავი. არანაირად! ფინალში უილიამსის ორმაგმა შეცდომებმა 14-ს უწია, მან კი მაინც მოიგო. პირველი სეტი უმალ მორჩა: ზანგმა 18 წუთში ექვსივე გეიმი მშრალად მოიგო და ისე ჩანდა, მეტოქე მთლიანად მშრალზე უნდა დაესვა, მაგრამ სელეში ხომ ვიღაც არ არის. „ჩამძინებოდა — იუმორით იხსენებდა მონიკა ცოტა ხნით ადრე მომხდარ ამბავს — როცა გავიღვიძე, ჩემს თავს ვუთხარი: ჰე, გაინძერი ახლა, თორემ 20 წუთში ყველაფერი მორჩება. მესამე სეტის ბოლოს კი მაინც მკვდარივით ვიყავი“. სელეშმა მეორე გეიმი ტაი-ბრეიკში დამაჯერებლად მოიგო და მესამეში დაღლა აშკარად შეეტყო. უილიამსი 4:1 დაწინაურდა და აქ სელეშს თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნაო, მეტოქეს მოწოდება აართვა და თავისიც მოიგო — 4:3; მეორე სუნთქვაც ამ დროს შეწყდა, ზანგმა ორივე გეიმი დამაჯერებლად მოიგო და აი, ფინალის საბოლოო ანგარიშიც: 6:0, 6:7 (2-7), 6:3. აქვე შევნიშნავთ, რომ სელეშმა 43 ათასი დოლარი მიიღო, ხოლო უილიამსის წაუგებელი სერია 15 მატჩამდე გაგრძელდა. ექვსი მოგება კიდევ და დევენპორტს დაეწევა.

დავით გულუა





დაღვრემილა ახალზელანდიელი ჯონა ლომუ, ჯონ ილზის ფეხმარჯვეობამ ბლედისლოუს თასი ავსტრალიელებს არგუნა

ილზმა ბლედისლოუს თასს მოარტყა

5 აგვისტო, ველინგტონი

ახალი ზელანდია — ავსტრალია

23(20):24(18)

ახალი ზელანდია: კალენი, უმაგა, იერემაია, ალატინი, ლომუ, მერთენსი (ბრაუნი 63), მარშალი (კელეჰერი 67), კრიბი, კრონფელდი (თორნი 58), რენდელი, მაკსუელი, ბლეკედერი (კაპ.), მეუვსი, ოლივერი (ჰემიტი 78), ჰოფტი (დაუდი 70).

2ლ — კალენი; 2გ. და 3ს — მერთენსი

ავსტრალია: ლეითემი, მორტლოკი, ჰერბერტი, ლიტლი, როფი (ტიუნი 40-78), ლარკემი, გრეგანი, უილიამსი (კონორსი 40-63), უილსონი, კეფუ, ილბი (კაპ.), გიფინი, დასონი, ფოლი (ჰოლი 34), ჰარი

2ლ — მორტლოკი, როფი; 1გ — მორტლოკი; 4ს — მორტლოკი (3), ილზი

მსაჯი: ჯონათან კეპლანი (სამხრეთ აფრიკა)

„ის, რაც მათ სიდნეიში დაგვმართეს, დღეს ჩვენ ველინგტონში შევძელით. ძალიან კარგი თამაში იყო. „შავები" ბრწყინვალედ ირჯებოდნენ, მაგრამ მაინც ვიძალეთ" — თქვა ავსტრალიელთა კაპიტანმა ჯონ ილზმა, რომელმაც მსაჯის მიერ წამატებული დროის ბოლო წამზე გამარჯვების საჯარიმო გაიტანა.

როცა ილზმა საჯარიმოს დარტყმა ითავა, დავრწმუნდი, რომ გავიმარჯვებდით. იგი დიდი ნებისყოფის პატრონია. ასეთი მატჩის წინაც კი არასოდეს ნერვიულობს. „ახალმა ზელანდიამ ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ ჩემმა ბიჭებმა მაინც თავისი გაიტანეს" — განაცხადა სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა როდ მაკკუინმა. სამი ერის პირველობაზე ეს გუნდები წლეულს მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს. 15 ივლისს სიდნეიში ახალმა ზელანდიამ ბოლო წუთებზე ჯონა ლომუს ლელოთი გამოგლიჯა ზელიდან გამარჯვება ავსტრალიას (39:35), ახლა კი ავსტრალიამ მოახერხა იგივე. გარდა ამისა, ეს ორი შეხვედრა სხვა მხრივაც ჰგავდა ერთმანეთს. თავიდან ამჯერადაც სტუმრები დაწინაურდნენ, მასპინძლებმა მერე წინ გასვლა მაინც შეძლეს, ბოლოს კი...

„ვოლაბები" რევანშის წყურვილით იყვნენ ანთებულნი და თავიდანვე მედგრად ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს. მსოფლიოს ჩემპიონატების შემადგენლობაში სამმეოთხდელი დენიელ ჰერბერტის აქტიურობამ ტიმ ჰორანის არყოფნა თითქმის შეუმჩნეველი გახადა. იგი ხშირად ჭრიდა მეტოქის დაცვის ხაზს და უკვე მესამე წუთზე სტირლინგ მორტლოკს სალელოე პასიც მიაწოდა. „ვოლაბთა" ფრთამ ბურთი მასპინძელთა სალელოე მოედნის კუთხეში დადო და ლელო თავადვე გარდასახა.

ავსტრალიელთა მეორე ლელო მეორე ფრთამ, ჯო როფმა მიითვალა მე-12 წუთზე (0:12). მორტლოკმა გარდასახვა ვეღარ შეძლო და ცოტა ხნით თავისი პირადი სანაკრებო მონაგარი 99 ქულაზე შეაჩერა.

ახალზელანდიელები არ დაბნეულან. ისინი ზუსტად ასრულებდნენ მწვრთნელის მითითებებს და მალე სასურველი შედეგიც მოიმკეს. ტოდ ბლეკედერის დამოძღვრილი „შავების" შეტევის მოგერიება „ვოლაბებს" სულ უფრო და უფრო უჭირდათ. განსაკუთრებით ტანა უმაგას შეჩერება უძნელდებოდათ სტუმრებს. თუმცა საფრთხე თურმე სულ სხვა კაცისგან ელოდათ. კრისტიან კალენმა დაახლოებით ხუთ წუთში ორი ლელო გაიტანა და ენდრიუ მერთენსის ზუსტი გარდასახვების შემდეგ მასპინძლები დაწინაურდნენ — 14:12. კალენმა ჯერ რონ კრიბის მიერ დარტყმული აბრაგანის შემდეგ იხეირა, მერე კი უმაგას არ ჩაუყარა გარჯა წყალში. ამ ორი ლელოთი კალენმა ჯეფ უილსონის რეკორდი (39 ლელო საერთაშორისო მატჩებში) გაიმეორა და მალე გაასწრებს კიდეც სახელოვან წინამორბედს.

მატჩის დანარჩენმა ნაწილმა კი სანახაობრივად, სამწუხაროდ, ვეღარ ივარგა. ამაში დამნაშავე კი უდავოდ გუნდების დაცვაში ბრწყინვალე თამაშია. რა თქმა უნდა, კვლავაც ბევრი იერიში ხორციელდებოდა, მაგრამ ერთიც ვერ დაგვირგვინდა ლელოთი. ქულები კი მხოლოდ საჯარიმოებსღა მოჰქონდათ. პირველ ტაიმში მერთენსმა და მორტლოკმა ორ-ორი დარტყმა შეასრულეს ზუსტად და ორივე კალენის მსგავსად გამორჩეული კაცი გახდა. ახლა „ოლ ბლექსისთვის" მერთენსზე მეტი ქულა არავის მოუტანია, მორტლოკმა კი 100-ქულიანი ბარიერის გადალახვას მხოლოდ ექვსი (!) საერთაშორისო მატჩი მოანდომა და მალე, ალბათ, შედეგიანობის ყველა რეკორდსაც დაამხობს.

შესვენების შემდეგაც დაცვა გაცილებით სჯობდა თავდასხმას და ისევ საჯარიმოებით ცდილობდნენ გუნდები ფონს გასვლას. მატჩის ძირითადი დროის დამთავრებისას ტაბლოზე 23:21 ენთო, მაგრამ მსაჯმა რამდენიმე წუთის დამატება ინება, რომელთა ბოლოსაც ავსტრალიას უკანასკნელი იმედი მისცა უკანასკნელი ჯარიმის სახით. და ყველაფერი მძაფრსიუჟეტიანი ფილმის ლამაზ დასასრულს მოგაგონებდათ... ბურთთან გუნდის კაპიტანი მივიდა, რომელსაც წესით საჯარიმოების შესრულება არ ევალება, მაგრამ ამხელა პასუხისმგებლობას ილზის დარი გოლიათის გარდა ვინ იტვირთავდა? „ვოლაბთა" წინამძღოლმაც ივარგა და სამი ერის გამარჯვებულის ვინობის გარკვევა რამდენიმე კვირით გადაიდო.

ახლა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას 10-10 ქულა აქვთ და ნულქულიანი სამხრეთ აფრიკა მათი მსაჯული უნდა გახდეს. ვინც უკეთ ითამაშებს აფრიკაში, ჩემპიონიც ის გახდება. პირველობის თეორიული შანსი „ქურციკებსაც" აქვთ, მაგრამ იმდენად მცირე, რომ მასზე ლაპარაკიც არ ღირს.

მაშ ასე, 19 აგვისტოს სამხრეთ აფრიკას ახალი ზელანდია ეწვევა, 26-ში კი ავსტრალია.

შაბათის მოგებით ავსტრალიელებმა ბლედისლოუს თასიც დაინარჩუნეს, რომელიც „შავებისთვის" 1998 წელს აურომევიათ და მას შემდეგ აღარ ანებებენ.

გაიოზ თალაკვაძე

სატურნირო ვითარება

ავსტრალია	3	2	0	1	1	1	85:68	10
ახალი ზელანდია	3	2	0	1	1	1	87:71	10
სამხრეთ აფრიკა	2	0	0	2	0	0	18:51	0

მეხუთე ვრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მიკუთვნებული პრემიალური ქულებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის გაიპარნენ იტალიელები?

„არასოდეს ვყოფილვარ ასე ბედნიერი მეოთხე ადგილზე გასვლით" — განაცხადა გერმანელმა ერიკ ზაბელმა მსოფლიოს თასის მეექვსე ეტაპის დასრულების შემდეგ.

„HEW სიკლასიკი" ჩრდილოეთ გერმანიაში, საპორტო ქალაქ ჰამბურგის გარშემო ეწყობა-ხოლმე. წლეულს მისი უმთავრესი ფავორიტი ზაბელი იყო, მაგრამ იგი მეოთხეობას დასჯერდა, რითიც მაინც ძლიერ გაიხარა, რადგან მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში თავის უშუალო კონკურენტებს ბლომად ქულები მოუგო და ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა.

„HEW სიკლასიკზე" „ტელეკომის" ლიდერმა თანაგუნდელებს ბევრი ოფლი აღვრევინა, მაგრამ მათ ბოლო შეტევა გაეპარათ და ზაბელმა ამიტომაც ვერ გაიმარჯვა. შედეგიანი იერიში იტალიელთა დუეტმა, მისალიამ და კასაგრანდემ განახორციელეს. პელოტონის სპრინტში კი ზაბელს მესამე იტალიელმა ბალდატომაც აჯობა.

მთელი გზის მანძილზე ტელეკომელებს უამრავი მოიერიშის ჭკუაზე მოყვანა მოუხდათ და ამიტომაც გაეპარათ მისალია და კასაგრანდე. თავიდან, მერვე კილომეტრზე, დანიელმა სორენ პეტერსენმა გამოიდო თავი და ეულად გაიჭრა წინ. „კიოლნის" წევრი დაახლოებით 200 კილომეტრი ლიდერობდა, მაგრამ ფინიშამდე ვერ გაძლო.

სხვა გაქცევებიდან აღსანიშნავია მარკ ვოუტერსის (ბელგია, რაბობანკი), მსოფლიოს ჩემპიონ ოსკარ ფრეირეს (ესპანეთი, მაპეი) და „ტურის" ერთ-ერთი ეტაპის მომგების, ფრანგი კრისტოფ ანიოლუტოს (პრევუაიანსი) შეტევა. ამ სამეულმა ბედი ფინიშამდე 35 კილომეტრით ადრე სცადა, 10 კილომეტრის გავლის შემდეგ კი ანიოლუტომ კომპანიონებიც მიატოვა, მაგრამ პელოტონს ფინიშამდე მაინც ვერ მიასწრო.

მთავარი ჯგუფის სათავეში „ტელეკომი" იდგა და რბოლასაც ის აკონტროლებდა. საინტერესოა, რომ „ტურ დე ფრანსზე" მეორე ადგილზე გასული იან ულრიხი ზაბელისთვის უბრალო გრეგარივით მუშაობდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ბერლინელ პეპელას გამარჯვება არ ეწერა.

„ტელეკომმა" პელოტონის სათავეში მცირე ხნით ადგილი იტალიურ „მაპეის" დაუთმო და სწორედ ამ მომენტში განხორციელდა კიდეც წარმატებული იტალიური შეტევა.

ზაბელი კი, როგორც ზემოთ ვთქვით, მეოთხე ადგილმაც გაახარა, რადგან საერთო ჩათვლაში ლამის ორასი ქულით დაწინაურდა და ძნელად რომ ვინმემ მისი დაწევა შეძლოს.

გაგი გურული

მსოფლიოს თასი

მეექვსე ეტაპი

ჰამბურგი, 251კმ

1. გაბრიელე მისალია (იტალია, ლამპრე) — 6სთ 17წთ 22წმ
2. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, ვინი კალდიროლა) — იგივე დრო
3. ფაბიო ბალდატო (იტალია, ფასა ბორტოლო) — +2
4. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) — +2
5. ტორ ჰუშვოდი (ნორვეგია, კრედი აგრიკოლი) — +2

საერთო ჩათვლა

1. ერიკ ზაბელი — 330 ქულა
2. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია, ვინი კალდიროლა) — 138
3. ანდრეი ჩმილი (ბელგია, ლოტო) — 136
4. ფაბიო ბალდატო — 134
5. პეტერ ვან პეტეგემი (ბელგია, ფარმ ფრაიტსი) — 122
6. პაოლო ბეტინი (იტალია, მაპეი) — 120
7. ზბიგნევ სპრუში (პოლონეთი, ლამპრე) — 116
8. იოჰან მუსეუვი (ბელგია, მაპეი) — 111
9. ფრანჩესკო კასაგრანდე — 106
10. გაბრიელე მისალია — 102

REUTERS ჰამბურგიდან

გაბრიელე მისალია

მეფემ მოიგო

REUTERS ბალმა დე მალიორკადან

მალიორკას წყლებში დასრულდა სამეფო თასის რეგატა, რომელსაც ყოველწლიურად აწყობს ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი და რომელშიაც მოყვარული აფროსნები მონაწილეობდნენ. არ გაგიკვირდეთ და, წლეულს შეჯიბრება თავად მეფემ მოიგო. ჩაწყობა არ ყოფილა. იქ ეგეთ რამეებს არ კადრულობენ და იაფი სიამოვნება მოდაში არ არის. მეფე კი მთელი ოჯახით სწვევია მალიორკას. აი, ინფანტა ელენა, ოჯახის სიძე ხაიმე დე მარიკალარი და მემკვიდრე ფლორიანიც. წინა კვირაშიც გაუწყებდით, მეფის იახტას „ბრიბონი“ ჰქვია.

REUTERS ბალმა დე მალიორკადან

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ბიბლიოთეკიდან

ელ ხული და თავადიშვილი

ამ ბოლო გვერდის მკითხველებს ეხსომებათ, რომ კორიდის ტრფიალთ ახალი სიგიჟე სჭირთ და ამ სიგიჟეს „ელ ხული“ ჰქვია. 17 წლის ტორერო ხულიან ლოპესი ესპანეთის გმირია. ამ ასაკის და ამგვარი სიმარჯვის ტორერო იქაურებს არ ახსოვთ. ელ ხული იმგვარი ოსტატობით უსწორდება ახალგაზრდა ხარებს, რომ პლასადან ხელში აყვანილი გაჰყავთ. ასე ყოფილა ამ უქმეებზეც გალისიურ ქალაქ პონტევერდასშიც.

ამხედრებული ხორვატი თავადიშვილი იოშკო მარიჩიკი ალბათ ბაბუად ერგება ელ ხულის. ამის მიუხედავად თვალი უჭრის, ცხენზეც კარგად ზის და თოკზე დაკიდებულ სამაჯურსაც იოლად ეუფლება. ბარე სამასი წელია, რაც ხორვატიულ ქალაქ სინიში განთქმულ სინიშკა ალკას თამაშობები ტარდება. წლეულს პრიზები ამ თავადიშვილისა იყო.

REUTERS სანტა მონიკადან

თინთა რჩეულნი

ეს დები კარგახანია განთქმულნი გახლავან. სერენა და ვინუსი ახალთაობის ჯანიან ჩოგბურთელთა შორის დიახაც რომ გამოირჩევიან. სწორედ გუშინწინ ერგოთ მეტად სახალისო პრიზი — „ამერიკის ყმაწვილთა რჩეულის ჯილდო.“ ანუ მთელი ამერიკის გამოკითხულ თინეიჯერებს უთქვამთ, წლეულს ყველაზე კარგები ეგენი იყვნენო. ჯილდო კალიფორნიის ქალაქ სანტა მონიკაში გადაუციათ.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი პახტანგ გზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge